ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის
ინსტიტუტი

ნანა ბახსოლიანი

დიდი კაპადოკია ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში

თბილისი
2008

უაკ 94(393)
ბ-37

რედაქტორი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **ნანა ხაზარაძე**

რეცენზენტები: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **ჯემალ შარაშენიძე**

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **თამაზ ბერაძე**

კომპიუტერული უზრუნველყოფა: **ანა რუაძე,**
მარიამ ბუტიკაშვილი

ISBN 978-9941-0-0889-4

რედაქტორისაგან

ნანა ბახსოლიანის წინამდებარე მონოგრაფია: „დიდი კაპადოკია ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში" გვიანხეთური ხანის აღმოსავლეთ მცირე აზიის დღემდე ნაკლებად შესწავლილ სამეფო-სამთავროთა ისტორიული გეოგრაფიის, პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და რელიგიის ისტორიის კომპლექსური კვლევა-ძიების სანიმუშო მაგალითია.

მონოგრაფია პირველწყაროთა სერიოზულ ანალიზს ეფუძნება. ავტორმა მაქსიმალურად გამოიყენა ასურული, ურარტული ლურსმული, იეროგლიფურ-ლუვიური, ძველებრაული, ძველსპარსული და ლათინური წერილობითი ძეგლები.

ისტორიულ პირველწყაროთა სახით მონოგრაფიაში ფართოდაა მოხმობილი აღმოსავლეთ მცირე აზიის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრით დათარიღებული არქეოლოგიური მასალა. გათვალისწინებულია ენობრივი მონაცემები (ეთნონიმიკა, ტოპონიმიკა, ჰიდრონიმიკა, ორონიმიკა...). ასევე სრულადაა წარმოჩენილი საკვლევი პრობლემის ირგვლივ არსებული ქართული და უცხოენოვანი მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურა. უყურადღებოდ არც ლექსიკოლოგიური და კარტოგრაფიული ხასიათის გამოცემებია დარჩენილი.

ავტორი არაერთ ახალ მოსაზრებას გვთავაზობს, რომელიც საშუალებას გვაძლევს გვიანხეთური ხანის სამეფო-სამთავროთა (თაბალი, თუნა, თუხანი, შინუხთუ, ხილაქუ, მუშქების ქვეყანა, მელიდი, გურგუმი, კუმუხი) ისტორიის ცალკეულ ასპექტებში ღრმად ჩავიხედოთ.

დიდი კაპადოკია უძველესი დროიდან მოყოლებული ქართველთა განსახლების ერთ-ერთ რეგიონადაა მიჩნეუ-

ლი. აქედან გამომდინარე, ისეთი ახალი ნაშრომის გამოქვეყნება, რომელიც ამ რეგიონის ისტორიის რეკონსტრუქციაში გვეხმარება, მისასალმებელია და ანგარიშგასაწევი.

მოხარული ვარ, რომ ჩემს მიერ ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-იან წლებში დაწყებული კვლევა-ძიებანი დღესაც გრძელდება და ჩვენი ცოდნა ძველაღმოსავლური სამყაროს შესახებ ახალი ფაქტებითა და მონაცემებით მდიდრდება.

ვამაყობ, რომ ჩემს დაწყებულ საქმეს ჩემი მოწაფე ღირსეულად აგრძელებს.

ნანა ხაზარაძე
1 ივნისი, 2008

შესავალი

უძველესი დროიდანვე აღმოსავლეთი მცირე აზია ცივილიზაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან აკვანს წარმოადგენდა. იგი და მისი მეზობელი რეგიონები მრავალი ეთნოსის და მათ შორის, ქართველური ტომების განსახლების ტერიტორიადაა მიჩნეული.

პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების თვალსაზრისით, განსაკუთრებით მცირე აზიის ცენტრალური და აღმოსავლეთი ნაწილი დაწინაურდა, რომელიც ძვ. წ. VI საუკუნიდან მოყოლებული „კაპადოკიად" იწოდებოდა. კაპადოკია კილიკიის ტავროსის ჩრდილოეთით მდინარეების — ევფრატსა და ჰალისს (დღევ. ყიზილ-ირმაკი) შორის მდებარე რეგიონში მდებარეობდა. იგი კლდიანი რელიეფისა და მცენარეული საფარის ნაკლებობით ხასიათდება. კაპადოკიის მდინარეებია ჰალისი (დღევ. ყიზილ-ირმაკი), ირისი (დღევ. იეშილ-ირმაკი) და ამ უკანასკნელის უხვწყლიანი შენაკადი ლიკოსი (დღევ. თორთუმი)[1]. მაღალი მთებით დასერილი ქვეყანა მკაცრი კონტინენტური კლიმატით გამოირჩევა. კაპადოკია საძოვრებად, სტეპებად და ტყეებადაა დაყოფილი[2]. ქვეყნის ლანდშაფტი ხელს უწყობდა ჯიშიანი ცხენების, ცხვრის ფარებისა და გარეული სახედრების მოშენებას. მთათა სისტემა ლითონის საბადოებითაა მდიდარი. შუა ჰალისის (დღევ. ყიზილ-ირმაკი) შუა დინებასთან მრავალი ჩამქრალი ვულკანია დადასტურებული. მათ შორის ყველაზე მაღალი (3840 მ.) არგეოსი, დღევ. Erdjiaš-ია. აღმოსავლეთ კაპადოკიაში, მდ. ევფრატთან ტავროსის მთაგრეხილთან არსებული უღელტეხილი ქვეყანას ორ ნაწილად ჰყოფს: აღმოსავლეთ და დასავლეთ კაპადოკიად. მას ბერძნებმა „ანტიტავროსი" ანუ „ათასი ხარის მთა" (დღევ. Bin-bogha-daghlary) შეარქვეს. მისი ყველაზე მა-

ღალი წერტილი 3000 მეტრზეა აღმართული[3]. უღელტეხილზე საერთაშორისო მნიშვნელობის სავაჭრო-საქარავანო და სამხედრო გზები უხსოვარი დროიდან გადიოდა. ამ და სხვა ობიექტურ გარემოებათა გამო მცირე აზია სხვადასხვა დროს სხვადასხვა ეთნოსების სამშობლო გახდა.

ძვ. წ. III ათასწლეულში კაპადოკიაში სემიტური მოდგმის ტომები იჭრებიან. აქ ისინი ასურელთა სავაჭრო კოლონიებს აფუძნებენ. მათი ენა უფრო ძველი იყო, ვიდრე ასურული. სპეციალისტების აზრით, იგი უფრო ძველ ბაბილონურთან აელენს სიახლოვეს[4]. ე. წ. „კაპადოკიური ლურსმული ფირფიტები", რომელიც დღევანდელ ქიულ-თეფეშია (ხეთ. ქანესში) აღმოჩენილი, ძვ. წ. II ათასწლეულით თარიღდება. ეს ისტორიული ძეგლები მცირე აზიაში ხეთების შემოსევებზე თანმიმდევრულად მოგვითხრობს. საუკუნეების მანძილზე კაპადოკია ხეთების იმპერიის შუაგულს წარმოადგენდა. ძვ. წ. 1200 წ. „ზღვის ხალხების" შემოსევების შედეგად იგი განადგურდა. მრავალ სამეფო-სამთავროებად დაქუცმაცებამ ხეთურ ცივილიზაციას ხელი ვერ შეუშალა: მან სულ ცოტა კიდევ 600 წელი განაგრძო ფუნქციონირება. არქეოლოგიური მასალა ამას საკმაოდ ადასტურებს[5].

ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლოს და I ათასწლეულის დასაწყისში მცირე აზიაში ეთნიკურ-პოლიტიკური რუკა მკვეთრად შეიცვალა. ჯერ ასურულ ლურსმულ წარწერებში (ძვ. წ. XII ს.), ხოლო მოგვიანებით კვლავ ასურულ და ურარტულ წერილობით ძეგლებში წერილობითი წყაროებისათვის მანამდე უცნობი ეთნონიმები გამოჩნდა. მათ შორის მუშქების (მუსქების), თაბალების, ქაშქების, აბეშლაელების და ა. შ. აღმნიშვნელი ტერმინები, რომელთა იდენტიფიკაციაც მეცნიერთა რამდენიმე თაობის კვლევის საგანს წარმოადგენს. რაკი ეს ეთნონიმები ქართველთა უძველეს ის-

ტორიას ორგანულად დაუკავშირდა, ბუნებრივია, რომ გვიანხეთური ხანის კაპადოკიის ისტორიის შესწავლა ქართველ მკვლევართა დიდ ინტერესს იმსახურებდა და დღესაც იმსახურებს.

მაგრამ საკვლევი პერიოდის კაპადოკია მხოლოდ ამ თვალსაზრისით როდია მნიშვნელოვანი. ამ რეგიონში ქართველთა წინაპრებთან ერთად სხვა ეთნოსებიც ბინადრობდნენ, კერძოდ, ლუვიელები, რომელთა არსებობაზე ნათლად მეტყველებენ ლუვიურ ენაზე შედგენილი არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად აღმოჩენილი იეროგლიფურ-ლუვიური წარწერები, იეროგლიფურ-ლუვიური წარმომაველობის საკუთარი სახელები და ამ რეგიონში ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში გავრცელებული ლუვიური პანთეონი[6].

მცირე აზიის უძველეს მოსახლეობასთან (ხეთები, ლუვიელები) ერთად ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლოსა და I ათასწლეულის პირველ ნახევარში ქართველურ ტომებსაც უნდა ეცხოვრათ. ქართველური ტომების განსახლების ტერიტორია მჭიდროდ უნდა ყოფილიყო დაკავშირებული აღმოსავლეთ მცირე აზიასთან. მკვლევრები ასურულ ლურსმულ წარწერებში მოხსენიებულ მუშქებს გვიანდელ მოსხებთან, მესხებთან, ხეთური და ასურული ლურსმული ტექსტების ქასქებსა და აბეშლაელებს დასავლურ-ქართველური, მეგრულ-ლაზური ანუ სამხრეთ კოლხური წარმოშობის ტომებთან აკავშირებენ[7].

ამ პრობლემას არაერთი ფუნდამენტური მონოგრაფია მიეძღვნა, რომელიც ჩემთვის გზამკვლევად იქცა. წინამდებარე ნაშრომი ჩვენს ხელთ არსებული სხვადასხვა ხასიათის წყაროთა მონაცემების კომპლექსური შესწავლის კიდევ ერთი ცდაა.

1. Энциклопедический словаръ, Т XIV, С-Петербург, 1895, с. 391-392; The New Encyclopædia Britanica (in 30 volumes), vol VI, London, 1979, p. 539.
2. La Grande Encyclopedie, Larousse, vol 4, Paris, 1972, p. 2305.
3. Heinrich Kiepert, Lenrbuch der Alten Geographie: Klein Asien. Cramer description of Asia minor, vol 2, Oxford, 1832, p. 96; Brockhaus Enzyklopadie, vol 9, Wiesbaden, 1970, p. 738.
4. Grand Larousse encyclopedique, vol 2, Paris, 1960, p. 605; Советская историческая энциклопедия, 6, Москва, 1965, с. 1007; Enciclopedia Italiana, vol VII, Roma, 1949, p. 880.
5. La Grande Encyclopedie, Larousse, 4. p, 2305; იხ. რამიშვილი პ. ძველასურელ ვაჭართა საქმიანობის ამსახველი „კაპადოკიური" ფირფიტები ქიულთეფე/ქანესიდან, კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული, X, თბილისი, 2001, გვ. 78.
6. ხაზარაძე ნ. აღმოსავლეთ მცირე აზიის ეთნიკური და პოლიტიკური გაერთიანებები ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში, თბილისი, 1978, გვ. 6.
7. ხაზარაძე ნ. დასახ. ნაშრ. გვ. 6; ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, თბილისი, 1951, გვ. 392; Г. А. Меликишвили, Наири-Урарту, Тбилиси, 1954, с. 409; ხაზარაძე ნ. საქართველოს ძველი ისტორიის ეთნო-პოლიტიკური პრობლემები, თბილისი, 1984, გვ. 192; გიორგაძე გრ. ხეთური და ასურული ლურსმული ტექსტების ქასქების (ქაშქების) და აბეშლაელების ეთნიკური წარმომაელობისათვის, ახალციხე, 2000, გვ. 15-17, 24-26 და სხვა.

თავი I. დიდი კაპადოკიის ისტორიის შემსწავლელი წყაროები

§1. ტერმინი „კაპადოკია" ძველაღმოსავლურ და ანტიკური ხანის წერილობით წყაროებში

კაპადოკია მცირე აზიის ცენტრალური ნაწილის ერთ-ერთი მსხვილი მხარე იყო. ძვ. წ. II-I ათასწლეულებში მას საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ძველი აღმოსავ-ლეთის ხალხთა ისტორიაში.

ტერმინი „კაპადოკია" პირველად დარიოს I-ის (ძვ. წ. 522-486 წწ.) დროინდელ სპარსულ ლურსმულ წერილობით ძეგლებში გვხვდება. ბეჰისტუნის კლდეზე ამოკვეთილ წარ-წერაში, რომელიც ძვ. წ. VI საუკუნეს განეკუთვნება, „კაპა-დოკია" (Katpatuka-ს ფორმით) იხსენიება.[1] იგი აქემენიდების იმპერიის შემადგენლობაში მყოფ 23 ქვეყანას შორის ფი-გურირებს: „ამბობს მეფე დარაჰავაჰუ: აი, ქვეყნები, რომე-ლიც მერგო აჰურამაზდას ნებით; რომელთა ზედაც ხელ-მწიფე ვიყავ: პარსა, უვჯა, ბაბირუ, ასურა, არაბაია, ზღვისპირეთი, მუდრაია, სპარდა, იაუნა, მადა, არმინა, კატ-პატუკა, პართავა, ზრანკა, ჰარაიავა, უვარაზმი, ბახტრი, სუგუდა, განდარა, საკა, თატაგუ, ჰარაჰუვატი, მაკა. სულ ოცდასამი ქვეყანა... ეს ქვეყნები, რომელიც წილად მხვდა აჰურამაზდას ნებით, მე მმონებდნენ, ჩემთვის ხარკი მოჰ-ქონდათ."[2]

დარიოს I-ის სხვა წარწერები არა მხოლოდ ადასტუ-რებენ ბეჰისტუნის წარწერის ზემომითითებულ ინფორმა-ციას, არამედ მნიშვნელოვნად ავსებენ კიდეც მას. მაგალი-თად, ნახშ-ი რუსტამის სახელით ცნობილ ადგილას, კლდეში ამოკვეთილ სამოცსტრიქონიან ძველ სპარსულ წარწერაში ჩამოთვლილია 30 გეოგრაფიული და ეთნიკური

სახელი დაპყრობილი ქვეყნებისა და ხალხისა, სადაც „კაპადოკია" დარიოსის მიერ დამორჩილებული ქვეყნების გრძელ სიაში კვლავ დასტურდება: „ამბობს მეფე დარაიავაჰუ: აჰურამაზდას ნებით დავიპყარ მე ეს ქვეყნები სპარსეთის გარდა, მე მათ ვეუფლე და ვყავ მოხარკედ, აღასრულებდნენ ბრძანებას ჩემსას და მიჰყვებოდნენ კანონსა ჩემსა: მიდია, უვჯა, ჰარაიავა, პართი და ბახტრი, სოღდნი, ხვარაზმი, ჰარაუვატი, თატაგუ, ზრანკა, განდარა, სკვითნი, ჰაუმავარგა, ჰინდო და სკვითნიც ქუდწვეტიანნი, მუდრაია, ასურ-ბაბილონი, არაბეთი, არმინა, სპარდა და კატპატუკა, იავანნი ფარის მპყრობელნი, პუნტი, ქუშია, მაჩია, კარკა."[3]

დასახელებული წარწერებიდან ისიც ირკვევა, რომ ტერმინ „კაპადოკია"-ს („კატპატუკა-ს") ძველი რაიმე შესატყვისი არ მოეპოვება. სპარსული ტექსტის როგორც ელამურ, ასევე აქადურ ვარიანტებში ეს ტერმინი უცვლელადაა გადატანილი (ელამური Qa-at-ba-du-qa, აქადური Ka-at-pa-tuk-ka).

მოყვანილ ფრაგმენტებში კაპადოკია არმენიასა და სარდეს შორის არის დასახელებული, რაც, როგორც ჩანს, საკმაოდ სწორად ასახავს კაპადოკიის გეოგრაფიულ ადგილმდებარეობას.[4] ძველი სპარსული ტექსტების მიხედვით, კაპადოკიას აღმოსავლეთიდან ურარტუ (არმინა), ხოლო დასავლეთიდან – ლიდია (სპარდა) ესაზღვრებოდა.*

---

* სარდე ლიდიის დედაქალაქი - ლიდიის მეფეთა რეზიდენცია იყო. სარდე მოგვიანებით ჯერ სპარსეთის იმპერიის სატრაპთა, ხოლო შემდეგ სელევკიდების დინასტიის მესვეურთა რეზიდენციას წარმოადგენდა. „ოქრომრავალი" ლიდია მდ. ჰერმოსის დაბლობში, მცირე აზიის დასავლეთ სექტორში მდებარეობდა. ჩრდილოეთიდან მას დიდი ფრიგია ესაზღვრებოდა, ხოლო სამხრეთიდან – კარია.

ძვ. წ. X-VII საუკუნეებში დიდი კაპადოკია რამდენიმე სამეფო-სამთავროს იტევდა. ასურული წერილობითი ძეგლების მონაცემებით, ძვ. წ. IX-VII საუკუნეებში დიდი კაპადოკიის ტერიტორიაზე მდებარეობდნენ: მელიდის ქვეყანა (ევფრატთან თოხმა-სუს შეეროების ადგილას, დღევ. მალატიის მიდამოებში)[5], კამანუ (მელიდსა და თილ-გარიმუს შორის)[6], თაბალის ქვეყანა (დღევ. გურუნ-შახრი-პოზანდის დასავლეთით, შუა ჰალისის აღმოსავლეთითა და სამხრეთით)[7], ხილაქუ (დღევ. ბულღარ-დაღის სექტორში, დღევ. პოზანდისთან)[8], თუხანის, თუნას და შინუხთუს** ქვეყნები.

ანტიკური ხანის წერილობითი წყაროების მონაცემებით, კაპადოკიას აღმოსავლეთიდან ესაზღვრებოდა არმენია (დიდი არმენია), სამხრეთიდან კილიკია, დასავლეთიდან მდინარე ჰალისის (დღევ. ყიზილ-ირმაკის) გაყოლებით – დიდი ფრიგია, ჩრდილოეთიდან – ევქსინის პონტო.[9]

ლიდიასა და არმენიასთან კაპადოკიის ახლო გეოგრაფიულ მდებარეობაზე ძველი ბერძენი ისტორიკოსი ჰეროდოტეც (ძვ. წ. 484-425 წწ.) მიუთითებს. იგი გვამცნობს: „ლიდიასა და ფრიგიაზე მოდის 20 სადგური, ფრიგიიდან მდინარე ჰალისისაკენ უხვევს [გზა], [ჰალისთან] არის ბჭეები, რომელთა გავლაც ყველასთვის აუცილებელია იმისათვის, რომ გადავიდნენ მდინარეზე და იქვე არის დიდი საყარაულო. რომ გადახვალ კაპადოკიაში და იქ ივლი კილიკიის საზღვრებამდე, არის 30 ბჭე და გზას გაივლი კილიკიაზე, არის სამი სადგური. კილიკიისა და არმენიის საზღვარი არის სანაოსნო მდინარე, რომლის სახელიც არის ევფრატი".[10]

** შინუხთუ თუნას გვერდით მდებარეობდა. თუნას ეძებენ ტიანადან სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ანტიკური თინას (დღევ. ზეივეს) ადგილზე.

როგორც ვხედავთ, ჰეროდოტე დეტალურად აღწერს სამეფო გზას სარდედან სუსამდე და ნათელ წარმოდგენას გვიქმნის დიდი კაპადოკიის მდებარეობაზე.

სტრაბონის (ძვ. წ. I ს.- ახ. წ. I ს.) მოწმობით, მაკედონელებმა კაპადოკია ორ სატრაპიად გაყოფილი მიიღეს. მაკედონელების მმართველობის ხანაში ყოფილი სპარსული სატრაპიები დამოუკიდებელ სამეფო-სამთავროებად იქცა. ერთ-ერთს ამ სამთავროთაგან საკუთრივ „კაპადოკია", „ტავროსთან მდებარე კაპადოკია", ანუ „დიდი კაპადოკია" ეწოდა, ხოლო მეორეს – „პონტო" ანუ „პონტოს კაპადოკია".[11]

არმენიის აღწერისას, სტრაბონი კაპადოკიასთან დაკავშირებით სხვა ცნობებსაც გვაწვდის. კერძოდ, გეოგრაფოსის თვალსაზრისით, ტიგრანისეული არმენია ესაზღვრებოდა მიდიასა და ალბანიას, იბერიის ოლქებს კოლხიდამდე, კაპადოკიამდე და ევქსინის პონტომდე. ამ თვალსაზრისს იგი თავისი თხზულების სხვა ადგილასაც იმეორებს და აღნიშნავს, რომ საკებმა არმენიის საუკეთესო მიწები დაიპყრეს, შემდეგ კაპადოკიელებამდეც, უფრო ზუსტად, კაპადოკიის მეზობელ ევქსინამდე მიაღწიეს, რომელსაც სტრაბონის დროს „პონტოს" უწოდებდნენ.[12]

პონტოს მთები დიდი და პონტოს კაპადოკიის ბუნებრივ საზღვარს წარმოადგენდა. სტრაბონის თანახმად, მთების ეს სისტემა ქამანენას უკიდურეს დასავლეთ სექტორიდან იწყებოდა და ლავიანსენეს აღმოსავლეთ კუთხემდე გასდევდა დიდ კაპადოკიას. სამხრეთიდან დიდ კაპადოკიას ტავროსი საზღვრავდა, დასავლეთიდან – მდ. ჰალისი, ხოლო აღმოსავლეთიდან – მდ. ევფრატი, რომელზეც კაპადოკია-არმენიის საზღვარი გადიოდა.[13]

ძველი ბერძენი ფილოსოფოსის პოსეიდონიოს ანამიელის (ძვ. წ. 128-45 წწ.) თხზულებაში „ისტორია", პირვე-

ლად ვხვდებით ტერმინს „ზემო კაპადოკია", რომელსაც, ავტორის ცნობით, მითრიდატე ფლობდა ბითვინიასთან და პამფილიასთან ერთად კილიკიამდე.[14]

ტერმინი „კაპადოკია" სხვა ქვეყნებთან ერთად დიოდორე სიცილიელის (ძვ. წ. 90-21 წწ.) „ბიბლიოთეკაშიც" ფიგურირებს. აქ ავტორი მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ როგორ გააერცელა ნინა ასირიელმა თავისი ძალაუფლება ტროადა'ზე, ჰელესპონტის ფრიგიასა და პროპონტიდა'ზე (მარმარილოს ზღვა), ბითვინია'ზე, კაპადოკიასა და ზღვისპირა ბარბაროსულ (პონტოს) ტომებზე, რომლებიც ფლობდნენ მხარეს ვიდრე ტანაისამდე (დღევ. მდ. დონამდე).[15]

ძველი ბერძენი მწერალი პლუტარქე (ახ. წ. 46-120 წწ.) ნარკვევში „პომპეუსი" სარდალ პომპეუსის მიერ დამორჩილებულ ქვეყნებსა და ხალხებს შემდეგი თანმიმდევრობით წარმოგვიდგენს: „პონტო, არმენია, კაპადოკია, პაფლაგონია, მიდია, კოლხიდა, იბერია, ალბანია".[16]

ბერძენი ისტორიკოსი მემნონი (ახ. წ. I-II სს.) თავის ნარკვევში „ჰერაკლეა" საკუთრებით ადასტურებს პლუტარქეს ზემოთ მოყვანილ ცნობას. დიდი კაპადოკიის ლოკალიზაციისათვის საინტერესო ცნობები მოეპოვება ფლავიუს არიანესაც (ახ. წ. II ს.). იგი იმპერატორ ადრიანეს და ანტონინეს თანამედროვე იყო და კაპადოკიას legalus Augusti pro praetore სტატუსით მართავდა. მან პონტოდან დიოსკურიამდე ზღვით იმოგზაურა და შექმნა თხზულება „შემოვლა ევქსინის პონტოზე". ავტორი აქ ასახელებს კაპადოკიაში მდებარე გეოგრაფიულ პუნქტს – ტიანას, რომელიც მისი ცნობით, მას ტავროსის მეფის, ტოანტას სახელის მიხედვით დაერქვა. თქმულების თანახმად, დევნილ მეფეს ამ ქვეყნამდე მიუღწევია და ავადმყოფობისგან აქვე გარდაცვლილა.[17] ცნობები კაპადოკიაზე რომაულ წერილობით წყაროებშიც მოგვეპოვება. კლავდიუს პტოლემაიოსის (ახ. წ.

161-180 წწ.) „გეოგრაფიაში" მცირე აზიის რუკა შემდეგნაირადაა წარმოდგენილი: „დიდ არმენიას დასავლეთიდან ესაზღვრება კაპადოკია ევფრატის მონაკვეთის გასწვრივ, კაპადოკიის პონტოდან კოლხიდამდე, მოსხების მთების გაყოლით".[18] აქ ავტორი ორივე კაპადოკიას უნდა გულისხმობდეს.

პონტოს კაპადოკიას იცნობს მითრიდატეს ომების ისტორიკოსი დიონ კასიუსიც (159-235 წწ.): „სკრიბონი თავს ასაღებდა მითრიდატეს შვილიშვილად და ირწმუნებოდა, რომ მან მიიღო სამეფო ხელისუფლება ავგუსტუსისაგან ასანდრას სიკვდილის შემდეგ, შეიროთ რა ცოლად მისი მეუღლე სახელად დინამია, რომელიც იყო ფარნაკეს ქალიშვილი და მითრიდატეს შვილიშვილი, ცდილობდა აეღო ბოსფორი... აგრიპამ გაგზავნა მის წინააღმდეგ პოლემონი, მეფე პონტოს კაპადოკიის ნაწილისა".[19]

დიდი კაპადოკიის ლოკალიზაციასთან დაკავშირებით საინტერესო ცნობებია დაცული იმავე დიონ კასიუსის „რომის ისტორიაში". ავტორის თანახმად, პომპეუსის მიერ დაარსებული ქალაქი ნიკოპოლისი, სადაც მან მითრიდატეს სძლია, კაპადოკიაში მდებარეობდა. რომაელებთან ფარნაკის ბრძოლის აღწერისას, ავტორი გვამცნობს, რომ იგი ამა თუ იმ დამპყრობლის ხელში არაერთგზის გადასულა. ამ მიზეზით მისი საზღვრები ხშირად განიცდიდა ცვლილებას. დიონ კასიუსის ცნობით, ფარნაკს ეგვიპტეში რომაელების ყოფნით უსარგებლია და ყოველგვარი შრომის გარეშე არმენია დაუქვემდებარებია. ძვ. წ. 53 წელს მის ქვეშევრდომობაში კოლხიდა, კაპადოკია და პონტოს ზოგიერთი ქალაქიც მოქცეულა.[20]

ეპიფანე (314-367 წწ.) ნარკვევში „მანიქეველთა წინააღმდეგ", კაპადოკიას კილიკიასა და გალატიას შორის ათავსებს. ფილოსტორგიც (IV ს.) ადასტურებს ეპიფანეს ცნო-

ბას და გვამცნობს, რომ სკვითებს გალატიასა და კაპადოკიაზე გაუვლიათ და იქ ხელთ დიდძალი ტყვეები უგდიათ.

ფილოსტორგის ამ ცნობას რომაელი ისტორიკოსებიც ადასტურებენ ('ხოსიმე 450-502 წწ. „ახალი ისტორია" და იულიუს კაპიტოლინი „ორი გალილეელი"). იულიუს კაპიტოლინის თანახმად: „სკვითები შეიჭრნენ კაპადოკიაში, იქ მათ აიღეს ქალაქები და ომს დიდხანს წარმატებით აწარმოებდნენ, შემდეგ გაემართნენ ბითვინიაში".[21] ზოსიმე კაპადოკიას კილიკიასა და არმენიას შორის ათავსებს.

კვინტუს რუფუსი (ახ. წ. I ს.), რომელმაც „ალექსანდრე დიდის ისტორია" დაწერა, კაპადოკიის გეოგრაფიული მდებარეობის წარმოსადგენად შემდეგ საინტერესო ცნობას გვაწვდის: „ტაერის მთები, უერთდება კავკასიის მთებს, დაწყებული კაპადოკიიდან მიდის კილიკიაზე და ერწყმება არმენიის მთებს".[22]

მარკუს ციცერონის (ძვ. წ. 106-43 წწ.) „აგრარულ კანონში" კაპადოკია ძველი ომების შედეგად დაპყრობილ სამეფო მიწების სიაში ფიგურირებს და აქედან გამომდინარე, იგი რომის პროვინციადაა აღქმული. იმავე ავტორის ცნობით, დიდი კაპადოკია 10 ადმინისტრაციულ ოლქად იყოფოდა. ესენია: მელიტენა, კატაონია, კილიკია (მაზაკა-კაისერის შემცველი ოლქი), ტიანიტიდა, მარსავრიტიდა, ლავიანსენა, სარგარავსენა, სარავენა, ქამანენა და მორიმენა.[23]

ესპანელი პრესვიტერი პაელე ოროსი (ახ. წ. IV ს.) ნარკვევში „მსოფლიო ისტორია"გვამცნობს, რომ კაპადოკიას აღმოსავლეთიდან არმენია ესაზღვრება, დასავლეთიდან ა'სია, ჩრდილოეთიდან თემისკირას დაბლობი და კიმერიის ზღვა.[24] იქვე ავტორი პონტოს კაპადოკიაზე საუბრისას თემისკირას მიწებს, მდინარე თერმოდონტს და პონტოს კაპადოკიის ზღვისპირა ზოლს ასახელებს.

ამგვარად, ძველაღმოსავლური და ანტიკური ხანის წერილობით წყაროებში არაერთი საყურადღებო ცნობაა შემონახული დიდი კაპადოკიის ადგილმდებარეობის ლოკალიზაციისათვის. როგორც წესი, ძველი ავტორები დიდი კაპადოკიის მეზობელ ქვეყნებად არმენიას (ურარტუს), კილიკიას, ლიდიას, ფრიგიას და პაფლაგონიას წარმოგვიდგენენ. დიდი კაპადოკიის ისტორიული საზღვრების დასადგენად ისიცაა მნიშვნელოვანი, რომ მის საზღვრებზე საუბრისას ხშირად წერილობით წყაროებში ფიგურირებენ ტავროსი, პონტოს მთები და მდინარე ჰალისი (დღევ. ყიზილირმაკი).

---

1. R. G. Kent, Old Persian, New Hawen, 1953, p. 178.
2. ВДИ 1, 1947, с. 277, ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ქრესტომათია, თბილისი, 1990, გვ. 298.
3. ВДИ 1, 1947, с. 279.
4. R. G. Kent, Old Persian, DBI 15, DPE12, DNA 28, DSE 27, DSM 8.
5. J. Delaporte, Malatia, Paris, 1940, p. 5-7; Г. А. Меликишвили, Наири-Урарту, Тбилиси, 1954, с. 53-54.
6. J. Garstang, O. R. Gurney, The Geography of the Hittite Empire, London, 1959, p. 46.
7. ნ. ხაზარაძე, თაბალის ქვეყნის ადგილმდებარეობისათვის, "ძველი ისტორიის საკითხები", III, 1970, გვ. 64.
8. Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, Тбилиси, 1959, с. 74; ნ. ხაზარაძე, სამხრეთ-აღმოსავლეთ მცირე აზიის ისტორიული გეოგრაფიიდან, "კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები", თბილისი, 1966, გვ. 34-39.

9. ნ. ხაზარაძე, თაბალის ქვეყნის ადგილმდებარეობისათვის, გვ. 69.
10. Herodotus, I, 72, 73, 76; V 49, 52.
11. თ. ყაუხჩიშვილი, ჰეროდოტეს ცნობები საქართველოს შესახებ, თბილისი, 1960, გვ. 101.
12. Strabo, XII, 1, 4.
13. ВДИ 4, 1947, с. 228.
14. Strabo, XII, 1, 4 და შმდგ.
15. ВДИ 3, 1947, с. 314.
16. ВДИ 4, 1947, с. 249.
17. ВДИ 4, с. 284.
18. ВДИ 1, 1948, с. 267.
19. ВДИ 2, с. 254.
20. ВДИ 2, с. 276.
21. ВДИ 2, с. 274.
22. ВДИ 3, 1949, с. 261.
23. ВДИ 1, 1949, с. 290.
24. ВДИ 4, 1949, с. 264.

§2. ბიბლია როგორც მესხების უძველესი ისტორიის წყარო

ცნობილია, რომ ჯერ კიდევ XIX საუკუნის ქართველი და უცხოელი ისტორიკოსების ნაწილმა (დ. ბაქრაძე, ალ. ხახანაშვილი, მ. ჯანაშვილი, ჰ. გელცერი, ე. შრადერი, ფ. ლენორმანი და სხვები) ასურული წყაროების მუშქები-მუსქები ქართველური ტომის – მოსხების, მესხების წინაპრებად მიიჩნია.[1] შემდგომში ეს საკითხი ივ. ჯავახიშვილის, ს. ჯანაშიას, გ. მელიქიშვილის, ნ. ხაზარაძის კვლევის საგნად იქცა, რომელთა შრომებში ასურული წყაროების „მუშქები" შემდეგდროინდელი მესხების წინაპრებად მოიაზრება. „ბიბლიის" ებრაულ ტექსტებში ასურულ „მუშქებს" „მეშეხი" შეესატყვისება, „ბიბლიის" ბერძნულ და ლათინურ თარგმანებში – „მოსოხი", ხოლო „ბიბლიის" ქართულ თარგმანებში – „მოსოხი", „მოსექი".

თუ გავიზიარებთ მეშეხ-მოსოხთან მესხის გაიგივების თვალსაზრისს, მაშინ დავინახავთ, რომ „ბიბლია" მესხების ძველი ისტორიის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს.

„ბიბლიის" მცხეთურ ხელნაწერში მოსოქი ნოეს ერთ-ერთი ვაჟის – იაფეტის მეშვიდე ძედ იწოდება: „ძენი იაფეტისანი ღამერ, და მაგოგ, და მადიმ, და ავან, და ელიოსან, და თობელ, და მოსოქ და თირას" (დაბადება, 10:2). მოსოქი ნოეს უფროსი ძის – სემის შთამომავალთა შორისაც მოიხსენიება: „ძენი სემისნი: ალიმ, და ასსურ, და არფაქსად, და ლ'უდდ, და არამ, და კაინან" (დაბადება, 10:22); „და ძენი არამისნი: ოს, იულ, ღათერ და მოსოხ" (დაბადება, 10:23).[2]

ამგვარად, „დაბადების" წიგნმა მოსოხთან დაკავშირებით ორი, ერთმანეთისაგან განსხვავებული ნუსხა შემოგვინახა. თუ პირველი ნუსხის მიხედვით მოსოქი იაფეტის ძედ

მოიხსენიება, მეორე ნუსხის თანახმად, იგი სემის შვილიშვილად გვეელინება.

ახ. წ. 334 წლის „შესაქმეს" წიგნის ლათინური თარგმანი ე. წ. Liber Generationis ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით ახალ ინფორმაციას გვაწვდის. Liber Generationis პირველი ვერსიით: „იაფეტის ტომები... [ესენი არიან] მიდები, ალბანები, გარგანები, არრეები, არმენები, ამაზონები, ხოლები, კორზიენები, ბენაგენები, კაპადოკიელები, პაფლაგონიელები, მარიანდელები, ტიბარენები, ხალიბები, მოსსუნოტები, კოლხები..." იგივე წყაროს მეორე ვერსიით: „ქამის შთამომავალთაგან წარმოიშვნენ მეფეები ანუ ტომები: ეთიოპელები, ტრიგლოდიტები, აგბეები... მუსიელები, მოსინიტები, ფრიგები, მაგონები, ბიოვინები..." და ბოლოს, მესამე ვერსიით: „სემის შვილები არიან: ელამ, რომლისაგან არიან ელუმეები; ასირ, რომლისაგან არიან ასირიელები; არფაქსატ, საიდანაც არიან ხალდეები; ლუდინ, საიდანაც არიან ლაზონები; არამ. არამის შვილები არიან: ოსკეულნი, რომლისაგან არიან ლიდიელები, გარტერი, რომლისაგან არიან გასფენები და მოსოკი, რომლისაგან არიან მასსინები."[3]

აქედან გამომდინარე, Liber Generationis ავტორი პირველ ორ შემთხვევაში მოსოხებს საერთოდ არ მოიხსენიებს, თუმცა მოსსუნოტებს (იგივე მოსინიკებს) ხალიბებსა და კოლხებს შორის – ქართველურ ტომთა განსახლების რეგიონში ათავსებს. ხოლო ბოლო ვერსიაში მოსოქებს მასსინების, ალბათ იგივე მოსინიკების* პირველ წინაპრად წარმოგვიდგენს.

---

* მოსინიკები ანუ მოსინოიკები – ქართველი ტომი შავი ზღვის სანაპიროზე, კერასუნტის ახლოს. ქსენოფონტის მიხედვით ისინი ლოკალიზდებიან ტიბერენებსა და დრილებს შორის.

„ნეშტთა" წიგნის იმ ადგილას, სადაც ისრაელიანთა საგვარეულო აღწერილობაა მოცემული, ჩვენთვის საინტერესო მოსოხი მოსექის სახით არის დამოწმებული და იგი ბენიამენის ტომთა შორის ფიგურირებს: „და ბარიგა და საამა – ესე მთავარნი ტომთანი მკვიდრთა აილამისთა და ამათ განასხნეს დამკვიდრებულნი გედისანი" (I ნეშტთა, 8:13). „და ძმანი მისნი მოსექ და არიმუთ" (I ნეშტთა, 8:14).[4]

ცნობილია, რომ ასეთი ფორმა დასტურდება სამარიტანული „ბიბლიის" ბერძნულ თარგმანში – Mōsek, ხუნძურიდან მომდინარე „მოსექშიც", „ბიბლიის" გვიანდელი კომენტატორის იოსებ ფლავიუსის თხზულებასა და მასთან დაკავშირებული ისტორიული ძეგლების ქართულ თარგმანებშიც. „ბიბლიის" სირიულ და არაბულ თარგმანებში მოსოხი სემის შთამომავალთა შორის მოიხსენიება Māš ფორმით, ხოლო იაფეტის შვილთა შორის Mašik სახით არის დამოწმებული.[5]

„ბიბლიაში" დაცული ცნობები წარმოდგენას გვიქმნის მესხთა გეოგრაფიულ და ეთნო-პოლიტიკურ გარემოცვაზე, რასაც მოყვანილ ცნობებთან ერთად, ესაიას და ეზეკიელის წინასწარმეტყველებათა წიგნებიც ადასტურებენ: „და დაუტეო – მათ თანა სასწაული და განვავლინე მათგან ცხოვნებულნი წარმართთა მიმართ თარშიდ და ფუდდ, და ლუდდ, და მოსოხდ, და თოველდ, და ელადად მიმართ..." (ესაია, 66:19)[6] ეზეკიელთან მოსოხს თობელის გვერდით არაერთგზის ვხვდებით: „მუნ მიეცნეს მოსოქ და თობელ და ყოველი ძალი თითოეულისა მათისა, საფლავისა მისისა გარემოისთაგანისა, ყოველნი წყლულნი, მათნი, ყოველნი წინადაუცვეთელნი, წყლულნი მახვილისა მიერ, მიმცემელნი შიშსა მათსა ქვეყანასა ზედა ცხორებისასა" (ეზეკიელი, 32:26). სხვა ადგილას ეზეკიელი ამბობს: „იონია, თობელი და მოსოხი ვაჭრობდნენ შენ შორის სულებსა კაც-

თასა და ჭურჭელნი რვალისანი მისცეს საეჭროდ შენდა" (ეზეკიელი, 36; 1, 2, 3).[7] ეზეკიელის წინასწარმეტყველებაში თობელი და მოსოხი კიდევ რამდენიმე ადგილას მოიხსენიება: „ძეო კაცისაო, განიმტკიცე პირი შენი გოგსა ზედა და ქვეყანასა ზედა მაგოგთასა მთავარსა როსს, მოსოხს და თობელს და წინასწარმეტყველებდ მის ზედა" (ეზეკიელი, 38:2); „და არქუ მას: ამათ იტყჳს უფალი: აჰა, მე შენ ზედა, გოგ, მთავარსა როსს, მოსოხს და თობელს" (ეზეკიელი, 38:3), - და იქვე: „და შენ, ძეო კაცისაო, წინასწარმეტყველებდ გოგსა ზედა და არქუ: ამათ იტყჳს ადონაი უფალი: აჰა, მე შენ ზედა, გოგ მთავარსა როსისსა, მოსოქს და თოველს" (ეზეკიელი, 39:1).[8] და ბოლოს, კიდევ ერთი საინტერესო ადგილი ეზეკიელის წინასწარმეტყველებიდან, სადაც მოსოქის გვერდით ედომი იხსენიება: „მუნ ედომ და მოსოქ, მეფენი მისნი, და ყოველნი მთავარნი მისნი, მიმცემელნი ძალსა მათსა წყლულებად მახვილისა, ამათ წყლულთა თანა დაიძინეს, შთამავალთა თანა მღჳმედ" (ეზეკიელი, 32:29).[9]

ბიბლიის წიგნებში მოხსენიებული იაფეტის შთამომავალთა და ჩვენთვის საინტერესო მეშეხ-მოსოხის ადგილსაცხოვრისის შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს „ბიბლიის" გვიანდელი კომენტატორების შრომებში ვხვდებით.

ახ. წ. I საუკუნის ებრაელი ისტორიკოსი იოსებ ფლავიუსი გადმოგვცემს: „ნოეს შვილებს ეყოლათ ვაჟები, რომელთა პატივისცემით სახელები დაარქვეს ტომებს, რომელთა მიწაც ამათ დაიჭირეს. იაფთას, ნოეს შვილს ჰყავდა შვიდი ვაჟი. ისინი ცხოვრობდნენ ტავროსისა და ამანის მთებიდან დაწყებული და აღწევდნენ აზიაში მდინარე ტანაისამდე, ხოლო ევროპაში – გადეირამდე. აი, ეს მიწა მათ ეჭირათ. მათზე უწინ [ამ მიწაზე] არავის უცხოვრია და ტომებს, მათ მიხედვით დაერქვა სახელები."[10] მსგავსი ცნო-

ბა დაცულია ევსტათი ანტიოქელის (280-360 წწ.) ოხსულებაში „ორიგენეს წინააღმდეგ", რომელშიც ნათქვამია: „ნოეს ჰყავდა სამი ვაჟი: სემი, ქამი და იაფეტი; ისინი დასახლდნენ დაწყებული ტავრისა და ამანის მთებიდან და მივიდნენ აზიაში მდინარე ტანაისამდე, ხოლო ევროპაში ვიდრე ღადირთამდე."[11] Liber Generationis თანახმად, „იაფეტის ტომები მიდიიდან ოკეანის დასავლეთ კიდემდე არიან გადაჭიმული ჩრდილოეთისაკენ."[12] XI საუკუნის ქრონოგრაფი ლეონ გრამატიკოსი, რომელიც იოსებ ფლავიუსის შრომით სარგებლობდა, იაფეტის წილხვდომილ მიწაზე განლაგებულ შემდეგ ქვეყნებს ჩამოთვლის: „ნოეს მესამე ვაჟს იაფეთს წილში ხვდა ქვეყნები, რომელთა სახელებია: მიდია, ალბანია, არმენია, როგორც მცირე ისე დიდი კაპადოკია, პაფლაგონია..."[13] ეს მოსაზრება ფიგურირებს ბიზანტიელი მწერლის იოანე ზონარას (XI ს. ბოლო XII ს. დასაწყისი) ნაშრომში „ისტორია". იგი გადმოგვცემს: „იაფეტს ჰყავდა შვიდი ძე, რომლებიც ტავრის და ამანის მთებიდან გადმოვიდნენ და [დასახლდნენ] აზიაში, ტანაისის მდინარემდე, ხოლო ევროპაში – ღადირთ [ქვეყნამდე]."[14]

„ბიბლიის" კომენტატორები პირდაპირ მიუთითებენ მეშეხ-მოსოხის კუთვნილ ტერიტორიაზე კაპადოკიაში. იოსებ ფლავიუსი გადმოგვცემს: „მოსოხენები დაფუძნებული არიან მოსოხის მიერ, ახლახან მათ კაპადოკიელები ეწოდათ, ხოლო ძველი მათი სახელწოდების ნიშანიც ემჩნევათ. რამეთუ მათ აქვთ დღესაც ქალაქი მაზაკა, რომელიც ნათელ ყოფს იმათთვის, ვისაც შეუძლია გაიგოს, რომ ოდესღაც ასე ეწოდებოდა მთელ ტომს."[15]

ამ მოსაზრებას ადასტურებენ „ბიბლიის" სხვა კომენტატორებიც. ევსტათი ანტიოქელი გვამცნობს: „ოსოხი, რომლისაგანაც არიან მესხენები, დღევანდელი კაპადოკიელები."[16] თეოდორიტე კვირელი (393-457/8 წწ.) მსგავს კონ-

ტექსტში განიხილავს ესაიას წინასწარმეტყველების ერთ ადგილს: „წმინდა მოციქულებს უთხრა უფალმა: წადით და დამოძღვრეთ ყველა ტომი. მათ'ხე ასრულდა წინამდებარე წინასწარმეტყველება. იმათ ყველა ტომს მოუტანეს ღვთაებრივი ქადაგება. თარსის უწოდებს ის კარქედონს, ლიბიის დედაქალაქს; ფუდ – ლიკიელთა მთელ ტომს; ლუდ – ლიდიელებს; მოსოხ – კაპადოკიელებს და თობელ – იბერებს."[17]

როგორც ჩანს, ამ მოსაზრებას მიმდევრები დიდი ხნის განმავლობაში ჰყავდა. ლეონ გრამატიკოსი განმარტავს: „იაფეტის ვაჟთაგან მომდინარეობენ: მესხოსაგან – მესხები, რომელთაც ახლა კაპადოკიელები ეწოდებათ, საიდანაც არის მაზაკა, მათი დედაქალაქი". იოანე ზონარაც ასევე განმარტავს, რომ „მოსოხისგან წარმოიშვა მესხინთა ტომი, ესენი აწ კაპადოკიელებად სახელიდებიან."[18]

აღსანიშნავია, რომ ეპიფანე კვირელთან (314–403 წწ.) კაპადოკიელები მოხსენიებულია სემის ტომთა ჩამონათვალში, სადაც იგი ფიგურირებს ეგვიპტელებსა და ფინიკიელებს შორის. კაპადოკიელები იაფეტის ტომთა შორისაც ჰყავს მოხსენიებული და ამ შემთხვევაში იგი წარმოდგენილია გალატელებსა და პაფლაგონიელებს შორის.[19] ეპიფანე კვირელის ეს ორი, ერთმანეთისაგან განსხვავებული გენეალოგიური სქემა, ვფიქრობ, ხაზს დიდი კაპადოკიის ეთნიკურ მრავალსახეობას უსვამს.

„ბიბლიის" გვიანდელ განმარტებებში მოსოხის შთამომავალთა ახსნის სხვა ვარიანტსაც ვხედებით. Liber Generationis-ის ავტორი კაპადოკიელების პირველ წინაპრად იაფეთის ძეს გამერს წარმოგვიდგენს. შესაძლოა, მას ემყარებოდა „პასქალური ქრონიკის" (VII ს.) ავტორი და გიორგი სინგელოზი (VIII-IX სს.), რადგან მათ მიერ წარმოდგენილი გენეალოგიური სქემა სიახლოვეს სწორედ „შესაქმეს"

წიგნის ლათინურ თარგმანთან ამყლაენებს. „პასქალური ქრონიკის" უცნობი ავტორის განმარტებით „მოსოხისაგან წარმოიშვნენ გეტულები." გიორგი სინგელოზის ცნობითაც „კაპადოკიელები წარმოიშვნენ გამერისაგან, თობელისაგან – თეტალიელები და მოსოხისაგან – ილირიელები."[20]

---

1. ნ. ხაზარაძე, საქართველოს ძველი ისტორიის ეთნო-პოლიტიკური პრობლემები, თბილისი, 1984, გვ. 141.
2. მცხეთური ხელნაწერი (მოსეს ხუთწიგნეული, ისო ნავე, მსაჯულთა, რუთი), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევები დურთო ელ. დოჩანაშვილმა, თბილისი, 1981, გვ. 62.
3. „გეორგიკა", I, 1961, გვ. 13, 16, 17.
4. მცხეთური ხელნაწერი (მეფეთა I, II, III, IV; ნეშტთა I, II; ეზრას I, II, III წიგნები), გამოსაცემად მოამზადა ელ. დოჩანაშვილმა, თბილისი, 1982, გვ. 258; იხ. Arabie Bible, Beirut, 1966/77.; Syrian Patriarchate, Damascus, 1979.
5. ნ. ხაზარაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 187-188.
6. მცხეთური ხელნაწერი (ეკლესიასტე, სიბრძნე სოლომონისა, ქება ქებათა სოლომონისა, წინასწარმეტყველთა წიგნები – ესაია, იერემია, ბაქური, ეზეკიელი), გამოსაცემად მოამზადა ელ. დოჩანაშვილმა, თბილისი, 1985, გვ. 154.
7. ნ. ხაზარაძე, ბიბლია და მესხების უძველესი ისტორია, მესხეთი, ისტორია და თანამედროეობა, ახალციხე, 2000, გვ. 10.
8. მცხეთური ხელნაწერი (წინასწარმეტყველთა წიგნები - ესაია, იერემია, ბაქური, ეზეკიელი), გვ. 350-352.
9. მცხეთური ხელნაწერი, დასახ. ნაშრ. გვ. 340.

10. თ. ყაუხჩიშვილი, ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, V, თბილისი, 1963, გვ.48.
11. „გეორგიკა", I, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, 1961, გვ. 34, 13.
12. „გეორგიკა", V, თბილისი, 1963, გვ. 3.
13. „გეორგიკა", VI, თბილისი 1966, გვ. 182.
14. „გეორგიკა", I, გვ. 271.
15. „გეორგიკა", I, გვ. 35.
16. „გეორგიკა", I, გვ. 221-222.
17. „გეორგიკა", V, გვ. 4.
18. „გეორგიკა", V, გვ. 182.
19. „გეორგიკა", I, გვ. 39-40.
20. „გეორგიკა" VI, გვ. 183-184.

§3. აღმოსავლეთი კაპადოკია ძვ. წ. IX-VII სს-ის ასურული წერილობითი წყაროების მონაცემთა შუქზე

ძვ. წ. IX-VII სს-ის კაპადოკიაში, რომლის საზღვრები ევფრატის დასავლეთ სანაპირომდე აღწევდა, ასურული წერილობითი ძეგლების მონაცემებით რამდენიმე მსხვილი პოლიტიკური გაერთიანება არსებობდა. ესენია: მელიდი (დღევ. მალატიასთან)[1], კამანუ (მელიდსა და თილ-გარიმუს შორის),[2] თაბალის ქვეყანა (დიდი კაპადოკიის სამხრეთ-აღმოსავლეთით), ხილაქუს ქვეყანა (დღევ. ბულღარ-დაღის მიდამოებში, დღევ. პოზანდისთან, კილიკიის კართან), ასევე, თუხანის, თუნას, შინუხთუსა და მუშქების,[3] კუმუხისა და გურგუმის ქვეყნები.[4]

ჩვენამდე მოღწეული ყველაზე ადრეული ცნობა ძვ. წ. I ათასწლეულის დიდ კაპადოკიაში მდებარე „ქვეყნების" შესახებ თიგლათფილესერ I-ის (ძვ. წ. 1115-1077 წწ.) მეფობის ხანას განეკუთვნება. თიხის ცილინდრზე შესრულებულ წარწერაში პირველად მოიხსენიება 20 000 მუშქი და მათი ხუთი მეფე, რაც აშკარად მიუთითებს მუშქების მსხვილ პოლიტიკურ გაერთიანებაზე, რომელსაც შედარებით უფრო წვრილი ტომობრივი გაერთიანებები შეადგენდნენ. მათი ქვეყნის სიძლიერეზე თავად თიგლათფილესერ I-იც მიუთითებს: „... ვერ დაიმორჩილა ვერცერთმა მეფემ, რამეთუ საკუთარი ძალების იმედად იყვნენ..." ეს წერილობითი ძეგლი მნიშვნელოვანია მუშქების ქვეყნის ადგილმდებარეობის დასადგენად. როგორც თიგლათფილესერ I გადმოგვცემს, „...ჩამოვიდნენ (მუშქები) მთებიდან და დაიპყრეს ქათმუხის ქვეყანა...". შემდეგ მეფე გვამცნობს, რომ მან ეს 20 000 მუშქი დაამარცხა, ხოლო გადარჩენილი 6000 მას დამორჩილდა.[5]

მუშქების მოხსენიებას აშურნასირპალ II-ის (ძვ. წ. 884/3-859 წწ.) „ანალებშიც" ეხვდებით. ამ წყაროს ცნობით, მან ტიგროსი გადალახა და ქათმუხს მიუახლოვდა. აქ, ხარკის სახით, მას ქათმუხისა და მუშქების ქვეყნიდან მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი, აგრეთვე, ღვინო მიუღია.[6]

მუშქების ქვეყანა ასურეთს სალმანასარ IV-ის (ძვ. წ. 781-772 წწ.) დროსაც ემორჩილებოდა, რასაც ამავე მეფის ტურტანის* შამშილუს ლომის ქანდაკებაზე ამოკვეთილი წარწერა გვამცნობს. წარწერის მიხედვით, შამშილუ იყო „...გაერთიანებული ჯარების მეთაური, ხეთების მბრძანებელი, გუთიებისა და ნამრუს მთელი ქვეყნის, ჩამავალი მზის მთის დამპყრობი... გამანადგურებელი მუშქებისა და ურარტუს ქვეყნებისა, მათი ხალხების დამმორჩილებელი."[8]

გაცილებით უფრო კონკრეტულ ინფორმაციას სარგონ II-ის (ძვ. წ. 722-705 წწ.) სასახლის II-V დარბაზებში, ქვაზე ამოკვეთილი ლურსმული წარწერები შეიცავენ. სარგონ II-ის „ანალებიდან" ირკვევა, რომ ამბარიდუ თაბალელს კავშირი მუშქების მეფე მითასთან, ურარტუელ ურსასთან და თაბალის მეფესთან დაუმყარებია. ეს კოალიცია ასურეთის წინააღმდეგ იყო მიმართული.[9]

მუშქების ქვეყნის დაპყრობა-განთავისუფლების პროცესი კარგად არის დაფიქსირებული იგივე სარგონ II-ის ტიტულატურის ამსახველ წარწერებშიც. მაგალითად, თიხის ცილინდრზე შესრულებულ წარწერაში დაპყრობილ ქვეყნებს შორის მოიხსენიება „თაბალი მუშქების ქვეყნის საზღვრამდე."[10] ზემოხსენებული მეფის სასახლის XIV დარბაზში ამოკვეთილი წარწერის მიხედვით კი, სარგონ II-ს „...ქასქების, თაბალისა და ხილაქუს მოსახლეობა გა-

---

* ტურტანი - უმაღლესი სამხედრო ჩინი ასურეთში.

დაუსახლებია, ხოლო მუშქების ქვეყნის მეფე მითა გაუძევებია."[11]

ასურული წყაროების მიხედვით (სარგონ II-ის „ანალები"), მუშქების ქვეყანა ტერიტორიულად თაბალსა და მის უახლოეს ქვეყანა თუნას, ქუესა და ქარხემიშს უკავშირდებოდა და თავსდება მდ. ჰალისის შუა დინების სამხრეთით. ასე, მაგალითად, ქარხემიშის (დღევ. ჯერაბლუსი) მეფე პისირიმ, მსგავსად ამბარიდუ თაბალელისა „უღალატა ასურეთის ღმერთებს და კავშირი მუშქების მეფე მითასთან დაამყარა (ARAB, II,8).

იმავე მეფის სხვა წარწერაში ნათქვამია, რომ მუშქების მეფე მითას მიუტაცნია ქუეს სამი ქალაქი, რასაც ასურელების მხრიდან საპასუხო ნაბიჯები მოჰყოლია – მათ საკუთარი უსაფრთხოება დაუცავთ.[12]

და ბოლოს, მუშქების ქვეყნისა და მისი მეფის მოხსენიებას ასარქადონის (ძვ. წ. 680-669 წწ.) დროინდელ ერთ-ერთ ტექსტშიც, მეფის მიერ ღვთაება შამაშისადმი დასმულ შეკითხვებში ვხვდებით. სამწუხაროდ, ტექსტი დაზიანებულია და ამ მიზეზით მისი შინაარსი ბუნდოვანია: „[მითა, მმართველი [მუშქების ქვეყნის დასახლების(?)" და „მისი შიკრიკი [...]', „მისი ძმის ვაუი და ჯარი."[13]

პირველი ჩვენამდე მოღწეული ინფორმაცია თაბალის შესახებ სალმანასარ III-ის (ძვ. წ. 859-824 წწ.) „შავ ობელისკზე" შესრულებული წარწერაა ქალხუდან (დღევ. ნიმრუდი). წარწერის მოწმობით, ასურეთის მეფეს ევფრატის გადალახვისას მელიდი დაუპყრია. ამავე სამხედრო ოპერაციის დროს მასთან ხარკით ხელდამშვენებული თაბალის მეფე გამოცხადებულა. წერილობითი წყაროებიდან კარგად ჩანს, რომ თაბალი ევფრატისა და მელიდის დასავლეთით მდებარეობდა.[14] ისევე, როგორც ძვ. წ. XII ს. მუშქების სამეფო, თაბალიც ტომთა მსხვილ გაერთიანებას წარმოად-

გენდა. ამ ვარაუდის საფუძველს სალმანასარ III-ის წარწერა იძლევა, რომელშიც თაბალის დაპყრობასა და თაბალის 24 მეფისაგან ხარკის მიღებაზეა საუბარი.[15] ქალათშერკათში აღმოჩენილი სალმანასარ III-ის წარწერა თაბალის ბუნებრივი სიმდიდრის შესახებაც გვამცნობს: „თუნის მთა (ტავრი), ვერცხლის მთა, (და) მულის მთა, მარმარილოს მთა, მე ამოვედი. ჩემი გამოსახულება მე აღვმართე მათ შორის. უსომო რაოდენობის მარმარილო მე წავიღე. მე გავემართე ქუესა (და) თაბალის წინააღმდეგ. მათი მიწები მე დავიპყარი და დავაქციე."

სალმანასარ III-ის შემოსევა დაახლოებით ძვ. წ. 837 წ. მომხდარა.

თაბალის მოხსენიებას თიგლათფილესერ III-ის (ძვ. წ. 745-727 წწ.) წარწერებშიც ვხვდებით. როგორც ჩანს, თაბალის ქვეყანა დროდადრო მაინც ახერხებდა დამოუკიდებლობის მოპოვებას, ხარკის გაღებას წყვეტდა და დაუმორჩილებლობას აგრძელებდა. სწორედ ამის გამო, ასურეთის ახალ მბრძანებლებს ხელახლა უხდებოდათ თაბალის დაპყრობა და მისთვის ხარკის დაკისრება. თიგლათფილესერ III-ის სხვა წარწერებიც საკმაოდ ადასტურებენ ჩვენს მოსაზრებას.[16]

მაგალითად, თიგლათფილესერ III-ის ერთ-ერთი წარწერის თანახმად, უასურმე თაბალელი კელავ განუდგა ასურელებს. მეფე გვამცნობს: „...ჩემი ნდობით აღჭურვილი პირი, ხული, არავის შვილი დავსვი ტახტზე. 10 ტალანტი ოქრო, 100 ტალანტი ვერცხლი, 200 ცხენი [...]?"[17]

თაბალის შესახებ გაცილებით მეტ ინფორმაციას ვადასტურებთ სარგონ II-ის წარწერებში, სადაც მისი პოლიტიკური ისტორიაცაა ასახული და საყურადღებო ცნობებია დაცული თაბალის ქვეყნის ისტორიული გეოგრაფიისათვის.

სარგონ II-ის სასახლის II-V დარბაზებში არსებული წარწერების თანახმად, თაბალის ერთ-ერთი ოლქის მმართველს – ამბარიდუ თაბალელს, რომელიც ხულის ძე იყო, სარგონმა ცოლად თავისი ასული შეროო და ქალაქი ხილაქუც უბოძა, რითაც მისი სამფლობელო გააფართოა. მაგრამ ამბარიდუ თაბალელს დამოუკიდებლობა აურჩევია, ურთიერთობა ანტიასურულად განწყობილი მუშქებისა და ურარტუს მეფეებთან დაუმყარებია. სარგონის წარწერაში აღწერილია, თუ როგორ იძია მან შური თაბალზე: „მან კი, უმადურმა გაგზავნა მსრბოლელი ურარტუელ ურსასთან (რუსა II), მუშქების მითასთან,... თაბალის მეფესთან, რათა წაერთმიათ ჩემთვის ჩემი მიჯნები. ღვთაება აშურის მეომრები თაბალის ქვეყნის წინააღმდეგ ავამხედრე და გავანადგურე. ამბარისი, ბით-ბურუტაშის მეფე, თავის ნათესავებსა და ამალასთან ერთად 100 ორთვალით წამოვიყვანე ასურეთში."[18]

თაბალის ეკონომიკური განვითარების შესახებ საინტერესო ინფორმაციას შეიცავს სარგონ II-ის „მიმართვა" ღვთაება აშურისადმი. წერილობით ძეგლებზე შესრულებული წარწერა ურარტუს წინააღმდეგ ძვ. წ. 714 წ. მოწყობილი ლაშქრობისა და მუსასირში ღვთაება ხალდის ტაძრის საგანძურის ხელში ჩაგდების თაობაზე მოგვითხრობს. ნადავლის აღწერისას ჩამოთვლილია „ოქროს მახვილები, ... ოქროს სატევრები, ოქროს მარაო... თასები თაბალიდან ოქროს ყურებით, ვერცხლის gurpisu, ვერცხლის ვიწრო lutti და susani,... ვერცხლის azanate, თასები, mukarrisu, [მაყალ]ი (ანუ საცეცხლური), სასაკმევლე თაბალიდან..." შემდეგ მოხსენიებულია სპილენძისა და რკინის ნაკეთობანი. სამწუხაროდ, კონკრეტული საგნები არაა ჩამოთვლილი.[19] მეფობის დასასრულს სარგონ II-ს კიდევ ერთხელ ულაშქრია მცირე აზიაში. ამის შესახებ ცნობა დაცულია ძვ. წ. 500 წ. (?) და-

თარიღებულ წარწერაში „ბაბილონური B ქრონიკა." წარწერაში ნათქვამია: „[მე-16 წელს (ე. ი. ძვ. წ. 706 წ.) შარუქინი თაბალის ქვეყნის წინააღმდეგ გაემართა]." სარგონ II ძვ. წ. 705 წ. გარდაიცვალა, საეარაუდოა, მცირე აზიაში ლაშქრობისას.[20]

სინაქერიბის (ძვ. წ. 705-681 წწ.) დროინდელი ფრაგმენტული წარწერებიდან ვგებულობთ, რომ თაბალის საზღვარი თილ-გარიმუსთან გადიოდა. ეს ცნობა ნები-იუნუსაში აღმოჩენილ ქვის ფილაზე შესრულებულ წარწერაშიცაა დამოწმებული. ეს წარწერაც სინაქერიბის დროსაა შედგენილი.[21]

ასარქადონის (ძვ. წ. 681-668 წწ.) წარწერების მიხედვით თაბალი ტყიანი მთებით იყო გარშემორტყმული.[22]

ასარქადონის კითხვები ღვთაება შამაშის ორაკულისადმი, რომლებიც გარკვეულწილად ურარტუსთან, კიმერიელებთან და სკვითებთან ურთიერთობის საკითხებს ასახავს, არაერთ საინტერესო ცნობას შეიცავს. მაგალითად, შეკითხვების ერთ ტექსტში ასურელების მეტოქედ მოიხსენიება თაბალის მეფე იშგალუ და მელიდის მმართველი მუგალუ, სადაც ასურელებთან კონფრონტაციაზეა საუბარი.[23] შეკითხვების სხვა ტექსტი კიმერიელების საომარ მოქმედებაზე მიუთითებს. წარწერის თანახმად, კიმერიელებს ჯერ კიდევ ძვ. წ. 670 წლამდე, ხილაქუსა და თაბალთან ჰქონიათ კავშირი და მათთან ერთად ასურეთის დასავლეთ პროვინციებს თავს ესხმოდნენ. ასარქადონის მცდელობებს, გამკლავებოდა კიმერიელებს, წარმატება არ მოჰყოლია, თუმცა „ცილინდრზე" შესრულებული წარწერის თანახმად „და თეუშფა კიმერიელი ხუბუშნაში თავისი ლაშქრით მე დავამარცხე იარაღით, გავანადგურე დაუმორჩილებელი ხალხი ხილაქუსი",[24] არ იყო გადამწყვეტი გამარჯვება, რადგან ასურელებმა ვერ შეძლეს ასურეთის

საზღვრების უსაფრთხოების დაცვა. როგორც შეკითხვებიდან ირკვევა, თაბალები, ხილაქუელები, კუზურაკიელები ასურეთის სასაზღვრო პროვინცია ქუეში იჭრებიან.[25]

ასარქადონის მმართველობის დროს შედგენილ შეკითხვებში მუგალუ „მელიდელად" იწოდება. უკვე აშურბანიფალის მეფობის ხანით დათარიღებულ (ძვ. წ. 668-633 წწ.) „ანალებში" იგი თაბალების მეფედ მოიხსენიება. როგორც ჩანს, მუგალუმ ასურელებთან შეტაკებისას ტერიტორიის ნაწილი და თვით ქალაქი მელიდუც დაკარგა. თუმცა, ტერიტორიის გარკვეული ნაწილი მაინც შეინარჩუნა და კიდეც გააფართოა დასავლეთის მიმართულებით. ასე რომ, იგი ერთ-ერთ თაბალელ მეფედ კვლავ რჩებოდა. აშურბანიფალის ე. წ. „რასამის ცილინდრზე" შესრულებული წარწერიდან ჩანს, რომ მუგალუ ამ დროისათვის ასურელთა დამოკიდებულებაში მოქცეულა: „[მუგალუს, მეფე თაბ]ალის, რომელიც ჩემი წინა მეფეების წინააღმდეგ გამოთქვამდა შეურაცხყოფებს, ... ჩემი უღლის ქვეშ ის მო[იდრიკა]". თაბალის მეფემ თავისი ქალიშვილი დიდი მზითვით ნინევიაში მძევლად გაგზავნა და ყოველწლიურად ცხენების სახით ხარკის გადახდაც იკისრა. აშურბანიფალის ამ წარწერაში მუგალუს ვაჟიც (წარწერა დაზიანებულია და ამიტომ სახელი ბუნდოვანი ჩანს) მოიხსენიება, მას დიდი ღმერთებისადმი დადებული ფიცი გაუტეხია და ანტიასურული კავშირი კიმერიელთა მეფე – დუგდამესთან დაუმყარებია. ტექსტის თანახმად, აშურბანიფალს მუგალუს ვაჟი დაუმარცხებია და მისი სხეულიც დაუწვავს, კიმერიელებს უკან დაუხევიათ და ასურეთთან მშვიდობის დასამყარებლად ხარკიც გადაუხდიათ.[26]

თაბალის მეზობელი მელიდის შესახებ ცნობები ქალაქ აშურში ანუს და ადადის ტაძრების სამშენებლო ქვაზე თიგლათფილესერ I-ის (ძვ. წ. 1115-1077 წწ.) პერიოდის შესრულე-

ბულ წარწერებშია დაცული. წერილობითი ძეგლის თანახმად, ასურეთის მეფეს „დიდი ხეთების ქვეყნებზე" ლაშქრობისას „ქალაქი მელიდი" დაუპყრია და მისგან ხარკიც მიუღია.[27]

თიგლათფილესერ I ნაირის ქვეყნების წინააღმდეგ ლაშქრობისას მელიდის მოსახლეობის წინააღმდეგაც გაემართა. ამ ფაქტის შესახებ ცნობა თიხის ცილინდრზე შესრულებულ წარწერებშია დაცული, რომელთა მიხედვით მელიდის მოსახლეობას ქედმაღლობა და ურჩობა ახასიათებდა, ამჯერად მელიდელებს ბრძოლისათვის თავი აურიდებიათ, რის გამო, ასურეთის მეფისაგან შეწყალება მიუღიათ. თიგლათფილესერ I-ს ქალაქის დაპყრობისაგან თავი შეუკავებია და მათთვის მაგნიუმის სახით, ყოველწლიურად ხარკის გადახდა დაუკისრებია.[28]

სალმანასარ III-ის (ძვ. წ. 859-824 წწ.) წარწერები მელიდის მდებარეობისა და გეოგრაფიული გარემოცვის კონკრეტულ დახასიათებას გვამცნობს. მაგალითად, „შავ ობელისკზე" შესრულებული წარწერის თანახმად, ქალხუდში (დღევ. ნიმრუდი) აღმოჩენილი, მელიდი ევფრატის გადაღმა მდებარე ქვეყანა იყო. თავისი მეფობის 23-ე წელს სალმანასარ III-ს გადაულახავს მდინარე ევფრატი და მელიდის მეფე ლალლას გამაგრებული ქალაქი გაეთაში დაუპყრია. იქ, მას მელიდისა და თაბალის მეფეებისაგან ნობათი მიუღია.[29]

სალმანასარ III-ის კლდეზე ამოკვეთილი წარწერა, რომელიც ტიგროსის სათავესთან არსებული გვირაბის შესასვლელშია აღმოჩენილი, გვამცნობს: „ნაირის ზღვიდან დაიანეს ქვეყანა, სუხმე, ქალაქი არზაშკუნი, სამეფო ქალაქი არამუ ურარტუდან, ქვეყნები გილზანი და ხუბუშქია ტიგროსის შესართავიდან ევფრატის შესართავამდე, შიდა

ზამუას ზღვიდან (ტბა ურმია), ხალდეის ზღვამდე (სპარსეთის ყურე)".[30]

ამგვარად, სალმანასარ III-ის წარწერა ზოგადად წარმოგვიდგენს მელიდუსთან გეოგრაფიულად ახლომდებარე ქვეყნებისა და ქალაქების განლაგებას.

თიგლათფილესერ III-ის (ძვ. წ. 745-727 წწ.) „ანალები" ადასტურებენ სალმანასარ III-ის მეფობის პერიოდის წარწერათა ჩვენებებს მელიდისთან გეოგრაფიულად ახლომდებარე ქვეყნების შესახებ. წარწერიდან ვგებულობთ, რომ მელიდის მეფე სულუმალი იყო. თიგლათფილესერ III-ის წარწერებში მელიდი და მისი მეფე მეზობელი ქვეყნების ანტიასურული კოალიციის წევრთა შორისაა მოხსენიებული. ამ კოალიციას მარცხი განუცდია, თიგლათფილესერ III გვამცნობს: „[ხარკი] მივიღე კუშტაშპი კუმუხელიდან, ... თარხულარა გურგუმელიდან, სულ[უმალი მელიდელიდან, დადიმუ ქასქელიდან, უ]ასურმე თაბალელიდან, უშრიტი თუნელიდან, ურბალი თუხანელიდან..." ასურეთის მეფეს მათგან ხარკის სახით ცხენები, ჯორები, ოქრო, ვერცხლი, კალა, რკინა, მაგნიუმი, ბამბის ქსოვილები მიუღია.[31]

მელიდუს ისტორიის საინტერესო ფრაგმენტები დაცულია სარგონ II-ის (ძვ. წ. 722-705 წწ.) სახელით შედგენილ ძეგლებშიც. მისი მეფობის დროს, მელიდუს მეფე თარხულარა ყოფილა. იგი, როგორც წარწერიდან ჩანს, ჯერ ასურეთის ქვეშევრდომი იყო, ხოლო შემდეგ დამოუკიდებლობა მოუპოვებია. სარგონ II-ს მელიდუ ქამანუსათვის შეუერთებია და მმართველობაც გუნზინანუსათვის გადაუცია. თარხულარა კი, თავისი ოჯახითურთ, სასახლის საგანძურითა და 5 000 მეომრით ასურელებს ტყვედ ჩაუგდიათ. წყაროს ჩვენებით, ასურელებმა „ქოთანივით დაამსხვრიეს" მელიდუ და თილ-გარიმუ, სადაც ლტოლვილი მეფე თავს აფარებდა. სარგონ II-ის მონათხრობით, მას თილ-გარიმუ

აღუდგენია, სირიის სტეპებიდან მშვილდოსნები (მეისრეები) ქამანუში გადმოუსახლებია და მუდმივმოქმედი ჯარი გაუმრავლებია. ოლქი კი, თავისი ნდობით აღჭურვილი პირისათვის გადაუცია. მაგრამ, როგორც ჩანს, სარგონ II გუნზინანუს ბოლომდე ვერ მინდობია, იგი მელიდუდან სამეფო ქალაქში გადაუსახლებია.[32]

სარგონ II-ის შემდეგ მელიდი მხოლოდ შამაშის ორაკულისადმი ასარქადონის (ძვ. წ. 681-668 წწ.) მიერ დასმულ შეკითხვებში ფიგურირებს. ისევე როგორც თაბალი და მუშქების ქვეყანა, მელიდუც არ წყვეტს ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის და როგორც ჩანს, ხდება კიდეც დამოუკიდებელი. ამის გამო, შეშფოთებული ასარქადონი შამაშის ორაკულს ასურეთის იმ სარდლის ლაშქრობის წარმატებაზე ეკითხება, რომელმაც მელიდუში მუგალუს ალყა შემოარტყა. მეფე შიშს გამოთქვამს თაბალის მეფე იშგალუსა და მელიდის მეფე მუგალუს ურთიერთშეთანხმებულ მოქმედებასთან დაკავშირებით.[33]

სამწუხაროდ, ეს წარწერები მხოლოდ კითხვებს წარმოადგენს. ასე რომ, თუ რა შედეგით დამთავრდა ეს ბრძოლა თითოეული მხარისათვის, ჩვენთვის უცნობია.

შედარებით მწირი ცნობები მოგვეპოვება ჩვენთვის საინტერესო პერიოდის ასურულ ლურსმულ წარწერებში მოხსენიებული ხილაქუს, თუნას, თუხანის, შინუხთუს, გურგუმისა და კუმუხის სამთავროებზე.

ხილაქუს სახელს სარგონ II-ის სახელით შედგენილ წერილობით ძეგლებზე ვხვდებით. როგორც დავინახეთ ზემო მოყვანილი წარწერიდან, ხილაქუ უშუალოდ თაბალს ემეზობლებოდა.[34] სარგონ II-ის ერთ-ერთ წარწერაში ხილაქუ ქასქებისა და თაბალის შემდეგ ფიგურირებს: „მე გადმოვასახლე ქასქების, თაბალის და ხილაქუს მოსახლეობა, გავაძევე მითა მუშქების ქვეყნის მეფე".[35] ამ წარწერის

შუქზე, ხილაქუ თაბალის სამხრეთით მდებარე ქვეყანაა: წარწერაში ქვეყნების ჩამოთვლისას, როგორც ჩანს, გეოგრაფიული თანმიმდევრობაა დაცული: დაპყრობილი ქვეყნები ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებითაა ჩამოთვლილი.

ცნობები ხილაქუს შესახებ სინაქერიბის (ძვ. წ. 705-681 წწ.) მეფობის დროს შედგენილ წერილობით ძეგლებშიცაა ასახული.

ასურული წყაროს მიხედვით, ქალაქ ილუბრუს მმართველმა კირუამ, რომელიც თავდაპირველად ასურელებს ემორჩილებოდა, მათ უღალატა და ხილაქუს ხალხი აამხედრა. მათ წინააღმდეგ სინაქერიბს ჯარი გაუგზავნია და ხილაქუს მოსახლეობა ძნელად მისადგომ ადგილებში დაუმარცხებია.

ნინევიაში ქვის ფილაზე შესრულებული სინაქერიბის წარწერა კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ხილაქუს ქვეყანა მიუვალ მთებში მდებარეობდა. სინაქერიბის ცნობით, მის ჯარს ხილაქუელები დაუმარცხებია, ხოლო მაოი ქვეყანა გადაუწვავს. კირუა და მისი ქალაქის – ილუბრუს (ემ. ფორერი და ალ. გიოცე ამ ქალაქს კილიკიის კარიდან სამხრეთ-დასავლეთით ათავსებს) მოსახლეობა (ხილაქუელები) სახედრებითურთ, წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონლით ნინევიაში ტყვედ გაურეკია.[36]

ასარქადონის წარწერა „პრიზმა A-ზე" და მის მიერვე შამაშის ორაკულისადმი დასმული შეკითხვებიდან ასევე ჩანს, რომ ხილაქუ მთებში იყო განლაგებული „თაბალის მეზობლად". მასთან ერთად დუ'უას ხალხიცაა მოხსენიებული, რომელიც „თავის მთებს დაენდო და დიდი ხანია აღარ ემორჩილება ასურეთს".[37] ასარქადონის მმართველობის დასაწყისში კიმერიელებმა ფეხი მოიკიდეს მცირე აზიის აღმოსავლეთ მხარეში და საფრთხე შეუქმნეს ასურე-

თის დასავლეთ საზღვრებს. მის შესახებ ღვთაება შამაშის ორაკულისადმი დასმულ შეკითხვებშია საუბარი: „კიმერიელთა ლაშქარი, [ან ლაშქარი] ხილაქუსი, [...] ... რომლებიც ცხოვრობენ მოებში... დაამთავრებენ თუ არა..."[38]

სხვა წარწერიდან ირკვევა, რომ ხილაქუელები თაბალებთან ალიანსში ყოფილან, რაც ბუნებრივია, ასარქადონის შეშფოთების მიზეზი გამხდარა.

უკანასკნელად ხილაქუ აშურბანიფალის (ძვ. წ. 668-629 წწ.) მეფობის დროით დათარიღებულ ე. წ. „რასამის ცილინდრზე" შესრულებულ წარწერაში იხსენიება. ჩანს, რომ ამ პერიოდისთვის ხილაქუს პოზიციები შესუსტებულია, ამჯერად იგი ასურეთის „მეგობარ" ქვეყნად მოიაზრება. ირკვევა, რომ ხილაქუს მმართველს სანდაშარმეს, რომელიც ადრე ასურეთს არ ემორჩილებოდა, აშურბანიფალისათვის მძევლად თავისი ქალიშვილი დიდი მზითვით ნინევიაში გაუგზავნია.[39]

ძვ. წ. VIII ს-ის ასურულ წერილობით ძეგლებში მცირე აზიის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე სხვა „ქვეყნების" შესახებ რამდენიმე ცნობაა შემონახული.

თიგლათფილესერ III-ის „ანალებში" ერთმანეთის გვერდით უშრითი თუნელი და ურბალა თუხანელი იხსენიება.[40] ასურეთის მეფეს მათგან ხარკი მიუღია, რაც ასურეთისადმი მათ დამოკიდებულებაზე მიუთითებს. ამ წარწერების მოწმობით, ეს ორი სამთავრო თაბალის მეზობლად მდებარეობდა.

ქვეყანა შინუხთუ სარგონ II-ის „სადღესასწაულო" წარწერაში მოიხსენიება. იგი, როგორც ჩანს, თუნას უახლოესი მეზობელი იყო. შინუხთუს მეფე კიაკის ასურელებისათვის ხარკის მიცემა შეუწყვეტია და ურჩობა გაუწევია, სარგონს შინუხთუს კუთვნილი 30 საბრძოლო ეტლი

7350 მეომრიოურთ ხელთ უგდია, შინუხთუ კი, ათუნელი მათთის ქვეყნისათვის შეუერთებია.[41]

სარგონ II-ის სხვა წარწერის მოწმობით, იგივე კიაკი შინუხთუელი ერთ დროს თაბალის მეფეც ყოფილა (ARAB, II, 137).[42]

უძველეს ცნობებს კუმუხის შესახებ აშურნასირპალ II-ის (ძვ. წ. 884-859 წწ.) „ანალებში" ვპოულობთ. ამ წყაროს მოწმობით, ასურეთის მეფეს ქათაზილუ კუმუხელისაგან ხარკის სახით კედრის კოჭები, ვერცხლი და ოქრო მიუღია.[43] კუმუხისა და გურგუმის შესახებ ცნობებს თიგლათფილესერ III-ის და მისი მემკვიდრის სარგონ II-ის წარწერებში ვპოულობთ. ისინი, ძირითადად, ფრაგმენტების სახითაა ჩვენამდე მოღწეული და ამ ქვეყნების ისტორიის ხანმოკლე პერიოდზე მოგვითხრობენ. მაგალითად, თიგლათფილესერ III-ის „ანალების" თანახმად, გურგუმის მმართველს „თარხულარა" ერქვა, ხოლო კუმუხის ქვეყნის მმართველს – „კუშტაშპი". ამ და სხვა წარწერებშიც ის ფაქტია საინტერესო, რომ ეს ქვეყნები მელიდუს გვერდითაა მოხსენიებული, რაც მათ ტერიტორიულ სიახლოვეზე მიუთითებს. წარწერა გვამცნობს ურარტუსა და მელიდუსთან ერთად მათ ანტიასურულ მოქმედებაზე,[44] როგორც ჩანს, მათი ცდა უშედეგო იყო. თიგლათფილესერ III-ის ერთ-ერთ სხვა წარწერაში ნათქვამია, რომ მას არპადში (სირია) კუშტაშპი კუმუხელისა და თარხულარა გურგუმელისაგან ოქრო, ვერცხლი, ტყვია, რკინა, სპილოს ძვალი, სპილოს ტყავი და მეწამული მატყლი მიუღია.[45] ეს წარწერა საინტერესოა კუმუხისა და გურგუმის ეკონომიკური განვითარების ისტორიის თვალსაზრისით.

ასურული წარწერების მოწმობით, თიგლათფილესერ III-ს საკუთარი პოზიციების განმტკიცებისათვის ბრძოლა კვლავ გაუგრძელებია, სარდურ ურარტუელის ანტიასუ-

რულ კოალიციას შებრძოლებია. ქვის ფილაზე შესრულებული წარწერა გვამცნობს, რომ ასურეთის მეფეს „ქალაქ კუმუხის კუთვნილ მხარეებში კიშტანსა და ხალპუში" სარდური დაუმარცხებია, თანაც მისი სამხედრო ბანაკი ხელთ უგდია.[46]

საინტერესო ცნობებია შემონახული სარგონ II-ის დროინდელ წერილობით ტექსტებშიც. მაგალითად, მისი ვაუის - სინაქერიბის მიერ (ძვ. წ. 705-681 წწ.) სადაზვერვო ხასიათის ერთ-ერთ წერილში, დაპყრობილ ქვეყნებში არსებულ სიტუაციაზეა საუბარი. ირკვევა, რომ სინაქერიბის ინფორმატორის, ქალაქ ხალპუს მმართველის ნაბულის თანახმად, მუსასირის მმართველს და ხუბუშქიას მთავარს ურარტუს მეფესთან შიკრიკი გაუგზავნია. ჩანს, რომ ხალპუ, რომელიც კუმუხის ერთ-ერთ მხარეს შეადგენდა, ასურელთა მიერ კონტროლირებად ტერიტორიას წარმოადგენდა. იქ, სარგონ II-ს თავისი ნდობით აღჭურვილი მოხელე ჰყავდა.[47] თუ ჩვენს ხელთ არსებული წერილობითი წყაროების ჩვენებათა მიხედვით ვიმსჯელებთ, იმ დასკვნამდე მივალთ, რომ ასურელთა წინააღმდეგ ბრძოლები არ წყდებოდა, ანტიასურულ კოალიციას სათავეში ურარტუს მეფე არგიშთი ედგა. ასურელთა წინააღმდეგ აჯანყება, როგორც წესი, ხარკის გადახდის შეწყვეტით იწყებოდა. სარგონ II-ის ე. წ. „სადღესასწაულო წარწერის" მოწმობით, მუთალუ კუმუხელს ურარტუსთან კავშირი დაუმყარებია. საპასუხოდ სარგონ II-ს კუმუხში ჯარი გაუგზავნია. მუთალუს გაქცევა მოუსწრია, რომლის ადგილსამყოფელს ასურელებმა ვერ მიაგნეს. მათ სასტიკად აუოხრებიათ ქალაქი კუმუხი და სხვა ქალაქებთან ერთად ქვეყანა დაუპყრიათ.[48]

სარგონ II-ის დროინდელი იგივე წარწერა ცნობებს გურგუმის შესახებაც გვაწვდის. წარწერის თანახმად, გურგუმში სამეფო კარზე გადატრიალებას ჰქონდა ადგილი.

თარხულარა გურგუმელი მის შვილს სამეფო ტახტიდან ჩამოუგდია და თავად გამეფებულა. მაგრამ მას ასურელთა უზენაესობა არ უცვნია. უფრო მეტიც, ყოველივე აღნიშნული, სარგონ II-ის ნებართვის გარეშე მოუხდენია. ეს ინციდენტი კი, ასურელთა ლაშქრობის მიზეზი გამხდარა. სარგონ II-ს გეზი პირდაპირ გურგუმის მთავარ ქალაქ მარკასუსკენ (დღევ. მარ'აშ) აუღია. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი ეპიზოდი იყო ასურეთსა და გურგუმს შორის მომხდარი კონფლიქტისა. სარგონ II-ის „ანალებში"კი პირდაპირაა ნათქვამი, რომ ასურეთის მეფემ გურგუმი დაპყრობილ ქვეყნებს მიათვალა და „თავის საზღვრებში მოაქცია". სხვა წარწერების თანახმად, სარგონ II-ს არა მხოლოდ ტყვედ აუყვანია და გადაუსახლებია კუმუხისა და გურგუმის მოსახლეობა, არამედ ეს ქვეყნები ხელახლა დაუსახლებია.

ამგვარად, როგორც ვხედავთ, ძვ. წ. IX-VII სს-ის ასურული წერილობითი ძეგლები საყურადღებო ინფორმაციას გვაწვდის აღმოსავლეთ კაპადოკიის ისტორიული გეოგრაფიის, სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ისტორიის შესწავლისათვის. ანტიკური ხანის წერილობით წყაროებთან ერთად, ისინი მნიშვნელოვნად ავსებენ ჩვენს ცოდნას ძვ. წ. I ათასწლეულის დიდი კაპადოკიის ისტორიის შესახებ.


ᲛᲐᲪᲔᲓᲝᲜᲘᲐ ᲫᲕᲔᲚᲘ
ᲑᲘᲖᲐᲜᲢᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲫᲚᲘᲠᲘᲡᲣᲚᲘ

1. Г. А. Меликишвили, Наири-Урарту I , Тбилиси, 1954, с. 305.
2. იქვე, გვ. 82.
3. ნ. ხაზარაძე, აღმოსავლეთ მცირე აზიის ეთნიკური და პოლიტიკური გაერთიანებები ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში, თბილისი, 1978, გვ. 38-58.
4. Г. А. Меликишвили, Наири-Урарту, с. 305.
5. АВИИУ, №10.
6. АВИИУ, №23.
7. АВИИУ, №38.
8. АВИИУ, №46.
9. АВИИУ, №53.
10. АВИИУ, №47.
11. ნ. ხაზარაძე, საქართველოს ძველი ისტორიის ეთნო-პოლიტიკური პრობლემები, თბილისი, 1984, გვ. 78.
12. АВИИУ, №68.
13. АВИИУ, №28.
14. Г. А. Меликишвили, Наири-Урарту, с. 243.
15. АВИИУ, №44.
16. იქვე, №44.
17. АВИИУ, №46.
18. АВИИУ, №49.
19. АВИИУ, №63.
20. АВИИУ, №59.
21. АВИИУ, №65.
22. АВИИУ, №68.
23. А. И. Иванчик, «Кимерийцы», Москва, 1996, с. 187-188.
24. АВИИУ, №68.
25. А. И. Иванчик, «Кимерийцы», с. 274-275.
26. АВИИУ, №22.
27. АВИИУ, №10.

28. АВИИУ, №28.
29. АВИИУ, №28.
30. АВИИУ, №44.
31. АВИИУ, №46.
32. АВИИУ, №68.
33. АВИИУ, №46.
34. АВИИУ, №47.
35. АВИИУ, №59.
36. АВИИУ №65.
37. А. И. Иванчик, «Кимерийцы», с. 208.
38. АВИИУ, №72.
39. АВИИУ, №44.
40. АВИИУ, №54.
41. ნ. ხაზარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 95.
42. АВИИУ, №23.
43. АВИИУ, №41.
44. АВИИУ, №41.
45. АВИИУ, №42.
46. АВИИУ, №55.
47. АВИИУ, №54.
48. АВИИУ, №55.

§4. აღმოსავლეთი კაპადოკია ძვ. წ. VIII-VII სს. ურარტული ლურსმული წარწერების მიხედვით

ურარტულ ლურსმულ ტექსტებში ცნობები ჩვენთვის საინტერესო ტერიტორიაზე (კაპადოკიაში) მდებარე „ქვეყნებისა" და „დასახლებების" შესახებ პირველად ურარტუს მეფე მენუას (ძვ. წ. 810-786 წწ.) წარწერებში ჩნდება. სურბ პოლოსის ეკლესიის ქვის ფილაზე აღმოჩენილ ერთ-ერთ წარწერაში მთელ რიგ ქალაქებსა და ქვეყანა ხათინაშთანში ურარტელების ლაშქრობის შესახებაა საუბარი. ირკვევა, რომ ერთი წლის მანძილზე მათ 2113 ადამიანი მოუკლავთ, ხოლო ცოცხლები – ტყვედ წაუყვანიათ.[1]

ფალუში (მდ. არაცანის მარჯვენა სანაპირო) აღმოჩენილი მენუას სხვა წარწერის მიხედვით, ურარტუელებს შებეთერია, ხუსანი, ცუფანი დაუპყრიათ და ხათინილის საზღვრებისთვის მიუღწევიათ.[2]

ნ. არუთინიანის მოსაზრებით, ვინაიდან თუქულთი-ნინურთა I-ის ორ იდენტურ წარწერაში მოგვეპოვება მთავარი მონაცემები 28600 ხეთი მეომრის გატაცებაზე ევფრატის იქითა ქვეყნიდან, ხოლო სარგონ II-ის „ანალებში" ხეთების ქვეყანა კუმუხის გვერდით ფიგურირებს, ურარტულ წარწერებში მოხსენიებული „ხათი" – „ხათინილის" ქვეშ, ძვ. წ. XII ს. I ნახ. – VII სს. შეიძლება უკვე არენიდან ჩამოსული ხეთური სამეფოს ნაშთები დავინახოთ, რომელიც ევფრატის მარჯვენა ზოლის სამხრეთით, მალატიის რაიონში ლოკალიზდება. იმავე ავტორის თანახმად, ძლიერების პერიოდში ხათის სამხრეთი საზღვრები ქარხემიშსა და არპადს შორის იყო გადაჭიმული.[3]

ხათის წინააღმდეგ განხორციელებულ მოქმედებებზე საინტერესო ცნობები ვანში, სურბ სააკის ეკლესიაში აღმოჩენილ მენუას ვაეის – არგიშთი I-ის (ძვ. წ. 786-764 წწ.)

წარწერებშიც მოიპოვება. პირველი ტექსტის მიხედვით „ღვთაება ხალდი გაემართა (სალაშქროდ) თავისი იარაღით (?), სძლია ხათეს ქვეყანას, სძლია (მეფე) ხილარუადას ქვეყანას, დაამხო ისინი არგიშთის წინაშე".[4] წარწერის მომდევნო ნაწილში ხათისკენ სალაშქროდ წასვლის ამბავი ორგ'ისაა მითითებული, თუმცა მის დაპყრობაზე არაფერია ნათქვამი.

საყურადღებოა ვანის კლდეზე არგიშთი I-ის სახელით შესრულებული სხვა წარწერაც, სადაც იგი ქალაქ ერბუნის (ანუ ირფუნის) მშენებლად გვეელინება და იქვე აღნიშნავს: „მიწა უკაცრიელი (?) იყო (და) არაფერი არ იყო წინათ იქ აგებული. ძლევამოსილი საქმენი მოვიმოქმედე მე იქ ხათესა (და) ცუფანის 6 (?) ათას 600 მეომარი მე იქ დავასახლე."[5]

ხათის შესახებ ინფორმაცია დაცულია რუსა II-ის (ძვ. წ. 685-645 წწ.) წარწერაში ადილჯევაზიდან, სადაც მშვიდობიან მშენებლობაზეა საუბარი, რომელსაც ურარტუს მეფე – რუსა II „ღვთაება ხალდის ქალაქში, ზიუკუნის ქვეყანაში" ატარებდა (გ. მელიქიშვილის მოსაზრებით, თანამ. ადილჯევასთან). ტექსტში მოთხრობილია მუშქების, ხათესა და ხალიტუს ქვეყნებიდან ტყვეების (ქალების) წაყვანის შესახებ. აქედან გამომდინარე, სავარაუდოა, რომ რუსა II ეს ხალხი აქვე დაასახლა და ისინი სამშენებლო საქმიანობაში გამოიყენა.[6]

ურარტულ ლურსმულ წარწერებში ხათე-ხათინილის გვერდით ქალაქი-დასახლება მელითეა მოიხსენიება, რომელიც ასურული წარწერებიდან „მელიდ-მილიდიას" (Melid-Milidia) სახელითაა ცნობილი. მენუას ერთ-ერთ წარწერაში ფალუდან, შებეთერიას, ხუსანისა და ცუფანის დაპყრობასა და ხათეს ქვეყნამდე მიახლოებაზეა საუბარი, ამის შემდეგ მელითეა მოიხსენიება. წარწერის მოწმობით,

მენუას ქალაქ მელითეალხის მეფე ხარკის გადახდის პირობით შეუწყალებია.[7]

ხათესთან მელითეას სიახლოვეს ხორხორის წარწერებიც გვიდასტურებენ. მაგალითად, ვანში, სურბ სააკის ეკლესიაში აღმოჩენილი არგიშთი I-ის წარწერა გვამცნობს: „ღვთაება ხალდის სიდიადით გავემართე მე სალაშქროდ ხათის ქვეყანაზე; თუათეხის (ტომის) ქვეყანა მარჯვნივ მე შევიწყალე, მარცხნივ – ქალაქი მელითეა...”[8]

საყურადღებოა სარდურ II-ის (ძვ. წ. 764-735 წწ.) ი'ხოღლუში აღმოჩენილი წარწერაც, რომელშიც ქვეყანა მელითეას და მისი ქალაქ-სიმაგრეების დაპყრობაზეა მოთხრობილი: „ქალაქი ხა'ხანი, ქალაქი გაურახი (გავრახი), ქალაქი თუმეი'შქი, ქალაქი უასინი (ვასინი), ქალაქი მანინუი, ქალაქი არუში, ქალაქი კულბითარრინი, ქალაქი ტაშე, ღვთაების ქალაქი ქუერი ტაშე, ქალაქი მელუიანი”[9].

ზემოჩამოთვლილი პუნქტების მდებარეობა კარგადაა დადგენილი მკვლევართა მიერ. ხაზანის ნ. არუთინიანი ზემო ევფრატის აღმოსავლეთ სანაპიროზე ათავსებს[10]. ნ. ადონცი, გ. მელიქი'შვილი, ე. ვეინდერი, ნ. არუთინიანი ტექსტში მოხსენიებულ ქალაქ-სიმაგრე გაურახის მელითეასთან ახლოს, ევფრატის აღმოსავლეთით, მდინარე არაცანის შესართავიდან სამხრეთ-დასავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე მხარეს უკავშირებს, ხოლო იზოღლუს წარწერის თუმიშქის კი, გაურახის სამხრეთით ეძებს[11]. უასინი მკვლევართა მიერ (მ. შტრეკი, გ. ღაფანციანი, ბ. პიოტროვსკი, ნ. არუთინიანი) ევფრატის აღმოსავლეთ სანაპიროზე ლოკალიზდება[12]. არუშს, რომელიც ასევე ევფრატისპირა მელითეას დასახლება იყო, გ. მელიქიშვილი, ნ. არუთინიანი და გ. ღაფანციანი გელჯიკის ტბის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხესთან ახლოს, ტიგროსის შენაკადთან ათავსებენ[13]. სამეცნიერო ლიტერატურაში (გ. ღა-

ფანციანი) კულბიტარრინი მოგვიანო ხანის Koloberd-თანაა (ხარბერ-ხარპუტას რაიონი) გაიგივებული[14]. წარწერაში მოხსენიებული ტაშე ფ. კიონიგის, ი. დიაკონოვის, გ. მელიქიშვილის მოსაზრებით, მელითეას ქვეყნის დასახლებაა და ევფრატის ზემო დინებაზე, მასთან არაცანის შეერთების სამხრეთით, გაურახის, თუმიშქის მახლობლად მდებარეობდა[15]. ტექსტში "დასახლების" დეტერმინატივით აღნიშნული მელუიანი კი ევფრატის დასავლეთ სანაპიროზე მდებარე თანამედროვე მალიანთანაა გაიგივებული. ი. მანანდიანი მას ყებან-მადენას სამხრეთ-დასავლეთით გულისხმობდა[16].

ზემოაღნიშნულის კონტექსტში შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქვეყანა მელითეას ზოგიერთი აღმოსავლური მხარე ძვ. წ. VIII ს-ში ევფრატის მარცხენა სანაპიროზე იყო განლაგებული. ამ თვალსაზრისით საინტერესოა აღინიშნოს, რომ ურარტული ლურსმული წარწერები, რომლებშიც მელითეას დაპყრობის ამბავია გადმოცემული, სწორედ იზოღლუს ახლომდებარე კლდეზეა ამოკვეთილი.

მაგალითად, სარდურ II-ის წარწერებში არაერთგზის მოიხსენიება მელითეა და მისი მეფე ხილარუადა, რომელიც შახუს ძედ იწოდება. ურარტული წარწერების მონაცემებიდან გამომდინარე, იგი საკმაოდ დიდხანს მართავდა ქვეყანას: ძვ. წ. VIII ს-ის 80-იანი წლების დასაწყისიდან ძვ. წ. VIII ს-ის 60-იანი წლების შუა ხანებამდე ხილარუადა ურარტუს მეფეების – არგიშთი I-ისა და სარდურ II-ის თანამედროვე იყო. ვანისა და იზოლის წარწერების თანახმად, ურარტუელებს მელითეას სამეფო ქალაქი სასინი, მიუხედავად იმისა, რომ იგი მტკიცედ იყო გამაგრებული, ბრძოლით დაუპყრიათ. ვანში, სურბ პოღოსის ეკლესიაში აღმოჩენილი სარდურ II-ის ქვაზე ნაკვეთი წარწერა გვამცნობს, რომ ამ ლაშქრობის დროს ურარტუს მეფეს ქალე-

ბი და კაცები შეუპყრია, სიმაგრეები გადაუწვავს, ხოლო ქალაქ მელითეას მეფე ხარკის გადახდის პირობით შეუწყალებია[17]. ინოლის წარწერის მიხედვით კი, მას ქვეყანა ბიაინილში ოქრო, ვერცხლი, პირუტყვი და ქონება[18] (სამეფო ან სატაძრო საგანძური?) წაუღია.

ურარტული ლურსმული წარწერები საინტერესო ცნობებს შეიცავს მელითეას მეზობელი ქვეყნების შესახებაც. მაგალითად, არგიშთი I-ის წარწერა ვანიდან გვამცნობს: „ღეთაება ხალდის სიდიადით გავემართე მე (სალაშქროდ) ხათის ქვეყანაზე; თუათეხის (ტომის) ქვეყანა მარჯვნივ მე შევიწყალე, მარცხნივ – ქალაქი მელითეა. მივედი (?) ქალაქ ფითეირამდე... siri-ის ქვეშ თასი(?) meliani მდინარე ქვეყანა მარმუანი, ქვეყანა კა[...]ანი. კაცები (და) ქალები მე (იქიდან) წავიყვანე, ციხე-სიმაგრეები დავანგრიე, ქალაქები დავწვი... ცხენი... მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი მე გავდენე".[19]

ამავე წარწერის მიხედვით, მდინარე მელიანი ქალაქსახელმწიფო მელითეას (თანამ. მალატია) მახლობლად უნდა ვეძიოთ. სპეციალურ ლიტერატურაში გამოითქვა თვალსაზრისი ხეთური წარწერების Mala-სთან ურარტული Meliani-ს იდენტიფიკაციის შესახებ, რომელიც ბერძნულ წყაროებში „შავი"-დან მომდინარე Μελας-ს შეესატყვისება (შდრ. ზემო ევფრატის ჩრდილო დინების თურქულ სახელწოდებას *ყარა-სუ*, ანუ „შავ წყალს"). რაც შეეხება ზემოხსენიებულ ქალაქ ფითეირას და მასთან ერთად დასახელებულ ქვეყნებს, შემდეგი შეიძლება ითქვას: სადღეისოდ არსებულ ტექსტში მხოლოდ ქალაქის სახელის დაბოლოება ni შემორჩა. გ. მელიქიშვილმა იგი „პილაინის" ფორმით აღადგინა. ნ. არუთინიანი ამ ქალაქს ზემო ევფრატის მარჯვენა სანაპირო ველზე ათავსებს[20]. ამავე მკვლევართა მი-

ერ ქვეყანა კა[...]ანი ევფრატის მარჯვენა მხარეს მელითეასთან ახლოს ლოკალიზდება. რაც შეეხება ქვეყანა მარმუანის, ნ. არუთინიანი მას კითხვის ნიშნით ვანის ტბის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე მარმანისთან აიგივებს[21].

ძვ. წ. VIII ს-ის ურარტულ წერილობით ძეგლებში მელითეას შესახებ კიდევ რამდენიმე ცნობაა შემონახული.

ი'ხოლლუს კლდეზე ნაკვეთი სარდურ II-ის ერთ-ერთი წარწერის თანახმად, მუშანი – ([KUR] Mušani) და დასახლება ზაფშა ასუნი ([URU] Zapša asuni) მდებარეობდა. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, ეს გეოგრაფიული ერთეულები ევფრატის მარჯვენა სანაპირო ველზეა მოსათავსებელი.[22] სარდურ II-ის ვანისა და იზოლლუს წარწერებიდან ჩანს, რომ მელითეას ჩრდილო-აღმოსავლეთ საზღვრის შორიახლოს და თუმიშქის შორის მთა კარნიში მდებარეობდა. სპეციალურ ლიტერატურაში ურარტული წარწერების [SADU]Karnišie ხეთური წყაროების HUR. SAG Karna-თან და პეტინგერის რუკაზე აღნიშნული რომაელთა სადგურ Corne-სთანაა გაიგივებული. ეს უკანასკნელი მელითეადან 12 კმ-ის დაშორებით ლოკალიზდება.[23] სარდურ II ამბობს: „... ქვეყანა კალავანი დავიქეემდებარე, მიეედი ქვეყანა მუშანიმდე, ქალაქ ზაფშას მხარემდე. 14 სიმაგრე, 70 ქალაქი მე ერთ დღეში დავიპყარი, სიმაგრეები დავანგრიე, ქალაქები გადავწვი, 50 საბრძოლო ეტლი ხელთ ვიგდე".[24]

ჩვენთვის საინტერესო მუშქები ურარტულ წერილობით ძეგლებში მხოლოდ ერთხელ არიან მოხსენიებული – რუსა II-ის წარწერაში ადილჯევაზიდან. ეს წერილობითი წყარო გვამცნობს, რომ ურარტუს მეფეს მუშქინის, ხათესა და ხალიტუს ქვეყნებიდან ტყვეები ზიუკუნის ქვეყანაში გადაუსახლებია. როგორც ჩანს, აქ საუბარია ქაშიარის მთე-

ბის (დღევ. ტურ-აბდინი) ჩრდილოეთით, ტიგროსის მარჯვენა სანაპირისა და მისი ზემო დინების (დღევ. მურად-ჩაი) მახლობლად მდებარე ტერიტორიაზე განსახლებული მუშქების შესახებ.[25]

რაც შეეხება ხათეს, შემდეგი უნდა ითქვას: როგორც ჩანს, გასაზიარებელია ნ. ხაზარაძის მოსაზრება, რომლის თანახმადაც, ურარტული წარწერების „ხათე" ურარტუს სამხრეთ-დასავლეთით მდებარე (ევფრატთან ტერიტორიულად დაკავშირებული) ქვეყნების აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინია.[26]

წარწერაში მოხსენიებულ ბოლო გეოგრაფიულ პუნქტს ხალიტუს, რომელიც ტექსტში „ქვეყნის" აღმნიშვნელი KUR დეტერმინატივით ფიგურირებს, ბერძნული წყაროების პონტოსპირა ხალდების ქვეყანასთან, ასევე ძველსომხური წყაროების Haltikh-თან აიგივებენ და შაეი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონში ათავსებენ.[27]

ადილჯევაზის წარწერის ჩვენამდე მოღწეული ფრაგმენტიდან კარგად ჩანს, რომ რუსა II-ის ლაშქრობის მარშრუტი ტერიტორიულად ახლომდებარე ქვეყნებისკენ მიემართებოდა. ამდენად, ხალიტუ ადილჯევაზის დასავლეთით, ხათის დასავლეთი რაიონების ახლოს, კერძოდ, ევფრატთან არაცანის შეერთების ახლოს შეიძლება ვიგულისხმოთ.[28]

ურარტულ ლურსმულ წარწერებში კუმუხის ქვეყანა („კუმახა", „კუმახალის" ფორმით) მხოლოდ ვანის კლდეზე შესრულებულ სარდურ II-ის ტექსტებში მოიხსენიება. ასურული წერილობითი წყაროების თანახმად, კუმუხი ევფრატის მარჯვენა მხარეს ლოკალიზდება, მოიხსენიება რა მელიდისა და გურგუმის ქვეყნებთან ერთად. ურარტული წყაროები საგულისხმო ცნობებს შეიცავს KUR დეტერმინატივით აღნიშნული კუმახას დასახლებათა შესახებ. მაგა-

ლითად, სარდურ II-ის წარწერების მიხედვით, ქალაქი ხალპანი ერთ-ერთი სამეფო ქალაქია კუმახას ტერიტორიაზე, ქალაქების პარალანისა და უითანის გვერდით. იგი თანამედროვე ხალფატი-ხალფეტის ოდნავ სამხრეთით ევფრატის მარცხენა სანაპიროზე ლოკალიზდება.[29] წარწერათა ამ მონაცემებით შეიძლება ვიფიქროთ, რომ კუმახას ზოგი აღმოსავლური მხარე ევფრატის მარცხენა სანაპიროზე იყო განლაგებული.

სარდურ II-ის წარწერის თანახმად, კუმახას ქვეყანას მეფე ქუშთაშფილი მართავდა, ქვეყანა კი დამოუკიდებელი იყო. როგორც ასურული წერილობითი წყაროებიდანაა ცნობილი, კუმუხი მელიდუსა და ურარტუსთან ერთად ასურეთის მეფის თიგლათფილესერ III-ის (ძვ. წ. 745-727 წწ.) წინააღმდეგ გამოდის. სარდურ II კი ამბობს: „მე წავედი, გავემართე სალაშქროდ კუმახახალის ქვეყნის წინააღმდეგ. ქალაქი უითა, სამეფო ქალაქი, გამაგრებული, ბრძოლაში დავიპყარი. ქალაქი ხალფა, სამეფო ქალაქი (ტბისპირა ადგილას მყოფი), მე დავიპყარი. ქალაქ პარალანის, სამეფო ქალაქს მე დავეუფლე (?). ...გამოცხადდა ჩემს წინაშე, ძირს დაემხო, წამოვაყენე მე...".[30] თიგლათფილესერ III-ის წარწერა კი გვამცნობს, რომ ასურეთის მეფეს კუმუხის კუთვნილ მხარეებში, კიშტანსა და ხალპუში სარდური დაუმარცხებია და თან სამხედრო ბანაკიც ხელთ უგდია.[31]

ზემოთ აღნიშნული წარწერების საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ, ერთი მხრივ, ასურეთისა და მეორე მხრივ, ურარტუს გაძლიერება აღმოსავლეთ მცირე აზიაში მათი საკუთარი პოზიციების განმტკიცებაზე იყო დამოკიდებული. ამიტომაც, დამოუკიდებელი კუმახას ქვეყანა ამ ორი უძლიერესი სამეფოს მხრიდან დაპყრობის საშიშროების წინაშე იდგა. კუმახა ანტიასურულ კოალიციაში მეზობელ მელიდუსა და ასურეთის მეტოქე ურარტუსთან

ერთად გამოდიოდა, რადგან მის მხარეში ასურეთის პოზიციები უფრო ძლიერი იყო. გადის გარკვეული დრო, ასურეთის სამეფოს პასიურ პოლიტიკას ამ მხარეში, როგორც ჩანს, ხელსაყრელ მომენტად იყენებს ძლიერი ურარტუ და ცდილობს თავისი გავლენის ქვეშ კუმახას ქვეყანა მოაქციოს. როგორც სარდურ II ამბობს: „...მომცა მან მე ხარკი: 40 მინა სუფთა (?) ოქრო, 800 მინა ვერცხლი, 3000 (ცალი) ტანსაცმელი, 2000 სპილენძის ფარი, 1535 სპილენძის თასი...”[32]

როგორც ვხედავთ, ჩვენს ხელთ არსებული წყაროების მონაცემები, ძირითადად, აღმოსავლეთ კაპადოკიის ტერიტორიაზე მდებარე „დასახლებებსა” და „ქვეყნებს” ეხება. ცნობათა დიდი ნაწილი ისტორიულ-გეოგრაფიული ხასიათის კვლევა-ძიებაში გვეხმარება. საინტერესო მითითებებს ვპოულობთ ასევე ცალკეული „ქვეყნების” პოლიტიკური ისტორიისათვის, ასურეთისა და მისი პროვინციების ურთიერთობის მეტნაკლებად სრული სურათის წარმოსაჩენად.


ᲨᲐᲕᲘ ᲖᲦᲕᲐ
ᲮᲛᲔᲚᲗᲐᲨᲨᲐ ᲖᲦᲕᲐ
ᲓᲘᲜᲐᲠᲘ
ᲞᲐᲜᲝᲜᲘᲐ
ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲘ
ᲡᲐᲕᲐᲠᲓᲘᲜᲘᲐ
ᲡᲘᲪᲘᲚᲘᲐ
ᲡᲘᲠᲘᲐ
ᲞᲐᲚᲔᲡᲢᲘᲜᲐ
ᲞᲐᲠᲗᲘᲐ
ᲛᲔᲓᲘᲐ
ᲐᲡᲘᲐ
ᲐᲤᲠᲘᲙᲐ

1. Г. А. Меликишвили, Урартские клинообразные надписи, Москва, 1960, с. 151.
2. იქვე, გვ. 161.
3. Н. В. Арутюнян, Корпус Урартских клинообразных надписей, Ереван, 2001, с. 508.
4. ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ქრესტომათია, თბილისი, 1990, გვ. 276.
5. იქვე, გვ. 277.
6. Г. А. Меликишвили, Наири-Урарту, Тбилиси, 1954, с. 349.
7. Н. В. Арутюнян, Указ. соч. с. 82.
8. ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ქრესტომათია, გვ. 277.
9. Н. В. Арутюнян, Указ. соч. с. 257.
10. Н. В. Арутюнян, Топонимика Урарту (Далее ТУ), Ереван, 1985, с. 219-220.
11. Г. А. Меликишвили, УКН, с. 426-427, Н. В. Арутюнян, ТУ, с.62.
12. Б. Б. Пиотровский, Ванское Царство (Урарту), Москва, 1959, с. 31, 57. Н. В. Арутюнян, ТУ, с. 140-141. Г. А. Капанцян, Хайаса-колыбель армян, Ереван, 1948, с. 282.
13. Г. А. Меликишвили, УКН, с. 42; ასევე, Н. В. Арутюнян, ТУ, с. 42.; Г. А. Капанцян, Хайаса, с. 41.
14. Г. А. Капанцян, Указ. Соч. с. 41.
15. Г. А. Меликишвили, УКН, с. 442, ასევე, I. M. Diakonoff, S. M. Kashkai, Geographical Names According to Urartian Texts, Wiesbaden, 1981, p. 84; Н. В. Арутюнян, Корпус Урартских клинообразных надписей, с. 507.
16. Я. А. Манандян, О некаторых спорных проблемах истории и географии древней Армении, Ереван, 1956, с. 134.
17. Н. В. Арутюнян, Корпус урартских клинообразных надписей, с. 251.
18. Н. В. Арутюнян, Указ. Соч. с. 257.

19. ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ქრესტომათია, გვ. 277.
20. Н. В. Арутюнян, Указ. соч. с. 518.
21. Г. А. Меликишвили, УКН, с. 146. ასევე, M. Astour, „Assur", 2/3, 1979, გვ. 4, შენ. 19; ასევე, Н. В. Арутюнян, ТУ, с. 79.
22. Giuseppe F. del Monte und J. Tischler, Die Orst-und Gewässernamen der hethitischen Texte, Bund 6, Wiesbaden, 1978, p. 183; ასევე, M. Astour.
23. Н. В. Арутюнян, Указ. соч. с. 257.
24. ნ. ხაზარაძე, საქართველოს ძველი ისტორიის ეთნო-პოლიტიკური პრობლემები, თბილისი, 1984, გვ. 91.
25. ნ. ხაზარაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 87, 91.
26. И. М. Дьяконов, Эпиграфика Востока, Москва, Ленинград, VI, 1952, с. 111-112, Г. А. Меликишвили, УКН, с. 429.
27. ნ. ხაზარაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 90; ასევე, Н. В. Арутюнян, Биайнили (Урарту), Ереван, 1970, с. 323, შენ. 56.
28. M. Astour, „Assur", 2/3, გვ. 14-15.
29. ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ქრესტომათია, გვ. 292.
30. И. М. Дьяконов, Ассиро-вавилонские источники по истории Урарту, ВДИ, 1951, 2, №42,
31. АВИИУ, №43.
32. ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ქრესტომათია, გვ. 292.

§5. გვიანხეთური ხანის სამეფო-სამთავროების ისტორია იეროგლიფურ-ლუვიური წარწერების მონაცემთა კონტექსტში

დიდი კაპადოკიის ტერიტორიაზე მდებარე გვიანხეთური ხანის (ძვ. წ. X-VIII სს.) სამეფო-სამთავროთა (მელიდუ, კუმუხი, გურგუმი, თაბალი, მუშქების ქვეყანა, თუხანი და სხვ.) ისტორიის შესწავლისათვის იეროგლიფურ-ლუვიური წერილობითი ძეგლები მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. ამ დამწერლობით შესრულებული წერილობითი ძეგლების უმრავლესობა სწორედ აღმოსავლეთ მცირე აზიაში აღმოჩენილი, ზემოდასახელებულ სამეფო-სამთავროთა კუთვნილ ტერიტორიაზე.

ძვ. წ. XVI ს-ის მცირე აზიაში ლუვიელების მიერ შექმნილი ლუვიურ-იეროგლიფური დამწერლობა, რომელმაც განსაკუთრებულ აღმავლობას გვიანხეთურ ხანაში (ძვ. წ. IX-VIII სს-ში) მიაღწია, 500-მდე იეროგლიფურ ნიშანს შეიცავს.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული თვალსაზრისის თანახმად, იეროგლიფურ-ლუვიური დამწერლობა თავდაპირველად საკულტო ხასიათისა იყო. საკანცელარიო ხეთური ლურსმულისაგან განსხვავებით, იგი მონუმენტურ რელიგიურ დამწერლობას წარმოადგენდა. გვიანხეთურ ხანაში იგი სეკულარიზაციას განიცდის. ჩნდება მიძღვნითი და სამშენებლო წარწერები, ისტორიული შინაარსის ტექსტები, ტყვიის ფირფიტებზე სრულდება საქმიანი მიმოწერა.[1]

იეროგლიფურ-ლუვიური დამწერლობით შესრულებული წარწერები, ძირითადად, ქვის საბეჭდავებზე[2], მონუმენტურ სტელებზე[3], კლდეში ნაკვეთ რელიეფებზე[4] და ტყვიის ფირფიტებზე[5] დასტურდება.

ჩვენს მიმოხილვას მელიდუს ტერიტორიაზე აღმოჩენილი წარწერების ანალიზით დავიწყებთ.

იეროგლიფურ-ლუვიური წარწერები საკმაოდ მოკლე და მარტივ ინფორმაციას გვაწვდიან მელიდუს ისტორიის შესახებ. წარწერებში, ძირითადად, მეფეები, მათი შვილები და ქვეყნის მმართველებია მოხსენიებული (გურუნი, დარენდე, პალანგა, იზგინი, ისფექური, ქოთუქალე, სირზი)[6].

მელიდის საშინაო პოლიტიკური ვითარების ამსახველი წარწერების ფრაგმენტები იზგინისა და ისფექურის იეროგლიფურ-ლუვიურ წარწერებში მოწმდება. ტექსტების მონაცემებით, მალატიის მმართველ თარას თვითნებურად გაუზრდია თავისი კუთვნილი ტერიტორიის ველებისა და ხეობების საზღვრები. უფრო მეტიც, მას ის ქალაქიც გაუშენებია, რომელსაც თავად მართავდა. არნუვანთას, რომელიც მალატიის მეფის სულუმალის ძე ყოფილა, თარასთან მოსალაპარაკებლად შიკრიკი გაუგზავნია. როგორც ტექსტიდან ირკვევა, თარას იგი არ მიუღია და თავის ბატონთან უარით გამოუსტუმრებია.

ისფექურის წარწერის ავტორი არნუვანთა შემდგომ განვითარებულ მოვლენებზე ბუნდოვნად საუბრობს. ასე რომ ჩვენთვის უცნობია, თუ როგორ დასრულდა აღნიშნული ისტორია.

დღევანდელი მალატიის ტერიტორიაზე აღმოჩენილი იეროგლიფურ-ლუვიური ძეგლების გავრცელების მიხედვით შესაძლოა დავასკვნათ, რომ მელიდუს ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი გურუნთან გადიოდა, სამხრეთ-დასავლეთი იზგინთან, სამხრეთ-აღმოსავლეთი ანქოზთან, ხოლო ჩრდილოეთი – სირზისთან.

ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ მელიდის წარწერებში ხშირად ამ ქვეყნის მეფეთა სახელების მოხსენიებასაც ვხვდებით, რასაც მელიდის მეფეთა ქრონოლოგიის დასად-

ბენად დიდი მნიშვნელობა აქვს. წყაროთა მოწმობით, მელიდის ერთ-ერთ მეფეს სულუმალი ერქვა. ეს სახელი რამდენიმე წარწერაში დასტურდება[7]. მალატიაში ნაპოვნი ლომზე შესრულებული წარწერა, რომელიც ნადირობის სცენებითაა დამშვენებული, ეინმე ხალპა-X-ს ეკუთვნის. იგი ძლევამოსილი მეფის დეტერმინატივითაა წარმოდგენილი, თანაც, მას გენეალოგიაც ახლავს. მალატიაშივე აღმოჩენილ, ირემზე ნადირობისადმი მიძღვნილ რელიეფზე სუვარმის ძის - მარ-X-ის სახელი მოიხსენიება. საინტერესო მონაცემებს გვაწვდის სირზის წარწერაც, სადაც ღვთაება რუვა და მისი საყვარელი მსახური, მალატიის მეფე სუტირუვა(ნთა) ფიგურირებს.[8]

წარწერებში, როგორც წესი, მეფის სახელებთან ერთად გვიანხეთური ხანის ღვთაებათა სახელებიც მოწმდება. ზემოხსენებულ სირზის წარწერაში ნათქვამია, რომ მეფე სუტირუვანთას ძალაუფლება ღვთაება რუვამ გადასცა. გურუნში აღმოჩენილი წარწერა კი, დიდი ღვთაებებისა და ქალღვთაებისადმი მიმართვით იწყება: „დიდო ღვთაება თარხუნთი, დიდო ქალღმერთო ხეფათ, დიდო ღვთაება შარუმა რუვა".[9]

მალატიის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ქვის მონუმენტური ძეგლები, ძირითადად, ნადირობის, მსხვერპლშეწირვისა და ზედაშეს შეწირვის სცენებითაა წარმოდგენილი. მათ გრძელ კაბაში გამოწყობილი მეფის ან დედოფლის გამოსახულებები ახლავს, რომელთაც, ხშირად, ხელში თასი ან ძღვენი უჭირავთ. ერთ-ერთ სტელაზე იეროგლიფურ-ლუვიური წარწერის კვალია შემორჩენილი. ქალღვთაების მხარეს „ქუბაბა" იკითხება, ხოლო ღვთაების მხარეს – „რუთა".[10] იეროგლიფურ-ლუვიურ ტექსტებში ხშირად მზის ღვთაებაც მოიხსენიება, რომელსაც ამ ტერიტორიაზე თაყვანს ცემდნენ.[11] აღნიშნულ წყაროებში მოხსენიებული

ღვთაებათა ნომენკლატურა მალატიის პანთეონის სინკრეს-ტულ ხასიათზე უნდა მიუთითებდეს.

ქვეყანა კუმუხის შესახებ იეროგლიფურ-ლუვიური დამწერლობით შესრულებულ ძეგლებზე ასევე მნიშვნელოვან ცნობებს ვხედებით. წარწერები უკეთებიათ თეთრი ფერის კირქვიან სტელებზე, წყაროსთან ახლოს მდებარე კლდოვან რელიეფებზე. წარწერებს თან როგორც ღვთაებათა, ასევე ჩვენთვის უცნობ ინდივიდთა გამოსახულებები ახლავს. აღნიშნული ძეგლები ლუვიური პანთეონის შესწავლაში დიდ დახმარებას გვიწევს. ასე, მაგალითად, ადიამან I-ის წარწერა „ციური ღვთაება თარხუნთისადმი" მიძღვნილი ძეგლია. აქ, თარხუნთი ხარზეა შემდგარი. წარწერის ფრაგმენტი კრულვის ფორმულით მთავრდება. ანქოზის წარწერა კი, „მხსნელი ღვთაება რუვას" შესახებ მოგვითხრობს, რომელიც ქუბაბას მსგავსი ყოფილა. აღნიშნული ეპიგრაფიკული ძეგლის დასკვნითი ნაწილი ასევე კრულვის ტრაფარეტული ტექსტით მთავრდება[12].

კუმუხის ტერიტორიაზე აღმოჩენილი იეროგლიფურ-ლუვიური წარწერები პირდაპირ მიუთითებენ ამ ქვეყნის კავშირზე ახალხეთურ დინასტიასთან, რომელიც ადრე ბოიბეიპინარისა და ანქოზის ფრაგმენტული ხასიათის წარწერებიდან იყო ცნობილი. კუმუხის წარწერების ავტორებად, როგორც წესი, მეფეთა ქეშევრდომები გვეელინებიან. მაგალითად, ბოიბეიპინარის წარწერა ასთარხუისმა შეასრულა. წარწერის თანახმად, ეს ძეგლი პანამუვათის ბრძანებით დაიდგა. ტექსტში ვინმე აიმია მოიხსენიება, რომელიც პანამუვათის ვასალი ყოფილა. ამ ძეგლის შექმნაში წვლილი, როგორც ჩანს, მასაც მიუძღოდა. წარწერაში ნათქვამია, „თუ ვინმე მომავალში პანამუვათისა და აიმის სახელებს წაშლის, მას თავს ქუბაბას რისხვა დაატყდება". ბოიბეიპინარში აღმოჩენილი სხვა წარწერა, რომელიც უკვე

მოხსენიებული წარწერის გაგრძელებას წარმოადგენს, ზემოთ დასახელებულ პირთა ვინაობას გვაცნობს. ირკვევა, რომ პანამუკათი ხათუსილის დედა, ხოლო აიმი ასთარხუნის მამა ყოფილა. ტექსტებში ჩვენთვის უცნობი ქალბატონი tarwana Tuhami და ბატონი Tuhami-ც მოიხსენიებიან.[13]

ჩვენთვის საინტერესო წყაროებში ხშირადაა ხაზგასმული, რომ ესა თუ ის ბატონი და ქალბატონი ღვთაებათა კეთილგანწყობით სარგებლობს. მაგალითად, ხათუსილის დედას ქალღვთაება ქუბაბა მფარველობს, აიმი კი, ღვთაებათა საყვარელი და მზისგან კურთხეულია. აღნიშნული წარწერისა და ძეგლის (სავარძელი?) დამცველებად ზემოხსენებული ღვთაებები და ცისა და მიწის ღვთაებები გვევლინებიან.

ბოიბეიპინარში აღმოჩენილ ლოდებზე შესრულებული წარწერების მონაცემებს მალპინარის კლდეზე ნაკვეთი იეროგლიფურ-ლუვიური წარწერა მნიშვნელოვნად ავსებს. მას თან მამაკაცის გამოსახულება ახლავს, რომელიც საკმაოდ გაცვეთილია. წარწერა ფრაზით „მე (ვარ)" იწყება. ტექსტის დაბოლოება დაზიანებულია. აღსანიშნავია, რომ გამოსახულების დეტალები ასურულ სტილზე მიანიშნებს. ვერ გამოვრიცხავთ, რომ მას კისრის უკან გრძელი, შეკრული თმა ჰქონდა, კოჭებამდე დაშვებული არშია შემოვლებული კაბა ეცვა, თავზე ფესის ფორმის ქუდი ეხურა, ხოლო მარჯვენა ხელში კვერთხი ეკავა.[14] წარწერის ავტორი ათაიაზასია. ეს ქანდაკება მას ქალაქ კუმახაში აღუმართავს. მზის ღვთაების ქანდაკებისათვის წყალობის მოსაპოვებლად ცხვარი უნდა შეეწირათ. წარწერა კრულვისა და მუქარის შემცველი ტექსტით მთავრდება. აღრესატს ამ შემთხვევაშიც წარწერის პოტენციური შეურაცხმყოფელი წარმოადგენს.[15]

ზემოთ აღინიშნა, რომ იეროგლიფურ-ლუვიური წარწერების ავტორებად ხშირად მეფეთა ქვეშევრდომები გვევლინებიან. მალპინარის წარწერის ავტორი ათაიაზასი „ქალაქების სარიტა და სუქიტას მდინარის გამგებელია. პატრონი კი, ხათუსილია, რომლის ტიტულატურა ასეა წარმოდგენილი: „მმაროველი, მეფე." წარწერა შინაარსობრივად ახლოს დგას ბოიბეიპინარის სხვა წარწერებთან, სადაც პანამუვათი კუმუხის მმართველის – სუფილულიუმას მეუღლედ, აზამისის ქალიშვილად (აზამისი იყო ქალაქების - სარიტა და სუქიტას მდინარის გამგებელი) და ხათუსილის დედადაა მოხსენიებული. ხათუსილისა და სუფილულიუმას ასურეთის მეფეების – აშურნასირპალ II-ის, სალმანასარ III-ის,[16] ადადნირარ III-ისა და სალმანასარ IV-ის წარწერებში მოხსენიებულ კუმუხის მეფეებთან – ქათაზილუსა და უშფილულუმესთან[17] აიგივებენ. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ბოიბეიპინარის სუფილულიუმა და ასურული ტექსტების უშფილულუმე ერთი და იგივე პიროვნება იყო, ხათუსილი კი, მისი შთამომავალი, რომელსაც ძვ. წ. 773 წ. მამის შემდეგ და ქუშთაშპის წინ (ურარტუს მეფე სარდურ II–ის ლაშქრობა ძვ. წ. 750 წ.) უნდა ემეფა. რაც შეეხება წარწერის ავტორს, მას შესაძლოა ტიტული მემკვიდრეობით პაპა – აზამისისაგან (დედის მხრიდან) მიეღო. ასე რომ, წარწერის ავტორი შესაძლოა ხათუსილის ბიძა ან ბიძაშვილი ყოფილიყო.[18]

ზემოხსენებულ იეროგლიფურ-ლუვიურ წარწერებში საყურადღებო ცნობებს ვპოულობთ კუმუხის ისტორიის სხვა საკითხების გასაშუქებლადაც. ამ თვალსაზრისით, საგულისხმოა კუმუხის კუთვნილ ტერიტორიაზე აღმოჩენილ ტექსტებში მესაქონლეობასთან დაკავშირებული ცნების - „ცხვრის" მოხსენიება. არანაკლებ მნიშვნელოვანია ადიამანის სტელაზე ხარის გამოსახულების არსებობაც.[19] ამასთა-

ნავე, ისიცაა ნიშანდობლივი, რომ მალპინარის კლდიდან მომდინარე წყაროს წყალს „მალპინარი" (Cattle-spring) უწოდეს, რაც ქართულად „ნახირის სარწყულებელს" ნიშნავს.[20]

როგორც ჩანს, კუმუხის ქალაქები სტრატეგიული მნიშვნელობის ადგილებში იყო განლაგებული. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ ბოიბეიპინარისა და მალპინარის ზემოთ უკვე მოხსენიებულ იეროგლიფურ-ლუვიურ წარწერებში მოხსენიებული სამი ქალაქიდან: სარიტა, სუხიტა და კუმახა, პირველი ორი მაინცდამაინც მდინარის პირას იყო გაშენებული.[21]

გვიანხეთური ხანის სამეფო გურგუმის ისტორიის შესახებ მის სავარაუდო ტერიტორიაზე ნაპოვნი იეროგლიფურ-ლუვიური წარწერები საუკეთესო ინფორმაციას გვაწვდიან. თუ ამ ძეგლების გავრცელების არეალის მიხედვით ეიმსჯელებთ, გურგუმი გვიანხეთური ხანის სამეფო კუმუხის მეზობლად, მის დასავლეთით უნდა მოვათავსოთ. საქმე ისაა, რომ გურგუმის კუთვნილი ეპიგრაფიკული ძეგლების გავრცელების აღმოსავლეთი საზღვარი მიახლოებით მარაშთან გადის. აქვე დავძენთ, რომ გურგუმის კუთვნილი ცალკეული წერილობითი ძეგლები Kara-burclu-სა და Kurtül-შია აღმოჩენილი.[22]

მარაშ I-ის წარწერა ლომის ფიგურაზეა დადასტურებული. იგი წარწერის ავტორის მოხსენიებით იწყება: „მე ვარ ხალფარუნცია". ამ ფრაზას მეფის ერცელი ტიტულატურა და გენეალოგია მოსდევს. აღნიშნული ტიტულატურა მაღალფარდოვანია. მეფე იწოდება: „მსაჯულად", „გურგუმის მეფედ", „ღვთაებათა მოსიყვარულედ", „ხალხისაგან დიდად პატივცემულად". მეფის გენეალოგია ერცელია. იგი სრულ ინფორმაციას გვაწვდის მეფის წინაპრების შესახებ.

წარწერაში მოიხსენიება არა მარტო გურგუმის მეფის მამა, პაპა, არამედ მისი პაპის პაპაც და პაპის პაპის პაპაც.

ჩვენთვის საინტერესო იეროგლიფურ-ლუვიური წარწერებიდან კარგად ჩანს, რომ გვიანხეთურ სამეფო-სამთავროებში გავრცელებული ოფიციალური იდეოლოგიის შესაბამისად, სამეფო ხელისუფლება ღვთაების მიერ ბოძებულად იყო მიჩნეული. მაგალითად, ხალფარუნციას წარწერაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ იგი მეფედ და მსაჯულად სწორედ ღვთაება რუვანთიმ დაადგინა.[23]

ღვთაებასთან მეფისა და სამეფო ხელისუფლების მიმართებაზე მეფეთა სახელებიც მიუთითებს: მეფეთა სახელების დიდი ნაწილი თეოფორულია. ასეა, კერძოდ, თავად ხალფარუნციას სახელიც, რომელიც მისი მფარველი ღვთაების რუვა-რუვანთის სახელს უკავშირდება.[24] გვიანხეთური ხანის მეფეთა სახელებში ხშირად გამოიყენება უზენაესი ღვთაების თარხუნთის სახელიც. ასეთია, მაგალითად, მარაშ II-ის ტექსტში მოხსენიებული თარხუნთივასტი, რომელიც Ai[mi]-ს მეუღლე ყოფილა, მის ერთ-ერთ კომპონენტად ღვთაება თარხუნთის სახელია აღებული. იეროგლიფურ-ლუვიურ წარწერებში (Kurtül) მეფე უზენაესი ღვთაების მსახურადაა წარმოდგენილი. ეს ფრაგმენტული წარწერა შემდეგი სიტყვებით იწყება: „მე ვარ Las, მეფე? ღვთაება თარხუნთის მსახური."[25]

იეროგლიფურ-ლუვიური წარწერების მონაცემებით, გურგუმში სამეფო ხელისუფლება მემკვიდრეობით მამიდან შვილზე გადადიოდა. აკი ხალფარუნცია გვამცნობს კიდეც: „მე მამისეულ სავარძელში ვიჯექი." ზემოხსენებული ტექსტიდან კარგად ჩანს, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მეფე თავისი დინასტიის ინტერესებისა და კეთილდღეობისათვის ზრუნვას. ხალფარუნცია თავის წარწერებში აღნიშნავს, რომ მან გურგუმის ტერიტორიის გაფართოები-

სათვის ქვეყანა ჰიჯარკას ქალაქი ალასუვასა დაიქვემდებარა, მისი მოსახლეობა კი, დაიმონა, ხოლო ქვეყნის უსაფრთხოებისათვის „გამაგრებული კედელი ააშენა".[26]

ძვ. წ. VIII ს-ის იეროგლიფურ-ლუვიურ წყაროებში საინტერესო ცნობებია შემონახული თუხანის ქვეყნის შესახებაც. ეს წარწერები ივრიზის, ბორისა და ბულღარ-მადენის მიდამოებშია აღმოჩენილი. ზემოხსენებულ პირველ ორ მონუმენტურ სტელაზე მეფე ვარპალავას ფიგურაა გამოსახული. იგი კაბითა და მოსასხამითაა წარმოდგენილი.[27] ბულღარ-მადენის კლდეზე ამოკვეთილი წარწერა კი, მეფის ვასალს ეკუთვნის.

ვარპალავას მონუმენტის აღმოჩენის ადგილი მიგვანიშნებს, რომ ტექსტში მოხსენიებული მისი სამთავრო თუვანუვა, დაახლოებით ტიანას მიდამოებში, დღევანდელი ნიღდეს ვილაიეთში მდებარეობდა, რომელიც, სავარაუდოდ, ერეღლიდან (ივრიზი) კილიკიის კარის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორიამდე იყო გადაჭიმული.[28]

ზემოხსენებული იეროგლიფურ-ლუვიური წარწერები აკტორის მოხსენიებით იწყება. წარწერის ავტორის სახელს ტიტულატურა და გენეალოგია ერთვის. ასე, მაგალითად, ცნობილი წარწერა ივრიზიდან გვამცნობს, რომ თუვანუვას მეფე ვარპალავა მამუს ძე ყოფილა. ბორის წარწერა'ში იგივე მეფე სამართლიან და ღვთისმოსავ ხელმწიფედ იწოდება.[29]

თუვანუვას მეფე ვარპალავა ასურული წერილობითი წყაროებიდანაცაა ცნობილი (თიგლათფილესერ III-ის წარწერა თიხის ფირფიტაზე). ასურულ ტექსტში მას ურბალა თუხანელი ეწოდება.[30] როგორც ჩანს, ვარპალავა-ურბალა დაახლოებით ძვ. წ. VIII ს-ის მეორე ნახევარში მოღვაწეობდა.

ბორის წარწერიდან კარგად ჩანს, რომ ვარპალავა აღმშენებლობით საქმიანობას ეწეოდა: მისი ინიციატივით შვიდი სასახლე აუგიათ და ვენახებიც გაუშენებიათ. ვარპალავა-ურბალას წარწერებში ხაზი გვიანხეთური ხანის უ'ხენაესი ღვთაების თარხუნთასის როლსაც ესმება, რომელიც მეფის მფარველად და მისი მოღვაწეობის წარმმართველადაა წარმოდგენილი.[31]

თუვანუვას ქვეყანაში მეფისადმი დაქვემდებარებულ პირთა მნიშვნელობაზე მეფის ქვეშევრდომის სახელით შედგენილი წარწერების სიმრავლე მიუთითებს. ბულღარმადენის წარწერიდან ვგებულობთ, რომ თუვანუვას (თუხანის) მეფე ვარპალავა-ურბალას მუოის მთა და მისი შემოგარენი თარხუვარას ვაუისთვის, თარხუნაზისთვის უბოძებია. მისთვისვე ლაშქარი და სახედრები ჩაუბარებია. ამ ამბის უკვდავსაყოფად თარხუნაზს სტელა აღუმართავს, რომელზედაც იეროგლიფურ-ლუვიური წარწერა ამოუკვეთია.[32]

ამ წარწერაში ერთი გარემოებაა ნიშანდობლივი. კერძოდ, სარგონ II-ის დროს თარხუნაზი მელიდის მეფედ გვეელინება, იგი ერთ დროს ასურეთის ვასალიც ყოფილა, შემდეგ კი, სარგონისათვის ურჩობა გაუწევია.[33] სავარაუდოა, რომ თარხუნაზი, როგორც წარწერაშიცაა ნათქვამი, ქვეყნის გარეთაც „სამართლიანად" მოღვაწეობდა. შესაძლოა, მან ერთგული სამსახურით მიიღო დამსახურებული წყალობა თუვანუვას მეფე ვარპალავასგან. თუმცა, თარხუნაზი ქალღვთაება ქუბაბას, ღვთაება თარხუნთსა და ღვთაება რუვას მფარველობით სარგებლობს. იგი შემდეგი ტიტულატურითაა წარმოდგენილი: "მეფე ვარპალავას ვასალი, მმართველი, ღვთაებათა მიერ ბოძებული...". საყურადღებოა, რომ თარხუნაზისა და მისი მამის სახელები ასევე თეოფორულია.[34]

ზემოაღნიშნული წარწერები თუხანის რელიგიური ცხოვრების რეკონსტრუქციის თვალსაზრისითაცაა საინტერესო. ტექსტებში, როგორც წესი, არა მხოლოდ ლუვიური ღვთაებების – თარხუნთასის, რუვანთის, ქარხემიშელი ქუბაბას სახელებს ვხვდებით, არამედ მთვარის ღვთაებასა და ბაბილონურ ღვთაება ნაკარვასაც.

თაბალის ისტორიის შესახებ იეროგლიფურ-ლუვიურ წარწერებში გაცილებით მეტი ინფორმაცია მოგვეპოვება. მათი სიმრავლე და გავრცელების დიდი არეალი თაბალის ადგილმდებარეობის დადგენაში გვეხმარება. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ნ. ხაზარაძის მიერ 1978 წ. გამოცემული მონოგრაფია „აღმოსავლეთ მცირე აზიის ეთნიკური და პოლიტიკური გაერთიანებები ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში", რომელშიც თაბალის ისტორიის კარდინალური საკითხები საკმაოდ ამომწურავადაა გაშუქებული.

თაბალური ეპიგრაფიკული ძეგლები მათი ავტორების მოხსენიებით იწყება. ავტორებად მეფე, მისი ვასალები, ქურუმები (ერკილეთი I, სუვასა), დასახლების მმართველები (ანდავალი) და არმიის მეთაური გვეელინებიან.[35]

დიდია ამ წარწერების, როგორც თაბალის სოციალური განვითარების ისტორიის წყაროს მნიშვნელობაც.

თაბალური წარწერების მიხედვით, სოციალური კიბის უმაღლეს საფეხურზე მეფე იდგა. ტოპადას წარწერაში ხაზგასმითაა აღნიშნული თაბალის მეფის – ვასურმეს ტიტულატურა და გენეალოგია: „მე ვარ დიდი მეფე ვასურმე... შვილი დიდი მეფე თუვათისა."

ტოპადას ზემოაღნიშნული წარწერიდან ირკვევა, რომ მეფის თვალსაზრისით, მათი მოღვაწეობა ღვთაებრივ საწყისებთანაა დაკავშირებული. მეფეს წინ ღვთაება ან ღვთაებათა ჯგუფი მიუძღვის და იგი ქვეყანას მათი საშუალებით მართავს. სამეფო ხელისუფლების ღვთაებრივი

წარმომავლობის კონცეფციას უნდა უკავშირდებოდეს ის გარემოებაც, რომ მეფეები, როგორც წესი, თეოფორულ სახელებს ატარებდნენ. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა თაბალის მეფის ვასუსარმა-ვასურმეს (ასურული წყაროების უასურმეს) სახელები, რომლებიც ღვთაება სარმას სახელიდან მომდინარეობენ.[36]

ტოპადას წარწერის ძირითადი შინაარსი შესავალ ნაწილს მოსდევს, სადაც ქალაქ პარვიტას დაპყრობაზეა საუბარი. ირკვევა, რომ ამ ქალაქს მეფე არ ჰყოლია. უცნობი რჩება ის ძალა, რომელმაც ვასურმეს ამ დასახლებულ პუნქტში წინააღმდეგობა გაუწია, რაც ქალაქის კედლის დანგრევით გამოიხატა. წარწერის მოწმობით, ეს ძალა (სახელი უცნობია) ქალაქ პარვიტაში „თავისი მიწიდან" მისულა, ანუ იგი არა მკვიდრი მოსახლეობა ყოფილა, არამედ „თავისი მიწიდან" მისული. ვასურმეს ქალაქის გასანადგურებლად ცხენოსანი ჯარი გაუგზავნია და ღვთაებების – თარხუნთისა და სარმას დახმარებით ხელისუფლება დაუბრუნებია. ამ ისტორიული მოვლენის აღსანიშნავად ვასურმეს ზემოაღნიშნული წარწერა აღუმართავს. წარწერა მუქარის ფორმულით მთავრდება.[37]

ვასურმეს მამის სახელი – თუვათი კულულუ I-სა და ჩიფლიქის წარწერებიდანაა ჩვენთვის ცნობილი. წარწერები მის ვასალებს ეკუთვნით, რომლებიც, სავარაუდოდ, მეფის შემდეგ სოციალური კიბის მომდევნო საფეხურზე დგანან. მეფის მსგავსად, ისინიც უზენაესი ღვთაების ან ღვთაებათა მფარველობით სარგებლობენ. ვასალები ღვთაებებს თაყვანსცემენ, განადიდებენ და საჩუქრებს უძღვნიან, ჩვენთვის გაუგებარი დანიშნულების artali-ს უგებენ. ღვთაებები კი, ქვეყანაზე მათ ხელისუფლებას მუდმივად უზრუნველყოფენ.[38]

ამრიგად, ზემოთ განხილული წარწერების მიხედვით, შესაძლოა დავასკვნათ, რომ თაბალის ქვეყანა, რომლის სათაეში მეფე იდგა, ქვეშევრდომების მეშვეობით იმართებოდა, რაც თავისი მხრით იმას უნდა ნიშნავდეს, რომ თავად ქვეყანა რამდენიმე ადმინისტრაციული ერთეულისაგან შედგებოდა.

თაბალის ქვეყანაში სამხედრო აპარატი საკმაოდ განვითარებული ჩანს. ამაზე უნდა მიუთითებდეს პორსუკში აღმოჩენილი იეროგლიფურ-ლუვიური წარწერა, რომელიც მეფე მასა-ურჰისას არმიის სარდალს – პარაპვარას ეკუთვნის.[39] სავარაუდოა, რომ თაბალში მეფესთან დაახლოებული სამხედრო ფენა საზოგადოების მაღალ წრეს ქმნიდა. წარწერების მოწმობით, ჯარი ქვეითი და ცხენოსანი ნაწილისაგან შედგებოდა.

თაბალის ეკონომიკური ისტორიის შესახებ იეროგლიფურ-ლუვიურ წარწერებში საგულისხმო ცნობებია დაცული. წარწერებში მიწათმოქმედებასთან და მესაქონლეობასთან დაკავშირებული ტერმინებია ნახსენები. ესენია: „ვაზი", „პური", „ქერი", „ხარი", „ცხვარი", „ცხენი", „ჯორი". კულულუს წერილობითი ძეგლების მონაცემებით, თაბალის ქვეყანაში მოწესრიგებული საგადასახადო სისტემა არსებობდა. როგორც კულულუში აღმოჩენილი ტყვიის ფირფიტებიდან ჩანს, გადასახადის ერთ-ერთ სახეობას ქერი და ცხვარი შეადგენდა. სულთანხანის წარწერაში საინტერესო ცნობა მოგვეპოვება გადასახადის გაუქმებასთან დაკავშირებით. ვასურმემ ქალაქ სირვათივარაში ხარკის მიღების სანაცვლოდ, მიწასა და ვენახზე ზოგიერთ გადასახადს აუქმებს. კულულუს ტყვიის ფირფიტაზე შესრულებულ წარწერაში ტერმინი „ღვინის მწეა" ნახსენები, რაც თაბალში მეღვინეობის განვითარებაზე უნდა მიუთითებდეს.[40]

კულულუს ტყვიის ფირფიტებმა თაბალის ქალაქების სია შემოგვინახა, რაც ამ ქვეყანაში საქალაქო ცხოვრების სურათის აღდგენაში გვეხმარება. ტყვიის ფირფიტაზე ქალაქ ურამუვას ხალხის საკმაოდ გრძელი სიაა დაცული. ჩვენთვის უცნობია, თუ სოციალური განვითარების რომელ საფეხურზე იდგნენ ისინი. საკუთარი სახელები (ხალხის) ტექსტში გაფანტული სახით მრავალგზის მეორდება. ჯ. ჰოვკინსი ვარაუდობს, რომ საკუთარი სახელები შეიძლება მამის სახელთან, ხელობა-სტატუსის სახელთან დავაკავშიროთ, ან წარმოშობის ადგილსამყოფელთან გავაიგივოთ.[41]

ჩვენამდე მოღწეულ იეროგლიფურ-ლუვიური დამწერლობით შესრულებულ ეპიგრაფიკულ ძეგლებში საინტერესო ცნობებია დაცული მუშქების ქვეყნის შესახებაც. რამდენიმე წარწერა ყარა-დაღისა და მასთან ახლომდებარე ყიზილ-დაღის მიდამოებშია აღმოჩენილი, ერთი კი, ჩრდილოეთ სირიაში მდებარე ქარხემიშში (ჯერაბლუსი) მოწმდება.[42]

ყარა-დაღისა და ყიზილ-დაღის წარწერები მუშქების მეფე ხართაფუს ეკუთვნის. ტექსტებში მეფის მაღალფარდოვანი ტიტულატურა და გენეალოგიაა დადასტურებული. ხართაფუ დიდ მეფედ და გმირადაა წარმოდგენილი, ისევე როგორც მისი მამა მურსილიც.

ზემოაღნიშნული წარწერები სპეციალურადაა შესწავლილი და გაანალიზებული ნ. ხაზარაძის მიერ. ხეთური და გვიანხეთური ხანის წარწერებთან ამ ეპიგრაფიკული ძეგლების ურთიერთშედარების საფუძველზე და სხვა მონაცემების გათვალისწინებით ისინი ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისით, დაახლოებით X ს-ის 40-30-იანი წლებისა და IX ს-ის დასაწყისით (90-იანი წლებით) თარიღდებიან.[43]

თუ ყარა-დაღისა და ყიზილ-დაღის წარწერების მონაცემებით ვიმსჯელებთ, შეიძლება ვიფიქროთ, რომ მუშქების ქვეყანა რამდენიმე ადმინისტრაციულ ერთეულს მოიცავდა. ხართაფუ KUR დეტერმინატივითა და №213 და №245 იეროგლიფებით აღნიშნული ქვეყნების დიდ მეფედ გვევლინება. სამეცნიერო ლიტერატურაში „ქვეყანა 213" „კლდეკარის ქვეყნად", ხოლო „ქვეყანა 245" ტავროსის მთის მხარედ მოიაზრება. აღნიშნული იდენტიფიკაციების საფუძველიანობას ამ წარწერების გავრცელების არეალი ერთმნიშვნელოვნად მხარს უჭერს.

ზემოაღნიშნული წარწერების ჩვენებათა საფუძველზე, შესაძლოა დავასკვნათ, რომ მუშქების ქვეყანა მთიან მხარეში მდებარეობდა, რომელიც მდინარე ჰალისის შუა დინების სამხრეთით განლაგებულ რეგიონს მოიცავდა.

ყიზილ-დაღისა და ყარა-დაღის წარწერები ძალზე ლაკონურია. ყურადღება ძირითადად მეფეზეა გამახვილებული. წარწერაში მეფის მამის მოხსენიება, როგორც ჩანს, სამეფო ხელისუფლების მემკვიდრეობით ხასიათზე უნდა მიუთითებდეს.

ჩრდილოეთ სირიაში, დღევ. ჯერაბლუსში (ქარხემიში) აღმოჩენილი ქარხემიშის მეფის იარირისის იეროგლიფურლუვიური წარწერა, სადაც მუშქების ქვეყანა მოიხსენიება, ძვ. წ. VIII ს-ის 60-40-იანი წლებით თარიღდება. როგორც წარწერიდან ჩანს, მუშქებისა და ქარხემიშის ქვეყნებს შორის ურთიერთობაში პირველობა ქარხემიშის მეფეს ეკუთვნოდა. მოგვიანებით კი, როგორც ამას ასურული წყაროები გვიჩვენებენ (სარგონ II-ის „ანალები"), როლები იცვლება: ქარხემიში სხვა გვიანხეთურ სამეფო-სამთავროებთან ერთად (თაბალი, თუნა) მუშქების მეფე მითას, როგორც მთავარ წარმართველ ძალას უკავშირდება და ანტიასურული კოალიციაც ყალიბდება.[44]

ისევე როგორც აღმოსავლეთ მცირე აზიის გვიანხეთური ხანის სხვა სამეფო-სამთავროებში, მუშქების ქვეყანაშიც პანთეონის სათავეში უზენაესი ღვთაება „თარხუნთი ცისა" იდგა. ყარა-დაღის წარწერაში სხვა ღვთაებების სახელებსაც ვხედებით. ესენია: „ღვთაება დიდი მთისა" და „ღვთაება Na213".

როგორც ვხედავთ, წარმოდგენილი იეროგლიფურ-ლუვიური წარწერები მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდიან ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის გვიანხეთური სამეფო-სამთავროების ისტორიის რეკონსტრუქციისათვის. ამ ინფორმაციის მართებულობას საკვლევით ადასტურებენ, ერთი მხრივ, ძველაღმოსავლური წერილობითი ძეგლების მონაცემები და, მეორე მხრივ, მცირე აზიის სხვადასხვა რეგიონებში XXს-ში ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები.[45]

---

1. ნ. ხაზარაძე, ნაგებობების აღმნიშვნელი ლუვიური იეროგლიფები, (მასალები ძვ. წ. II-I ათასწლეულების მცირე აზიის ქალაქების ისტორიისათვის), კრებულში: "ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში", თბილისი-ბათუმი, 2000, გვ. 32-35.
2. ნ. ხაზარაძე, აღმოსავლეთ მცირე აზიის ეთნიკური და პოლიტიკური გაერთიანებები ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში, თბილისი, 1978, გვ. 17; C. K. Hansen and J. N. Postgate, The bronze to iron transition at Kilise Tepe, AnSt, 49, London, Ankara, 1999, p. 111.

3. J. D. Hawkins, The lower part of the Meharde stele, AnSt, 38, 1988, p.189-190.
4. M. Kalaç and J. D. Hawkins, The hieroglyphic luwian rock-inscription of Malpinar, AnSt, 39, 1989, p. 107-111.
5. J. D. Hawkins, The Kululu lead strips economic documents in hieroglyphic luwian, AnSt, 37, 1987, p. 135-162.
6. P. Meriggi, Manuale Di Eteo Geroglifico, Testi-2aE3a Serie, Roma, 1975, №102, 103.
7. P. Meriggi, დასახ. ნაშრ., №97, 98, 103, 104, 109, 113, 114.
8. P. Meriggi, დასახ. ნაშრ., №108, 107.
9. P. Meriggi, დასახ. ნაშრ., №97.
10. P. Meriggi, დასახ. ნაშრ., №117; M. Vieyra, Hittite Art, 1955, p. 65.
11. P. Meriggi, დასახ. ნაშრ., №122, 99.
12. P. Meriggi, დასახ. ნაშრ., №122, 124.
13. P. Meriggi, დასახ. ნაშრ., №128, 129, 130, 131.
14. M. Kalaç and J. D. Hawkins, The hieroglyphic luwian rock-inscription of Malpinar, AnSt, 39, p. 107.
15. იხ. იქვე, გვ. 109.
16. АВИИУ, ВДИ, 2, 1951, с.288.
17. АВИИУ, с. 288.
18. J. D. Hawkins and M. Kalaç, დასახ. ნაშრ., გვ. 112.
19. P. Meriggi, დასახ. ნაშრ., №122.
20. J. D. Hawkins and M. Kalaç, დასახ. ნაშრ., გვ. 107.
21. იქვე, გვ. 109.
22. P. Meriggi, Manuale Di Eteo Geroglifico, იხ. რუკა.
23. P. Meriggi, დასახ. ნაშრ., Testi-1a Serie, Roma 1967, №32, 33.
24. ნ. ხაზარაძე, გვიანხეთური ხანის აღმოსავლეთ კაპადოკიის ანთროპონიმიკისათვის, ონომასტიკა I, თბილისი, 1987, გვ. 365-366.
25. P. Meriggi, დასახ. ნაშრ. Testi 2a E3a Serie, №145
26. P. Meriggi, დასახ. ნაშრ. Testi 1a Serie, №32, 33.
27. A. S. Crespin, Between Phrygia and Cililia: the Porsuk area at the beginning of the iron age, AnSt, 49, 1999, p. 69.

28. ნ. ხაზარაძე, აღმოსავლეთ მცირე აზიის ეთნიკური და პოლიტიკური გაერთიანებები ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში, გვ. 44; AnSt, 29, 1979, გვ. 164.
29. P. Meriggi, დასახ. ნაშრ. Testi-2aE3a Serie, №25, 30.
30. АВИИУ, №44, ВДИ, 2, 1951,с.315.
31. P. Meriggi, დასახ. ნაშრ. №30.
32. P. Meriggi, დასახ. ნაშრ. Testi-1a Serie, №25.
33. АВИИУ, №178, с.318.
34. ნ. ხაზარაძე, გვიანხეთური ხანის აღმოსავლეთ კაპადოკიის ანთროპონიმიკისათვის, ონომასტიკა I, გვ. 365.
35. P. Meriggi, დასახ. ნაშრ. Testi-1a Serie, №1, 7, 18, 27, 30; Testi-2aE3a №32, 67, 78; Testi-1a Serie, №31, Testi-2aE3a №29, 32.
36. ნ. ხაზარაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 367-368.
37. ნ. ხაზარაძე, აღმოსავლეთ მცირე აზიის ეთნიკური და პოლიტიკური გაერთიანებები ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში, გვ. 19; P. Meriggi, დასახ. ნაშრ. Testi-1a Serie, №31.
38. P. Meriggi, დასახ. ნაშრ Testi-1a Serie, №17, 18, 27.
39. P. Meriggi, დასახ. ნაშრ. Testi-2aE3a Serie, №29.
40. J. D. Hawkins, The Kululu lead strips economic documents in hieroglyphic luwian, AnSt, 37, 1987.
41. P. Meriggi, დასახ. ნაშრ. Testi-1a Serie, №30.
42. J. D. Hawkins, დასახ. ნაშრ. AnSt, 37, p. 140.
43. P. Meriggi, დასახ. ნაშრ. IIIa Serie, Testi: antichi, №12, 16, 17; J. D. Hawkins, Some historical problems of the hieroglyphic luwian inscriptions, AnSt, XXIX, 1979, p. 157-160.
44. იხ. დაწვრილებით, ნ. ხაზარაძე, საქართველოს ძველი ისტორიის ეთნო-პოლიტიკური პრობლემები, თბილისი, 1984, გვ. 106-125; P. Meriggi, დასახ. ნაშრ. IIIa Serie: Testi antichi, №12, 16.
45. ნ. ხაზარაძე, ნაგებობების აღმნიშვნელი ლუვიური იეროგლიფები, გვ. 33.

§6. გვიანხეთური ხანის სამეფო-სამთავროები არქეოლოგიური გათხრების შუქზე

XX საუკუნის შუა ხანებიდან დაწყებული ამ ბოლო დრომდე აღმოსავლეთ მცირე აზიაში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა გვიანხეთური ხანის სამეფო-სამთავროთა ისტორიის შესწავლისათვის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს.

გვიანხეთური ხანის მუშქების განსახლების სავარაუდო ტერიტორიაზე (დღევ. კონია) ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებულ მატერიალურ ძეგლთა ნაშთებს, ძირითადად, თიხის ჭურჭელი წარმოადგენს. 1964 წელს კონიაში გათხრების შედეგად უამრავი ორმო აღმოჩნდა, რომლებშიც დოქების (ძირითადად, ნაცრისფერი ჭურჭლის) ნამსხვრევები აღმოაჩინეს. ნაგებობათა ნაშთები არ გამოვლინდა.[1]

მოგვიანებით არქეოლოგებმა კვლავ კონიის რეგიონში (ალათინ თეფეში) ხაზოვანი სტილით მოხატული, ცხოველთა ფიგურებით დამშვენებული ჭურჭელი იპოვეს. ჭურჭელსე, ძირითადად, ლომები, თხები და შეეარდნებია გამოსახული, ირმებისა და ხარების გამოსახულებები იშვიათადაა წარმოდგენილი. ამ ჭურჭელს მკვლევარები ძვ. წ. VIII საუკუნით ათარიღებენ.[2]

1975 წელს კონიის რეგიონში მდებარე ყარაჰუიუქში სფინქსის გამოსახულებიანი ვაზა აღმოჩნდა. იგი საკულტო დანიშნულების უნდა ყოფილიყო. ხეთურ-იეროგლიფურად ნავი ცის აღმნიშვნელ იეროგლიფს წააგავს. ხეთური ტექსტების მიხედვით მას ლიბაციის შესასრულებლად იყენებდნენ და tapišana ეწოდება.

სფინქსი მამაკაცის თავის ფიგურითაა წარმოდგენილი. მას დიდი ყურები, სპირალური ფორმის ნაწნავი, სქე-

ლი წარბები, სწორი ცხვირი, ულვაშები, თხელი ტუჩები და სამკუთხედი წვერი აქვს. ამ ვაზას, როგორც ჩანს, მეორე მხარესაც ჰქონდა ასეთივე ფიგურა გამოსახული, რადგან მეორე თავის ფიგურა ცალკე ფრაგმენტის სახით იქნა მიკ-ვლეული. აღნიშნულ ვაზას ძირზე ლომის თათები ჰქონდა. ჭურჭელი კარგად გაპრიალებული და ყავისფერი იყო.[3]

XX საუკუნის 90-იან წლებში არქეოლოგიური გათ-ხრების შედეგად კონიაში Kicikişla-ს მხარეში კერამიკული ნაწარმი გამოვლინდა, რომელიც ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრით თარიღდება. მოპოვებული თიხის ჭურ-ჭელი ახლო მსგავსებას დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ ანატოლიურ კერამიკასთან ამჟღავნებს, ისეთი, როგორიცაა იონური ჩიტის ვაზები, შავ-წითელი თიხის ჭურჭელი.[4]

ჯ. მელარტის მოსაზრებით, ტავრის მთათა სისტემა ალიშარ IV-სა და ნაცრისფერ ჭურჭელს შორის სამხრე-თით საზღვარს ქმნიდა. ცხოველთა ფიგურებით მოხატული ჭურჭელი, რომელიც გორდიონშია მიკვლეული, აღნიშნუ-ლი სახეობა კონიაშიც დასტურდება. ჩანს, რომ კონია ასე-თი სახეობის აღმოსავლეთ საზღვარს წარმოადგენდა, რა-დგან კონიის რეგიონის დასავლეთ მხარეში ჯერჯერობით მჯდომარე ცხოველებით მოხატული თიხის ჭურჭელი არ გამოვლენილა.[5]

როგორც დავინახეთ, მუშქების განსახლების საკარა-უდო ტერიტორიაზე (კონიის რეგიონში) მოპოვებულ თიხის ჭურჭელს თასები და ვაზები შეადგენს. თიხის ჭურჭლის როგორც შიგნითა, ისე გარეთა მხარეც მოხატულია. მათი დეკორაციის სახე მოტივების ფართო მწკრივს გვიჩვენებს. გამოყენებულია როგორც პარალელური ზოლები, ვერტიკა-ლური ხაზები პარალელურ ზოლებს შორის, ისე კონცენ-ტრირებული წრეები, ტალღოვანი ხაზები, ჭადრაკის დაფი-სებრი სახეები, დიაგონალური და წერტილოვანი სახეები.[6]

გაცილებით მეტი არქეოლოგიური მასალა თაბალისათვის სავარაუდო ტერიტორიაზეა აღმოჩენილი. გვიანხეთური ხანის თაბალის სხვადასხვა რაიონებში ნაპოვნი ცალკეული ძეგლებისა თუ ნაქალაქარების ნაშთები საშუალებას გვაძლევს, რათა მეტნაკლებად აღვადგინოთ მისი ისტორია.

1968 წ. გოლუდაღის მაღალმა ბორცვმა არქეოლოგების ყურადღება მიიპყრო. ჩატარებული სამუშაოების შედეგად გვიანხეთური ხანის ნაქალაქარი გამოვლინდა. ბორცვის უმაღლესი ნაწილი გარშემოვლებული იყო აღმოსავლეთ-დასავლეთის მხრიდან 1 კმ. სიგრძის კედლით. კედელს სამი ჭიშკარი, აღმოსავლეთით, დასავლეთით და სამხრეთით ჰქონდა დატანებული. ოვალური ფორმის კედელი, რომელიც თავდაცვით ნაგებობას ეკუთვნოდა, დასავლეთიდან კრატერითა და ტბით იყო გარშემოვლებული და ამიტომ მას გოლუდაღი ეწოდება. დიდი პარალელოგრამის ციტადელი (დაახლ. 100×261მ.) შიგნით ნაგებობათა კომპლექსით ცენტრში იყო აღმართული. ქალაქის ცალკეული ნაგებობანი ერთმანეთისაგან ქუჩებით იყო გამოყოფილი. შესასვლელი ფართო იყო. შიდა ჭიშკარი მჯდომარე სფინქსების რელიეფური გამოსახულებანით იყო გაფორმებული. ხოლო ციტადელის შესასვლელი ორთავიანი და ოთხთავიანი ლომების ფიგურებით დამშვენებული. ეს ფიგურები ახლა კაისერის მუზეუმში ინახება. იქვე, ალიშარ IV-ის მსგავსი ხელით ნაკეთი ცხოველთა ფიგურებით მოხატული თიხის ჭურჭელსაც მიაკვლიეს. ეს კერამიკული ნაწარმი სტილისტურად უფრო მდიდრულია, ვიდრე გორდიონსა ან ალიშარში აღმოჩენილი. ეს გვაფიქრებინებს, რომ გოლუდაღი და კონიის ზონა უნდა ყოფილიყო წარმოების ცენტრი. არქეოლოგიური კვლევის შედეგად გამოირკვა, რომ

ქალაქი ძვ. წ. VIII ს-ში ხანძრის შედეგად განადგურებულა და მას შემდეგ აღარ გაშენებულა.[7]

წარმატებული გამოდგა არქეოლოგიური გათხრები ქიულ-თეფეში. ბორცვის გათხრისას ქალაქის ნაწილი იქნა გასუფთავებული. ქალაქს კედელი ჰქონდა გარშემოვლებული. იგი 6 მეტრი სისქის იყო, რომელზეც მართკუთხა კოშკები იყო დატანებული. შიგნით ქვის კიბე ზემოთ ადიოდა. თვით კედელი კირდუღაბის გარეშე იყო აგებული. დასახლება ძვ. წ. IX-VII საუკუნეებით თარიღდება.

მოგვიანებით სრულად წარმოჩნდა ნაქალაქარის სურათი: ნაგებობა მეგარონის ტიპის, გადაუხურავი იყო. ოთახი დაუმუშავებელი ობსიდიანით დაფარული. შესასვლელი სვეტებით დამშვენებული. სხვა ნაგებობები ნათალი ქვის ბლოკებით იყო ნაშენი, კედლები სქელი იყო. იქვე დიდი რაოდენობით ქოთნები აღმოჩნდა. ისინი ალიშარ IV-ის მსგავსია და ცხოველთა მოტივებითაა მოხატული. ნაცრისფერი და შავი ფერის ჭურჭელი იშვიათია, ხოლო მკრთალი ყვითელი და ღია ყავისფერი დიდი რაოდენობით აღმოჩნდა. იგი ადგილობრივი ნაწარმია.[8]

გვიანხეთური ხანის ნაქალაქარი კულულუს ტერიტორიაზე აღმოჩნდა. ქალაქი ტერასის ფორმის ბორცვზე იყო გაშენებული. მას სტრატეგიული დანიშნულება ჰქონდა, რადგან ბორცვი სივასისა და მალატიის გზებზე ადვილი შესამჩნევი იყო. აქაც ქალაქი გალავნით იყო გარშემორტყმული. დასახლება მასიური ნაგებობებისგან შედგებოდა. კულულუს ნაქალაქარი გოლუდაღის მსგავსად გადამწვარი და დანგრეულია. იგი დაახლოებით ძვ. წ. VIII საუკუნით შეიძლება დათარიღდეს.

უკვე კარგად ცნობილი მოხატული ე. წ. „ფრიგიული" კერამიკა კულულუშიც აღმოჩნდა. თურქების მიერ შეგროვილია ბაზალტისა და ანდეზიტის ფრაგმენტები, სტელა

იეროგლიფური წარწერით, ტყვიის ფირფიტები იეროგლიფურ-ლუვიური ტექსტებით, მონუმენტური ქანდაკებები. მათ რიგს განეკუთვნებიან – სფინქსის თავი, ნატეხი ხელი, წვეროსანი ღვთაების ქანდაკება რქიანი გვირგვინითა და ვარდულებით შემკული თავსაბურავით, სხვა ქანდაკებათა პატარა ფრაგმენტები, რომლებიც ახლა კაისერის მუზეუმში ინახება. ბევრ მათგანს ჩაუტარდა რესტავრაცია და ტყვიის ფირფიტების ახალი მონაცემებით მკვლევრებმა ბაზალტის უთავო ქანდაკება თაბალის მეფე ვასურმეს ვასალს მიაკუთვნეს. ქანდაკება 3 მეტრი სიმაღლისაა და სამოსი ფუნჯებითა და ზიგზაგისებური სალტეთია გაწყობილი.[9]

პორსუკში ზეიეჰუიუქის მაღალ ბორცვზე არქეოლოგებმა გათხრების შედეგად ქალაქის დიდი ნაწილი გაწმინდეს. იგი გვიანხეთური ხანის დასახლება აღმოჩნდა. აგურის დიდი კედლები ქვის საძირკველზე იყო ნაშენი, რომლის სისქე 2.50 მეტრი, ხოლო შემორჩენილი სიმაღლე 3 მეტრი იყო. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს გვიანხეთურ ხანაში საფორტიფიკაციო სისტემის განვითარებას. ნაგებობას კოშკები ამშვენებდა. იგი პატარა ქვებით იყო აგებული და ოთხკუთხედი ფორმისაა. კედელში კი, ქვის კარიბჭეა დატანებული.

პორსუკის რეგიონში Ulukişla-ს ტერიტორიაზე საკმაოდ დაზიანებული დიდი საფორტიფიკაციო კედელი გაიწმინდა. მოგვიანებით, ახალი არქეოლოგიური გათხრების შედეგად მთლიანი სახით იქნა გამოვლენილი ამ საფორტიფიკაციო ნაგებობის ნაშთები. გაირკვა, რომ ოდნავ დაქანებულ ადგილას მდებარე ციტადელს პარალელური კედლები საზღვრავდა. ძველი შესასვლელი ამოვსებული და სხვა მხარეს იქნა გადატანილი. ახალი შესასვლელი

კი, გამოუმწვარი აგურის კამაროვანი სახურავით იყო გადახურული. ნაქალაქარი გვიანხეთური ხანით თარიღდება.

პორსუკში ახალი არქეოლოგიური გათხრების შედეგად კიდევ ერთი დასახლების ნაშთები მაღალ ბორცვ'ხე აღმოჩნდა – წინა ჭიშკარი თავისი სახურავით, ხის კოჭებითა და კარით, რომელიც ხეთურ კონსტრუქციას განეკუთვნება. არქეოლოგიურმა კვლევამ აჩვენა, რომ ეს ნასახლარიც დამწვარია.

პორსუკის სამოსახლოებში არაჩვეულებრივი თიხის ჭურჭელი გამოვლინდა: ნარინჯისფერი თასები, მონოქრომული თეთრ ლივლივაზე მოხატული, მრგვალპირიანი დოქები პარალელური და ტალღოვანი ხაზებით მორთული, მაღალი პითოსი რვა ჰორიზონტალური ამობურცული 'ხოლებით მოხატული. მისი ზემო ნაწილი ყურის ორი მწკრივით იყო მორთული და ვარდულის შთაბეჭდილებას ქმნიდა. პითოსს ტუჩის ქვეშ ხარის თავის რელიეფური გამოსახულება ამშვენებდა. ჭურჭელთან ერთად სამეურნეო დანიშნულების იარაღიც იდო – ძვლის საგანი, ტარი, ნემსკავი ბრინჯაოს მოქლონებით, რომლის ბოლოში რკინის ფრაგმენტი იყო. მკვლევრები ზემოხსენებულ ნივთებს ძვ. წ. IX-VII საუკუნეებით ათარიღებენ.[10]

ჩვენთვის საინტერესო ხანის თაბალური ნაქალაქარი არქეოლოგებმა ტოპაკლიშიც გათხარეს. ქალაქის სრული სურათის აღდგენა მისი სერიოზული დაზიანების გამო შეუძლებელია. თუმცა, ქალაქის თავდაცვითი სიმაგრის უზარმაზარი კედელი ნათლად მეტყველებს დასახლების დაგეგმარებისა და არქიტექტურის სრულყოფილებაზე. აღნიშნული კედლის სიგანე 4.60 მეტრი და სიმაღლე 3.50 მეტრი იყო. მას ჯებირიც ჰქონდა.

ტოპაკლიში, ისევე როგორც სხვა თაბალურ სამოსახლოებ'ხე დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი კერამიკული

ჭურჭელი (ძირითადად, თასები, ვაზები). ისინი ლაქვასმულია და ყვითელი, წითელი და მწვანე ფერებითაა მოხატული, რომლებზეც გეომეტრიული მოტივები საკმაოდ მარტივადაა დეკორირებული. მოხატულ ჭურჭელთან ერთად გამოუმწვარი თიხის ზებუს ქანდაკება აღმოჩნდა.[11]

ნიღდეს რეგიონში Pinarbaşi ჰუიუქში მდებარე მაღალი ბორცვის გათხრისას ფრიგიული ხანით დათარიღებული ნაქალაქარი გამოვლინდა, რომელიც ისლამური სამარხებით იყო გადაფარული. ნაგებობის საძირკველი დიდი ნათალი ქვებითაა ნაშენი. იატაკის ქვეშ პოლიქრომული თიხის ჭურჭლის ნამტვრევები აღმოჩნდა. კერამიკული ჭურჭელი ყვითლად, შავ პარალელურ ხაზებად ღია წითელსა და ვარდისფერ ფონზეა მოხატული, თავმოყრილი წრეებითა და სამკუთხედი მოტივებით დამშვენებული. აქ მონოქრომული (მუქი ნაცრისფერი) ფრიგიული ჭურჭელიც იყო. არქეოლოგების მიერ ნაპოვნია წითელი და შავი პრიალა ჭურჭელი, რომელთაც ცხოველების (ხარი, ირემი, თხა) გამოსახულებები ამშვენებდა. თიხის ჭურჭელთან ერთად, საწყობი ყუთები, პითოსი (რომელშიც ბავშვის ჩონჩხი იყო მოთავსებული და ზემოდან ქვა ეფარა), სხვადასხვა სამეურნეო იარაღები (ძვლისა და რქისგან დამზადებული დანები, შუბის წვერულები და სხვ.) აღმოჩნდა.[12]

ნიღდე-თეფებაღლარში ბორცვის გათხრისას საფორტიფიკაციო ნაგებობის ფრაგმენტები და კერამიკული ნაწარმი გამოვლინდა. იგი ძვ. წ. VIII-VII საუკუნეებით თარიღდება. 1975 წ. ნიღდეს მიზგითში ვარპალავას ვაუის შავი ბაზალტის სტელაც იქნა ნაპოვნი.

ნიღდეს ჩრდილო-დასავლეთით Keşlik-ის მხარეში კლდეში გაჭრილი გზა იქნა აღმოჩენილი, რომელიც ზემო და ქვემო დასახლებულ ბორცვებს ერთმანეთთან აკავშირებდა. შორიახლოს სტელაზე გამოსახულია ვარპალავა

ქალღვთაება ქუბაბასა და სხვა ღვთაებებთან ერთად. ამჟამად რესტავრირებული და ნიღდეს მუზეუმში ექსპონირებულია ბაზალტის სტელა, რომელ'ზეც ტახტზე მჯდარი ქალღვთაება ქუბაბა და წამოწოლილი ლომია გამოსახული. ნიღდე Gökbez-ში კლდის რელიეფზე ამინდის ღვთაება ცულითა და ჭექა-ქუხილის სიმბოლოთია წარმოდგენილი. მართალია, რელიეფი დაუმთავრებელია, მაგრამ მონუმენტური გამოსახულება სახვითი ხელოვნების მაღალ მხატვრულ ნიმუშს წარმოადგენს. რამდენიმე ადგილას ნაპოვნია რელიეფურ გამოსახულებათა ფრაგმენტები: ლომ-კაცი აღმართული ხელებით, ტახტზე მჯდარი ფიგურა, რომელიც ფეხზე იდგა.[13]

ტავროსის საბადოების ინტენსიურმა კვლევა-ძიებამ არქეოლოგები ბულღარ-მადენთან ვერცხლისა და ტყვიის უძველესი საბადოების ნაკვალევთან მიიყვანა. ქრონოლოგიურად იგი გვიანხეთურ დასახლებებთან იქნა მიახლოებული.[14]

გვიანხეთური ხანის თაბალში მმართველობის ადმინისტრაციის მაღალ დონეს ამ ტერიტორიაზე აღმოჩენილი, ამჟამად მუზეუმებსა და კერძო კოლექციებში მოხვედრილი საბეჭდავები მიუთითებს. ეს საბეჭდავები სამეცნიერო ლიტერატურაში ასე განიხილება: „ადამიანის თავი", „მუშტის" და „მუშტის ფორმის ცილინდრული" საბეჭდავები. მათზე მრავალგვარი სცენებია გამოსახული: ვარდულები, გაჭენებული ცხენი, მთის თხა, წყვილი მორიელი, ხუთი ნიშანი და სადღესასწაულო სცენები.[15]

უფრო სრული სურათის შესაქმნელად საინტერესოა, რომ თაბალის ტერიტორიაზე XX საუკუნის 90-იან წლებში ზოოარქეოლოგების მიერ მსხვილფეხა საქონლის, ცხვრის ფარის, თხების, მელიის, კურდღლის, ჩიტებისა და ქვეწარმავლების ძვლები დეტალურად იქნა შესწავლილი. ხან-

გრძლივი კვლევა-ძიების შედეგად ბოტანიკური (ხის ნახშირი, თესლები) მატერიალური ნაშთებიც აღმოჩნდა.[16] არქეოლოგიური მასალა დიდ დახმარებას გაგვიწევს სამეურნეო ყოფა-ცხოვრების შესწავლის საქმეში.

თაბალური სამოსახლოების მსგავსად არქეოლოგიური გათხრები მალატიაშიც მაღალ ბორცვებზე მიმდინარეობდა და დღესაც ინტენსიურად გრძელდება. ჰარაბაში (Haraba) ერთ-ერთ ბორცვზე რომაული და ელინისტური ფენების ქვეშ ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის ნაქალაქარი გაითხარა. იგი ძალიან დაზიანებული იყო და ამიტომ ქალაქის დაგეგმარების სრული სურათის აღდგენა არ მოხერხდა. შენობების იატაკქვეშ დიდი რაოდენობით გვიანხეთური ხანის კერამიკული ჭურჭელი გამოვლინდა. ნაწარმი თხელი იყო და მოხატული ყვითელი, მუქი ყავისფერითა და სხვადასხვა გეომეტრიული ორნამენტებით დამშვენებული.

Değirmentepe-ს ბორცვზეც თითქმის ყველა პერიოდის ნასახლარის ნანგრევები აღმოჩნდა, რაც ზოგადად, ალბათ, მალატიაში ცხოვრების უწყვეტი ხაზით მიმდინარეობაზე მიუთითებს. ჩვენთვის საინტერესო ხანის ნაგებობათა ნანგრევებით თუ ვიმსჯელებთ, შენობები ტალახიანი აგურისგან იყო აგებული. საძირკველი კი, დიდი ქვებისგან შედგებოდა. იატაკიც აგურის იყო. იქვე სხვადასხვა ზომისა და ფორმის აგურებიც გამოვლინდა, რაც მალატიაში მეთუნეობის დაწინაურებაზე მეტყველებს.

მალატიასთან ახლოს Köşkerbaba ჰუიუქში ურარტული ხანის საფორტიფიკაციო ნაგებობა მაღალი ბორცვის თავზე იყო გაშენებული. დასახლებას უზარმაზარი ქვის კედელი ჰქონდა გარშემოვლებული. აქ სადრენაჟო არხიც გადიოდა. აქაც შენობები მასიური ქვის საძირკვლისა და აგურისგან იყო აშენებული. ზოგიერთი ნაგებობა დიდ და პატარა საწყობებსა და სამზარეულოებს წააგავდა. კერამი-

კული ნაწარმი ძალიან დაზიანებულია. მას მკვლევრები ძვ. წ. VIII-VII საუკუნეებით ათარიღებენ.

Değirmentepe-ში ინტენსიური გათხრები დღესაც გრძელდება. სხვა ბორცვზე ჩატარებული სამუშაოების შედეგად შიდა ციხე-სიმაგრე აღმოჩნდა, რომელიც გვიანხეთური ხანით თარიღდება.

მალატიის დასახლებული პუნქტები მსგავსებას პოულობენ თაბალურ დასახლებებთან, როგორც არქიტექტურული გეგმარებით, ასევე მხატვრული გაფორმებითაც. მაგალითად, არსლანთეპეში გათხრილი ნაქალაქარის სკულპტურული შესასვლელი და ლომის ფიგურებით დამშვენებული ჭიშკარი აღმოჩნდა.[17]

ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში აღმოსავლეთ მცირე აზია, ჩვენთვის საინტერესო მალატია ურარტული გზების ქსელით იყო დასერილი და მას როგორც საავჭრო, ასევე სამხედრო მნიშვნელობა ჰქონდა.

ამ მხრივ, საინტერესოა მდ. ევფრატის ზემო დინებაზე ნორშუნთეპესთან აღმოჩენილი მომთაბარეთა ორი გაძარცული სამარხი. პირველი ცხენის სამარხს წარმოადგენს. მისი ზომებია – სიგანე 3.50, ხოლო სიმაღლე 3 მ. სამარხის კედლების სისქე 0,50 სმ-ია და მშრალი ქვისგანაა აგებული. იატაკი მაგრად დატკეპნილი თიხის ფენისგან შედგება. დაახლოებით ორმოს ზემო კიდესთან ორი ულაყის, ორი ძაღლის, ცოტა უფრო ღრმად კი, ფაშატის ჩონჩხები აღმოჩნდა. ცხოველები მსხვერპლად იყვნენ შეწირული. მიკვლეული კერამიკის მიხედვით სამარხი შეიძლება ძვ. წ. VII ს-ით დათარიღდეს. იგი ურარტუს დაცემას უკავშირდება.

მეორე ნაგებობა მრგვალკუთხიანი სამარხი იყო სიგანით 6მ, ხოლო სიმაღლე 7მ. სამარხში ადამიანის ჩონჩხის ნაწილები, რკინის ცულისა და დანის ფრაგმენტები გამოვლინდა. ჰ. ჰაუპტმანის მოსაზრებით, ზემოაღნიშნული

სამარხი ცხენების მფლობელს ეკუთვნოდა, რასაც ცხენის სამარხში აღმოჩენილი ინვენტარი (მათრახი, ლაგამი, ბრინჯაოს ბეჭედი, ცული, დანა) ადასტურებს. ჰ. ჰაუპტმანი ამ ინვენტარის ახლო ანალოგებს სკვითურ კომპლექსებთან ხედავს.

ასეთივე სამარხები იმირლერას ტერიტორიაზე, ამასიასთან ახლოს, ვანის ტბის დასავლეთით მუშ რაიონში დაფიქსირდა.[18] ზემოაღნიშნული არქეოლოგიური მონაპოვარი დიდ დახმარებას გაგვიწევს მალატიის პოლიტიკური ისტორიისა და ურარტუსა და სხვა მომთაბარე ხალხებთან ურთიერთობის შესწავლის საქმეში.

მალატიაში აღმოჩენილი კლდის რელიეფების ერთი ნაწილი ღვთაებებს მათივე ატრიბუტებით წარმოადგენს, ნაწილი ლომსა და ირემზე ნადირობის სცენებს ასახავს, დანარჩენებზე კი, მსხვერპლშეწირვის რიტუალებია გამოსახული. ამ შემთხვევაში, როგორც წესი, მთავარი ფიგურები მეფე და ღვთაებაა. ზემოდასახელებული რელიეფური გამოსახულებანი დიდი ოსტატობითაა შესრულებული კლდის რელიეფებსა და სტელებზე და სახვითი ხელოვნების განვითარებაზე მეტყველებს.[19]

გვიანხეთური ხანის კუმუხის ტერიტორიაზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალა შედარებით უფრო მცირეა.

ხეთების იმპერიის დაცემის შემდეგ ძვ. წ. IX ს-ში დღევანდელი ადიამანის ვილაიეთში აღმოცენდა კუმუხის სამეფო, რომლის ცენტრიც დღევანდელ სამსათთან ასოცირდება. ასურული ლურსმული წარწერების თანახმად, სარგონ II-მ კუმუხი და მისი 62 ქალაქი დაიპყრო. არქეოლოგთა მიერ სწორედ რამდენიმე მათგანი გაითხარა, თუმცა იმდენად დაზიანებული, რომ სრული სურათის აღდგენა თითქმის შეუძლებელია. მაგრამ ცალკეული ფრაგმენტების

მეშვეობით შეიძლება კუმუხის ისტორიის საინტერესო ეტაპები შევისწავლოთ.

ზემოდასახელებული გვიანხეთური სამეფო-სამთავროების მსგავსად, კუმუხის ქალაქებიც მაღალ ბორცვებზე იყო გაშენებული. თილე ჰუიუქში გასული საუკუნის 80-90-იან წლებში არაერთი ბორცვი გაითხარა. აქ დასახლებებისა და ციხე-სიმაგრეთა ნანგრევები აღმოჩნდა. ეს სტრატეგიული ადგილი იყო, რადგან აღმოსავლეთ-დასავლეთის გზაჯვარედინ'ზე მდებარეობდა.

მოგვიანებით, სხვა ბორცვზე წარმატებით ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად კომპლექსურ ნაგებობათა ნაშთები და ალაყაფის კარები იქნა გამომზეურებული. ეს ქალაქი ხანგრძლივი ცეცხლის შედეგად განადგურებულა. თუმცა, გვიანხეთური ხანის მონუმენტური სვეტები და ლოდები იეროგლიფურ-ლუვიური წარწერებით თანამედროვე ნაგებობათა კომპლექსებშია ჩართული, ნივთები კი, მოსახლეობაში საძიებელი.

აქ ნაპოვნი თიხის ჭურჭელი, ძირითადად, თასები, ქოთნები, ხელითაა ნაკეთები. ჭურჭლის შუაგული ნაცრისფერია. მასთან ერთად უამრავი საბრძოლო (ხმალი, შუბისთავი) და სამეურნეო იარაღიც იყო.[20]

სამსათში, ტრადიციულად ბორცვის გათხრისას რომაული და შემდეგ ელინისტური ფენების ქვეშ ჩვენთვის საინტერესო ხანის ნაქალაქარი გამოვლინდა. დასახლება ჭიშკრის კომპლექსებს შეიცავდა. კედლები ძირითადად, წრიული დეკორაციებით გაწყობილი აგურებისგან იყო აგებული. კირქვისგან დამზადებული კიბის საფეხურები გვირაბის ფუნქციას ასრულებდა. იგი ბორცვის ჩრდილოაღმოსავლეთ მხარეს აღმოჩნდა. როგორც ჩანს, გვირაბი ბორცვის ქვემო ფერდობზე მდებარე წყაროსთან აკავშირებდა. რამდენიმე ათეული (63) საფეხურის გასუფთავები-

სას წყლის რეზერვუარი აღმოჩნდა. ნაგებობის სახურავი ხეთურ სტილში ციკლოპური ბლოკებით იყო გადახურული.

სამსათის კერამიკული ჭურჭელი კონცეტრირებული წრეებითაა მოხატული. მასთან ერთად იეროგლიფურ-ლუვიური წარწერები, ბაზალტის რელიეფების ფრაგმენტები (ადამიანის სახე, თმა, წვერი), ბრინჯაოს ჭრიჭინა ასურული სტილის დოქში და ოქროს ნივთების შესანახი სკივრი გამოვლინდა.[21]

ცილინდრული ფორმის საბეჭდავები, რომელიც გვიანხეთური ხანის აღმოსავლეთ მცირე აზიის ტერიტორიაზე ბევრგანაა მიკვლეული, კუმუხის ტერიტორიაზეც დასტურდება. სამსათის ერთ-ერთ ბორცვზე სასახლის საფორტიფიკაციო ნაწილის, ჭიშკრისა და შიდა ციხე-სიმაგრის გარდა, სხვადასხვა ნივთებს შორის ცილინდრული საბეჭდავია ნაპოვნი. მისი დიზაინი ასეა გამოსახული: ღვთაება ნავზე დგას, რომლის ბოლო მომრგვალებული ფორმისაა. ღვთაებას ხელში მთვარე და ომეგას სიმბოლო უჭირავს და მეფე თაყვანსცემს. მეფეს თავზე კონუსისებური ფორმის ქუდი ეფარა. ნ. ოზგუჩის მოსაზრებით, ცილინდრულ საბეჭდავზე კუმუხის ღვთაება სინია გამოსახული.[22]

კუმუხის მონუმენტური ქანდაკებები, როგორიცაა კვარცხლბეკზე მდგომი ლომის ფიგურა ნემრუდ-დაღიდან, არწივები, ასევე ქალღვთაება ქუბაბას რელიეფური გამოსახულებები ანქოზიდან, ტახზე და სხვა ცხოველებზე ნადირობის ამსახველი სცენები ადიამანიდან, ღვთაების გამოსახულება ჰაქი-ბებეკლიდან[23] და სხვა, მაღალი ოსტატობითა და დახვეწილი გემოვნებითაა შესრულებული.

კუმუხის მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობის დასახასიათებლად ქილისთეპეში აღმოჩენილი 5 ერთმანეთის მოსაზღვრე სახელოსნო ღუმელებითურთ დიდ დახმარებას გაგვიწევს. ღუმელების ფუძე უზარმაზარი რიყის ქვისგან

შედგებოდა. არქეოლოგებმა ამ ადგილებში რკინის პატარა და დიდი ნატეხები, ბრინჯოს ორნამენტებიანი ჯაჭვები, თიხის ქოთნების ნატეხები, სამეურნეო იარაღი, ცხენის ნალები, ლურსმნები და სხვადასხვა მოწყობილობა აღმოაჩინეს.[24]

როგორც ვხედავთ, დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი მატერიალური კულტურის ძეგლები, დასახლებები თავისი ტოპოგრაფიითა და არქიტექტურული დაგეგმარებით ერთმანეთის მსგავსი არიან. ამ ტერიტორიაზე წატარებული სამუშაოების შედეგად თითქმის ბევრგან ხეთური იმპერიის გადმონაშთები სხვადასხვა სფეროში გამოვლინდა. ეს, კიდევ ერთხელ ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის აღმოსავლეთ მცირე აზიის სამეფო-სამთავროთა ხეთურ ხასიათს უსვამს ხაზს.

---

1. D. H. French, Excavations at Can Hasan, AnSt, Vol XV, 1965, p. 86.
2. G. K. Sams, Phrygian painted animals: Anatolian Orientalizing Art, AnSt, Vol XXIV, 1974, p. 169-180.
3. Sedat Alp, Eine Sphinxvase aus Karahöyuk Bei Konya, Anadolu, XXI, Ankara, 1987, p. 9-11.
4. AJA, Vol 98, №4, 1994, p. 782.
5. H. Bahar, The Konya region in the Iron Age and its relations with Cilicia, AnSt, vol 49, p. 1.
6. AnSt, vol 49, დასახ. ნაშრ. p. 7.
7. AJA, vol 73, №2, p. 213-214; AnSt, XIX, 1969, p. 11.
8. Summary of Archaeological work in Turkey, AnSt, vol IV, 1954, p. 19; AnSt, vol VIII, 1958, p. 25; AnSt, vol XI, 1961, p. 18.
9. Matcheld J. Mellink, Archaeology in Asia Minor, AJA, vol 72, №2, 1968, p. 135; AJA, vol 74, №2, 1970, p. 166-167; ნ. ხაზარაძე,

აღმოსავლეთ მცირე აზიის ეთნიკური და პოლიტიკური გაერთიანებები ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში, თბილისი, 1978, გვ. 26-27.

10. AnSt, vol XIX, 1969, p. 11; AnSt, volXX, 1970, p. 13; vol XXI, 1971, p. 23; vol XXII, 1972, p. 55; vol XXVII, 1977, p. 53; vol 49, 1999, p. 62.
11. AnSt, volXXII, p. 64; AnSt, volXXIII, 1973, p. 67; AnSt, vol XXV, 1975, p. 50.
12. AnSt, vol XXXIII, 1983, p. 259.
13. AJA, vol 81, №3, 1977, p. 300; AJA, vol 87, №4, 1983, p. 435; AJA, vol 85, №4 1981, p. 470; AJA, vol 83, №3, 1979, p. 337.
14. AJA, vol 88, №4 1984, p. 452.
15. Anadolu, XXI, 1978/1980, Ankara, 1987, p. 206.
16. T. Watkins, Excavations at Pinarbaşi, Anatolian Archaeology, vol 1, 1995, p. 10; P. E. McGovern, Science in Archaeology. A Review. H. Hongo, R. Meadow, Faunal analisis with a focus on Anatolian, AJA, vol 99, 1, 1995, p. 99.
17. Recent Archaeologycal Research in Turkey, AnSt, volXXIV, 1974, p. 33; AnSt, vol XXXII, 1982, p. 16; vol XXXV, 1985, p. 188; vol XXXVII, 1987, p. 184; AJA, vol73, 2, 1969, p. 213.
18. А. И. Иванчик, К вопросу об этнической принадлежности и археологической культуре киммерийцев, ВДИ, 3,(210), 1994, Москва,с.151-159.
19. P. Meriggi, Manuale Di Eteo Geroglifico, Parte II: Testi – 2aE3a Serie, Roma, 1975, №105, 107, 109, 110, 111, 112, 113, 114, 117; H. Hellenkemper, J. Wagner, A late Hittite rock-relief on the river Karasu, AnSt, XXVII, 1977, p. 169.
20. AnSt, XXXIX, 1989, p. 7; AnSt, XL, 1990, p. 110.
21. Matcheld J. Mellink, Archaeology in Asia Minor, AJA, vol 88, №4, 1984, p. 448; AJA, vol 95, №1, 1991, p. 135.
22. AJA, vol89, №4, 1985, p. 554.
23. AJA, vol 64, №1, 1960, p. 64; AJA, vol 83, №3, 1979, p. 342; AnSt, XXVII, p. 170.
24. AnSt, XVI, 1966, p. 39-40.

თავი II. გვიანხეთური ხანის დიდი კაპადოკიის სამეფო-სამთავროთა პოლიტიკური ისტორიიდან

წერილობითი პირველწყაროების სიმცირის გამო, სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში გვიანხეთური ხანის სამეფო-სამთავროთა პოლიტიკური ისტორია მკრთალადაა წარმოჩენილი. წინამდებარე ნარკვევი ამ ხარვეზის შევსების მოკრძალებული ცდაა.

ხეთების იმპერიის დაცემის შემდეგ ახალი პოლიტიკური გაერთიანებები ჩამოყალიბდა, რომლებიც ხეთურ ტრადიციებს ერთგულად აგრძელებდნენ. ჯერ კიდევ ძვ. წ. II ათასწლეულში აღმოსავლეთ მცირე აზიის ბუნებრივი სიმდიდრეები მეზობელ ხალხებს განსაკუთრებით იზიდავდა. წინა ეპოქის დროინდელი სავაჭრო გზები ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში შუამდინარეთისათვის ერთ-ერთ მთავარ ინტერესს შეადგენდა. ჩრდილო-აღმოსავლეთისა და ჩრდილო-დასავლეთის სავაჭრო გზების დაუფლებისათვის ბრძოლის ისტორია ასურული და ურარტული ლურსმული წარწერების საფუძველზე შეიძლება აღვადგინოთ.

ყველა ის პოლიტიკური გაერთიანება, რომელიც ხეთების იმპერიის მემკვიდრეს წარმოადგენდა, სწორედ უძველესი სავაჭრო გზების გასწვრივ და მდინარეთა გადასასვლელებთან მდებარეობდა.

ცნობები გვიანხეთური ხანის სამეფო-სამთავროთა შესახებ ასურულ წერილობით ძეგლებში მოგვეპოვება. თიგლათფილესერ I-ის (ძვ. წ. 1115-1077 წწ.) პრიზმაზე შესრულებულ წარწერაში ნათქვამია, რომ მუშქებმა ასურეთის პროვინციები – ალზი და ფურუქუზი (სპილენძის საბადოებით მდიდარ ერღან-მადენას ტერიტორიაზე მდებარე) დაიპყრეს და ქათმუხიც მიიტაცეს. მუშქების ბატონობა 50 წელს გაგრძელებულა. თიგლათფილესერ I-ს დიდი ბრძო-

ლა გაუმართავს მუშქებისათვის და კიდეც დაუმარცხებია ისინი. ასურეთის მეფეს 20.000 გადარჩენილი მებრძოლიდან 6000 ასურეთში გადაუსახლებია.[1]

ამის შემდეგ თიგლათფილესერ I-მა მელიდუს სამეფო ქალაქ მელიტენას ალყა შემოარტყა. როგორც წარწერა გვამცნობს, მან სამეფო ქალაქი უბრძოლველად აიღო, მძეელები აიყვანა და ყოველწლიური ხარკის გადახდა (მაგნიუმის სახით) დააკისრა.[2]

მიუხედავად ხელსაყრელი სტრატეგიული მდებარეობისა, გვიანხეთურ სამეფო-სამთავროებს არ შეეძლოთ სავაჭრო მნიშვნელობის გზებზე აბსოლუტური კონტროლის დამყარება. მათ ასურეთის იმპერიის სახით ძლიერი მოწინააღმდეგე ჰყავდათ. შემდეგ კი, ახალი საშიშროება არამეელების სახით გაჩნდა. ისინი მომთაბარე ტომები იყვნენ და აღმოსავლეთ მცირე აზიაში ევფრატის აღმოსავლეთიდან შეიჭრნენ, რამაც დიდი ზიანი არა მარტო გვიანხეთურ სამეფო-სამთავროებს, არამედ ასურეთსაც მიაყენა. მხოლოდ ძვ. წ. 900 წელს შეძლო ასურეთის არმიამ, რომ მას ჩრდილოეთ სირიისა და ანატოლიის მთებამდე მიეღწია.[3] ასურნასირფალ II-მ (ძვ. წ. 884/3-859 წწ.) მუშქებისა და კუმუხის ქვეყნების დალაშქრა შეძლო, თუმცა ვერ დაიპყრო და მხოლოდ მდიდრული ნადავლით დაკმაყოფილდა.[4]

ისტორიის ასპარეზზე თანდათან გვიანხეთური სამეფოს – თაბალის მნიშვნელობაც გაიზარდა, რაც სავაჭრო გზების დაუფლებისათვის ბრძოლაში ჩართვით გამოიხატა. ერთ-ერთი პირველი, ვინც თაბალი დალაშქრა, ასურეთის მეფე სალმანასარ III (ძვ. წ. 859-824 წწ.) იყო. ასურული წარწერების მოწმობით, მან დაახლოებით ძვ. წ. 837 წელს ამანის მთებისა და ქუეს გაელით ტავროსის უღელტეხილი გადალახა და თაბალის სამხრეთი მხარე დაიპყრო, დაანგრია ქალაქები და თაბალის მეფეები, მათ შორის ტოპა-

და ეროგლიფურ-ლუვიური წარწერის თუვათიც დაიმორ-ჩილა. ამის შემდეგ სალმანასარ III-მ ევფრატი გადალახა და მელიდის გამაგრებული ქალაქი აიღო.[5]

ცნობლია, რომ არამეელებისა და ასურელების ხან-გრძლივმა ზეწოლამ ბიძგი მისცა არმენიის მთებსა და ვა-ნის ტბის მიდამოებში დამოუკიდებელი ტომების გაერთია-ნებას და იქ ბიაინილი-ურარტუს სახელმწიფო ჩამოყალიბ-და. ძვ. წ. VIII ს-ში მან დიდ სიძლიერეს მიაღწია. ურარ-ტუს საზღვრები აღმოსავლეთით, ჩრდილოეთით და დასავ-ლეთით დიდ ტერიტორიაზე გაიწელდა. ამის შესახებ ურარტუს მეფეების – მენუას (ძვ. წ. 810-786 წწ.), არგიშთი I-ის (ძვ. წ. 786-764 წწ.) და სარდურ II-ის (ძვ. წ. 764-735 წწ.) ურარტული წარწერები გვამცნობენ. წარწერებში ნათ-ქვამია, რომ ურარტუელებს ევფრატის მარჯვენა ნაპირას მდებარე ხათისა და მელიდუს ქვეყნები წარმატებით დაუ-ლაშქრავთ და ხარკიც დაუკისრებიათ.[6]

ამ ფაქტის გამო, ურარტუსა და ასურეთის ინტერესე-ბი ერთმანეთს შეეჯახა და მათ შორის შეტაკება გარდაუ-ვალი გახდა. ასურეთის მეფე თიგლათფილესერ III-მ (ძვ. წ. 745-727 წწ.) აღმოსავლეთ მცირე აზიაში ურარტუს სერიო-ზული მარცხი მიაყენა და თავისი გავლენის სფეროები კვლავ დაიბრუნა. თიგლათფილესერ III-ის „ანალები" გვამ-ცნობს, რომ გვიანხეთური ხანის სამეფო-სამთავროების მმართველები - სულუმალი მელიდელი, თარხულარა გურ-გუმელი, კუშთაშპი კუმუხელი, ვასურმე თაბალელი, უშ-რითი თუნელი და ურბალა თუხანელი - ურარტუს მეფე სარდურ II-თან ერთად ასურელთა ექსპანსიის წინააღმდეგ გამოდიოდნენ. გვიანხეთური ხანის სამეფო-სამთავროებზე გავლენის მოსაპოვებლად ასურელებსა და ურარტელებს შორის პირველი სერიოზული შეტაკება კუმუხის ტერიტო-რიაზე მდებარე არპადთან ძვ. წ. 743წ. გაიმართა. თიგლათ-

ფილესერ III სარდური დაიმორჩილა, ურარტელთა სამხედრო ბანაკი ხელთ იგდო და კუმუხის დასახლებული პუნქტები ასურეთს შეუერთა. მაგრამ სარდურ II ხელსაყრელ დროს კვლავ კუმუხში შეიჭრა. ურარტუს მეფე გვამცნობს: „ქალაქი უითა, სამეფო ქალაქი, გამაგრებული, ბრძოლაში დავიპყარი. ქალაქი ხალფა, სამეფო ქალაქი, ტბის (პირა ადგილას მყოფი), მე დავიპყარი. ქალაქ ფარალანის, სამეფო ქალაქს, მე დავეუფლე (?). გამოცხადდა ჩემს წინაშე, ძირს დაემხო, წამოვაყენე მე... მომცა მან მე ხარკი: 40 მინა სუფთა (?) ოქრო, 800 მინა ვერხცლი, 3000 (ცალი) ტანსაცმელი, 2000 სპილენძის ფარი, 1535 სპილენძის თასი..."

წერილობითი ძეგლიდან ცნობილი ხდება, რომ სარდურ II-ს ყოფილ მოკავშირე კუმუხის ქვეყანაში ასურელთა პოზიციების დასუსტებით უსარგებლია. ურარტუს კი, აქ ქვეყანაზე გაბატონება განუზრახავს.

პარალელურად თიგლათფილესერ III-მ გვიანხეთური სამეფო-სამთავროების წინააღმდეგ მძლავრი კონტრშეტევა განახორციელა და როგორც ასურული წყარო გვაუწყებს „მათი (ურარტელების – ნ. ბ.) გვამებით მოიფინა მთები". მას დაპყრობილ ქვეყნებში თავისი ხალხი დაუსახლებია და თავისი ნდობით აღჭურვილი მოხელეები დაუნიშნავს, ხოლო ხარკის სახით, ოქრო, ვერცხლი, რკინა, კალა, მაგნიუმი, ბამბის ქსოვილები, ცხენები, ჯორები, სპილოს ძვალი და ტყავი, მეწამული მატყლი დაუკისრებია.[7]

მიუხედავად ამისა, თაბალის მეფე ვასურმეს ასურელთა ქვეშევრდომობისგან განთავისუფლება განუზრახავს. განზრახვა უშედეგო აღმოჩენილა: ასურელებს იგი ტახტიდან ჩამოუგდიათ, ხოლო მის ნაცვლად არამეფური წარმოშობის პიროვნება ვინმე ხული დაუსვამთ. ასურელთა

მოხელეს თაბალელთაგან 10 ტალანტი ოქრო, 100 ტალანტი ვერცხლი და 200 ცხენი ძღვენის სახით მიუღია.[8]

თიგლათფილესერ III-ის მემკვიდრე სარგონ II (ძვ. წ. 722-705წწ.) ასევე ცდილობდა თაბალში ასურეთის ექსპანსიური პოლიტიკის განხორციელებას. სარგონ II-ის „ანალებიდან" ცნობილი ხდება, რომ თაბალის მეფეს – ამბარიდუ ხულის ძეს სარგონმა დიპლომატიური მოსაზრებით თავისი ასული ახათაბიშა ცოლად მიათხოვა და მზითვად ხილაქუს სამთავროც უბოძა. მიუხედავად ასურეთის მეფის ამ მცდელობისა, ამბარიდუ თაბალელი ანტიასურულ კოალიციაში მუშქების მეფე მითასთან, ურარტუს მეფე ურსასთან და შინუხთუელ კიაკისთან გაერთიანდა. განრისხებულმა სარგონ II-მ კიაკი შინუხთუელი 7350 მეომრითურთ დაატყვევა და მისი სამეფო ქალაქი მათთი თუნელს ჩააბარა. ამბარიდუ თაბალელი თავისი ოჯახითა და დიდებულებით ასურეთში ტყვედ წაიყვანა. თაბალში კი, სხვა ხალხი ჩამოასახლა. მათ თავისი მოხელეები დაუნიშნა და გადასახადი დაუწესა. ასურეთის მეფის ასეთი წარმატებების ფონზე მელიდუს მეფე თარხუნაზი წინააღმდეგობას მაინც განაგრძობდა. მან ასურეთს ხარკის გადახდა შეუწყვიტა, რის გამოც სარგონს მისი სამეფო ქალაქი „ქოთანივით დაუმსხვრევია", დასახლებები აუოხრებია, ხოლო თარხუნაზი ოჯახითა და სამეფო საგანძურით, 5000 დატყვევებული მეომრით ასურეთში გადაუსახლებია. სარგონ II-ს თილ-გარიმუ სირიის სტეპებიდან მოყვანილი მშვილდოსნებით „თავიდან დაუსახლებია". ამგვარი ქმედებით მუდმივმოქმედი ჯარის რაოდენობა მნიშვნელოვნად გაუზრდია. მასვე ქამანუში თავისი ნდობით აღჭურვილი პირი დაუსვამს, მისთვის სამხედრო და სამშენებლო საქმეში იგივე ვალდებულებები დაუკისრებია, რაც წინამორბედ გუნზინანს ევალებოდა. ამის შემდეგ, სარგონ II-ს აჯანყებული მუთალუ კუმუხე-

ლისა და მუთალუ გურგუმელის წინააღმდეგ გაულაშქრავს. ასურეთის მეფის ე. წ. „სადღესასწაულო წარწერა" გვამცნობს, რომ თარხულარა თავის ვაჟს – მუთალუს გურგუმის ტახტიდან ჩამოუგდია. ეს უსურპაცია სარგონ II-ის შეთანხმების გარეშე განუხორციელებია. ამ ფაქტს სარგონ II-ის რეაქცია მოჰყოლია. მას მუთალუ და მისი მამა თარხულარა ბით-აჰ'ალლას ასეულთან ერთად, მათი ავლადიდების ჩათვლით, ასურეთში გადაუსახლებია, გურგუმში კი, თავისი მოხელე დაუნიშნავს. მოგვიანებით, რადგან კუმუხის მმართველს ხარკის გადახდა შეუწყვეტია, სარგონ II ამ ქვეყანაში ურჩი მეფის- მუთალუს დასასჯელად დაძრულა, მუთალუს ქალაქი დაუტოვებია. ასურელებს მისი ადგილსამყოფელისთვის ვერ მიუგნიათ. სარგონ II-მ კუმუხის 62 „გამაგრებული ქალაქი" დაიპყრო. მუთალუს ოჯახი საგანძურითურთ და ქვეყნის მოსახლეობა ასურეთში გადაასახლა. მსგავსად გურგუმისა, კუმუხიც ხელახლა დაუსახლებია და იქ თავისი მოხელე დაუნიშნავს.[9]

ამ პერიოდში მუშქების მეფე მითა ანტიასურულ კოალიციაში ქარხემიშის მეფე პისირისთან ერთად ჩანს. სარგონ II-ის „ანალები" გვამცნობს, რომ მუშქების მეფეს ქუეს სამი ქალაქი: ხაარუა, უშნანისი და ქუმესი მიუტაცნია. სარგონ II-ს ძვ. წ. 715 წ. ქუედან მუშქები განუდევნია და მუშქების ქვეყნის საზღვართან ციხე-ქალაქები: უსი, უსიანი და უარგინი დაუარსებია. ძვ. წ. 709 წ. ქუეს ასურელ მმართველს სამგზის ულაშქრია მუშქების ქვეყანაში. ნიმრუდის წარწერის თანახმად, მითას დიპლომატიისთვის მიუმართავს და ასურელებთან მეგობრული ურთიერთობა დაუმყარებია, რაც იმაში გამოიხატა, რომ ასურეთის მოხელეს ქუეში ურიქის მიერ ურარტუში წარგზავნილი 14 კაციანი დელეგაცია გადაუცია.[10]

„ბაბილონური B ქრონიკა" გვამცნობს, რომ სარგონ II-მ საბოლოოდ მაინც ვერ შეძლო გვიანხეთური ხანის სამეფო-სამთავროთა დაპყრობა. წარწერის თანახმად, სარგონ II-ს თავისი მეფობის მე-16 წელს თაბალის წინააღმდეგ კვლავ გაულაშქრავს. ლაშქრობის დეტალები ჩვენთვის უცნობია, თუმცა ცნობილია, რომ იგი სწორედ აღმოსავლეთ მცირე აზიაში ლაშქრობის დროს, ერთ-ერთ ბრძოლაში დაღუპულა.[11]

ასურელთა ბატონობის აღსაკვეთად გვიანხეთური ხანის სამეფო-სამთავროები ხელსაყრელ მომენტებს მარჯვედ იყენებდნენ. სინაქერიბის მეფობის დროინდელი (ძვ. წ. 705-680წწ.) წარწერებიდან ჩანს, რომ ილუბრუს მმართველ კირუასა და თილ-გარიმუს მთავარს გურდის ასურელების წინააღმდეგ ერთობლივი აჯანყება მოუწყვიათ. ასურელთა წინააღმდეგ ამავე დროს მთებში მცხოვრები ხილაქუელებიც ამხედრებულან. სინაქერიბს აჯანყების ჩასახშობად თავისი ერთგული მოხელე – შულმუბელა გაუგზავნია. მას კირუა დაუმარცხებია და იგი ნინევიაში ტყვედ გაუგზავნია. ასურეთის მეფეს კირუასათვის სასტიკი სასჯელი – ცოცხლად ტყავის გაძრობა მიუსჯია. შულმუბელას ილუბრუს მოსახლეობა ასურეთში გადაუსახლებია, ხოლო ქვეყანა ახალი მოსახლეობით შეუვსია. აქ, მას გამარჯვების ნიშნად, აშურის ხმალი მიწაში ჩაუსვამს. თილ-გარიმუს წინააღმდეგ სინაქერიბს კვლავ გამოცდილი მოხელე, მშვილდოსნების, შუბოსნებისა და მეეტლეების რაზმითურთ აშურბელუსურა გაუგზავნია, ქალაქი დაუნგრევია და მიწაყრილად უქცევია.[12]

ასარქადონის (ძვ. წ. 680-669წწ.) მეფობის დასაწყისში ასურეთის დასავლეთ საზღვრებს კიმერიელთა მხრიდან საფრთხე შეექმნა. კიმერიელები თაბალელებთან, მუშქებთან და ხილაქუელებთან ერთად ასურეთის წინააღმდეგ

ხშირ თავდასხმებს აწყობდნენ. ამ თავდახმების შესაჩერებლად ასარქადონს ფართო საომარი კამპანიის წარმოება მოუხდა. თილ-ბარსიფის სტელაზე შესრულებული წარწერა გვამცნობს, რომ ასარქადონს ხუბუშნაში თეუშფა კიმერიელი დაუმარცხებია და ხილაქუს „ურჩი ხალხი" გაუნადგურებია. ეს მოვლენა სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში დაახლოებით ძვ. წ. 678/77 წწ. თარიღდება.[13] ასარქადონს ხილაქუსა და დუ'უას ხალხის წინააღმდეგ კიდევ ერთხელ გაულაშქრავს. მას ხილაქუს 21 გამაგრებული ქალაქი აუღია და გადაუწვავს. თუმცა ის დასახლებები, რომლებიც წარსულში არ მონაწილეობდნენ აჯანყებაში, მხოლოდ მძიმე გადასახადებით გადარჩენილა. შამაშის ორაკულისადმი ასარქადონის ცნობილი „შეკითხვებიდან" ირკვევა, რომ მის მიერ მოწყობილ სადამსჯელო ექსპედიციას შედეგი არ მოუტანია. გეიანხეთური ხანის სამეფოსამთავროების მესვეურები - მუშქების მეფე მითა, თაბალის მეფე იშგალუ, მელიდის მეფე მუგალუ – ასურეთისათვის კვლავ საშიშ მოწინააღმდეგეებს წარმოადგენდნენ, ასარქადონი შესთხოვს შამაშს აუწყოს მას, ხომ არ დაესხმიან თავს პროვინცია ქუეს თაბალები და ხილაქუელები. როგორც წარწერიდან ჩანს, ქუე ასურელთა ძირითად დასაყრდენ პუნქტს წარმოადგენდა. კონტროლი აღმოსავლეთ მცირე აზიის სამეფო-სამთავროებზე სწორედ ქუედან ხორციელდებოდა.

ასურბანიფალის (ძვ. წ. 668-629წწ.) მეფობის დროს სიტუაცია ასურელთა სასარგებლოდ შეიცვალა. რასამის ცილინდრზე შესრულებული ასურბანიფალის წარწერიდან ცნობილი ხდება, რომ ხილაქუს მმართველ სანდაშარმეს თავისი ასული დიდი მზითვით ნინევიაში ჩაუყვანია და ასურბანიფალისთვის „ფეხები დაუკოცნია". თაბალის მეფე მუგალუსაც „ფარ-ხმალი" დაუყრია, ასურეთის მეფისთვის ნინევი-

აში წერილი მიუწერია და მისი ძალაუფლება უცვნია. სამაგიეროდ, ცხენების სახით ხარკის გადახდა უკისრია.[14]

თაბალის მეფე მუგალუს ვაუს (ტექსტის დაზიანების გამო სახელი ჩვენთვის უცნობია) ასურელთა ქვეშევრდომობისგან განთავისუფლება მაინც განუსრახავს. ამ მიზნის მისაღწევად მას კიმერიელებთან კავშირის დამყარება განუსრახავს. ასურბანიფალის „ანალები" გვამცნობს, რომ მუგალუს ვაუი კიმერიელთა წყაროს ტერმინოლოგიით, „ბარბაროსების" მეფე დუგდამეს შეეკრა. ასურეთის მეფეს მუგალუს ვაუი სასტიკად დაუმარცხებია. ხოლო მისი სხეული ცეცხლისთვის მიუცია. ასურელთა მეფეს თაბალელთა მთელი ქონება მიუთვისებია, არმია და მოსახლეობა ასურეთში გადაუსახლებია. მართალია, დუგდამეს ბრძოლა გაუგრძელებია, მაგრამ უშედეგოდ. სიტუაციას ისიც ართულებდა, რომ დუგდამესი მძიმედ დაავადდა. ბოლოს იგი იძულებული გამხდარა, სავის დადების მიზნით, ხარკის გადახდის პირობით, ასურეთში თავისი მოხელეები გაეგზავნა.[15]

თაბალის დაცემა იმას ნიშნავდა, რომ პირველანდელი ანტიასურული კოალიციიდან მხოლოდ მუშქების მეფე მითაღა შემორჩა.

„აღმოსავლეთელი მუშქები", რომლებიც ტიგროსის სათავეებისა და ზემო ევფრატის სანახებში თითქმის, 400 წლის მანძილზე სახლობდნენ, შევიწროებული აღმოჩნდნენ. ძვ. წ. 676 წ. მათ ურარტელების ძლიერი თავდასხმა განუცდიათ. ურარტუს მეფე რუსა II-ის (ძვ. წ. 685-645 წწ.) ადილჯევაზის წარწერის თანახმად, მუშქების, ხათესა და ხალიტუს ქვეყნების მოსახლეობა ურარტუში გადაუსახლებიათ.

გვიანხეთური ხანის სამეფო-სამთავროთა შემდგომი ხანის პოლიტიკური ისტორია ძველი ანატოლიის მსხვილი პოლიტიკური ერთეულების ფრიგიისა და ლიდიის ისტორიის კონტექსტშია განსახილველი.

1. ნ. ხაზარაძე, საქართველოს ძველი ისტორიის ეთნო-პოლიტიკური პრობლემები, თბილისი, 1984, გვ. 72.
2. АВИИУ, ВДИ, 2, 1951, с.274-278.
3. ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია, თბილისი, 1988, გვ. 316.
4. АВИИУ, ВДИ, 2, с. 286-288.
5. ნ. ხაზარაძე, აღმოსავლეთ მცირე აზიის ეთნიკური და პოლიტიკური გაერთიანებები ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში, თბილისი, 1978, გვ. 85; იხ. АВИИУ, с. 297-299.
6. Г. А. Меликишвили, Урартские клинообразные надписи, Москва, 1960, с. 151-161. იხ. ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ქრესტომათია, თბილისი, 1990, გვ. 276; Н. В. Арутюнян, Корпус урартских клинообразных надписей, Ереван, 2001, с. 257-277.
7. АВИИУ, ВДИ, 2, с. 311-315. იხ. ნ. ხაზარაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 86; ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ქრესტომათია, გვ. 292; Г. А. Меликишвили, Наири-Урарту, Тбилиси, 1954, с.274.
8. ნ. ხაზარაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 86.
9. АВИИУ, ВДИ,2, с.318-319; ВДИ, 3, 1951,с. 209-211.
10. ნ. ხაზარაძე, საქართველოს ძველი ისტორიის ეთნო-პოლიტიკური პრობლემები, გვ. 78.
11. АВИИУ, ВДИ, 3, с.215, იხ. ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია, თბილისი, 1988, გვ. 324.
12. АВИИУ, с.213.
13. А. И. Иванчик, Киммерийцы, Москва, 1996, с. 164.
14. АВИИУ, с.216, 229, 236, 240.
15. А. И. Иванчик, Киммерийцы, с. 275.

თავი III. გვიანხეთური ხანის დიდი კაპადოკიის სამეფო-სამთავროთა პანთეონის ისტორიისათვის

ხეთური რწმენა-წარმოდგენების ტრადიციები ხეთური სამეფოს დაცემის შემდეგაც არ გამქრალა. მან თავისებური ასახვა ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის აღმოსავლეთ მცირე აზიის ტერიტორიაზე წარმოქმნილ გვიანხეთურ სამეფო-სამთავროებში ჰპოვა.

იეროგლიფურ-ლუვიური წარწერებით შესრულებული ძეგლები სადღეისოდ ერთადერთი წყაროა გვიანხეთური ხანის სამეფო-სამთავროთა რელიგიური წარმოდგენების შესწავლისათვის. ტექსტებში, როგორც წესი, ლუვიური ღვთაებების — თარხუნთის, სანთას, რუვას და სხვათა სახელები გვხვდება. წარწერებში აგრეთვე იხსენიება ხურიტული ღვთაებები — შარუმა, ქალღვთაება ხეფათი, შაუშქა, ხარანის მთვარის ღვთაება, ქარხემიშის ქალღვთაება ქუბაბა, ბაბილონური ღვთაება Nakaruha (Nakarwa), კუმუხის მთვარის ღვოაება Sin-ი, მამრობითი და მდედრობითი სქესის ღვთაებები ცისა და მიწისა, მზის უმაღლესი ღვთაება.

გვიანხეთური ხანის სამეფო-სამთავროთა პანთეონი პოლითეისტური იყო. იგი ცდილობდა კავშირი დაემყარებინა ადამიანსა და გარესამყაროს შორის. ამიტომ, გაღმერთების ობიექტებად ყველა ცოცხალი არსების მშობელი — დედამიწა, ცა, მზე, მთვარე გვეელინება. პანთეონში საპატიო ადგილი იმ ღვთაებებს უკავიათ, რომლებიც წყალთანაა დაკავშირებული და რომლის გარეშეც დედამიწა უნაყოფოა. ამ ღვთაებებზე დიდად იყო დამოკიდებული სიცოცხლის გაგრძელება დედამიწაზე, ამიტომ ნებისმიერი უძველესი საზოგადოება მათ თაყვანს შესაბამისი რიტუალებით სცემდა. გვიანხეთური ხანის აღმოსავლეთ მცირე

აზიის მოსახლეობაც, ხეთების მსგავსად ქედს მთების, მდინარეებისა და წყაროების ღვთაებათა წინაშე იხრიდა.

იეროლგიფურ-ლუვიური წარწერების მონაცემები ღვთაებათა ნომენკლატურის, პანთეონის სტრუქტურაში მათი როლისა და ადგილის შესახებ, ღვთაებათა მოხსენიების სიხშირე და გავრცელების არეალი დიდ დახმარებას გვიწევს უზენაესი ღვთაებისა და მთავარი ღვთაებების გამოვლენისა და შესწავლის საქმეში.

ძვ წ. IX-VIII სს-ის იეროგლიფურ-ლუვიური წარწერების მონაცემებით, გვიანხეთური ხანის აღმოსავლეთ ანატოლიის სამეფო-სამთავროთა პანთეონში მთავარი ადგილი ლუვიურ ღვთაება თარხუნთს ეკავა.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული თვალსაზრისის თანახმად, თარხუნთი ამინდის (ჭექა-ქუხილის) ღვთაებაა. იგი სიუხვის მომტან წყლებთან და ნაყოფიერებასთანაა დაკავშირებული, რაც ჩვენამდე მოღწეულ გვიანხეთური ხანის ეპიგრაფიკულ ძეგლებზეც დასტურდება.[1]

იეროგლიფურ-ლუვიურ წარწერებში თარხუნთი სხვადასხვა ეპითეტით მოიხსენიება. მას „ღვთაება თარხუნთი ცისა", „ციური ღვთაება თარხუნთი", „თარხუნთი ვენახისა" ეწოდება[2].

გვიანხეთური ხანის კლდეში ნაკვეთი მონუმენტების უმრავლეს ნაწილზე ღვთაება თარხუნთის გამოსახულებას ვხვდებით (იერიზი, მალატია[3], ნიღდე, ქეჩლიქი[4], თარხუნთის სავარაუდო გამოსახულება კილიკიის ტავროსიდან, რომელიც ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმში ინახება). ნიშანდობლივია, რომ ზემოდასახელებული კლდის რელიეფები სწორედ წყაროთა სიახლოვეს დასტურდება, რაც ღვთაების ზემოხსენებულ ფუნქციებთან უნდა იყოს დაკავშირებული.

ზემოაღნიშნულ ძეგლებზე დამოწმებული თარხუნთის

გამოსახულება სავსებით ადასტურებს იეროგლიფურ-ლუ-ვიურ წარწერებში ამ ღვთაების შესახებ არსებულ ინფორ-მაციას. ამ თვალსაზრისით საინტერესოა სულთანხანის წარწერა, რომელიც თაბალის მეფე ვასურმეს (ასურული ლურსმული ტექსტების უასურმე თაბალელი) ვასალ Srwa-tiwara-ს ეკუთვნის. წარწერა გვამცნობს, რომ მის ავტორს ღვთაება თარხუნთის შემწეობით ვენახი გაუშენებია. ღვთა-ების წყალობით ვენახს გაუხარია და პურის მოსავალიც უხვად მოსულა. სამაგიეროდ, ვასალს ღვთაებისათვის ერ-თი ხარი და ცხრა ცხვარი შეუწირავს, თავად ვასურმეს კი იმ მიწაზე, სადაც ვენახი იყო გაშენებული, 'ხოგიეროი გა-დასახადი გაუუქმებია[5].

ღვთაება თარხუნთის ატრიბუტიკის სრულად წარმო-ჩენისათვის ივრიზის რელიეფს სრულიად განსაკუთრებუ-ლი მნიშვნელობა ენიჭება.

სამწუხაროდ, ბუნებრივი მოვლენების გამო, ივრიზის რელიეფი საკმაოდ სერიოზულადაა დაზიანებული. მიუხე-დავად ამისა, მასზე კარგად ჩანს პროფილში გამოკვეთი-ლი თარხუნთის სახე და ხელ-ფეხი. სხეული ფრონტალუ-რადაა წარმოდგენილი. ფიგურა მარჯვნიდან მარცხნისკე-ნაა ორიენტირებული. თავზე მას წვეტიანი ქუდი ახურავს, თმა კისრამდე აქვს ჩამოშლილი, ხოლო წვერი მკერდამდე წვდება. ფეხები გაშლილი აქვს და ზედ ჭვინტიანი ფეხ-საცმელი აცვია. ღვთაება მუხლამდე კაბით არის შემოსი-ლი, წელზე სარტყელი აკრავს. მას მარცხენა ხელში თავ-თავების შეკრული ძნა უჭირავს, რომელიც ერთმანეთის პარალელურად ქვემოთ, მარცხენა ფეხის ტერფამდე სწო-რადაა დაშვებული. მარჯვენა მხარეს კი ყურძნის მტევნე-ბიანი ლერწამი მხარზეა ჩამოკიდებული, რაც მოსავლის აღებას უნდა ნიშნავდეს. ღვთაება თარხუნთს მარცხენა იდაყვთან სპირალის ფორმის ღარებიანი საგანი უკან, სარ-

ტყელში აქვს ნასმული, რომლის ვადა ჩიტის (არწივის) თავს წააგავს[6].

მკვლევართა ერთი ნაწილი (რ. ბარნეტი, მ. კრემერი) ამ ელემენტს ხმლის ვადასთან აიგივებდა[7]. შემდგომში მ. ჩაჰინმა ზემოხსენებული იარაღის დეტალის ახლებური ინტერპრეტაცია შემოგვთავაზა. მისი მართებული დაკვირვებით, ეს მჭრელი იარაღი ნამგალი უნდა იყოს, რომელიც ნაყოფიერების ღვთაებისათვის საკვლევით ბუნებრივი ატრიბუტია, მითუმეტეს, რომ სხვა წინააზიურ ღვთაებათა რელიეფურ გამოსახულებებზე ნამგალი, როგორც ნაყოფიერების სიმბოლო არაერთგზის მოწმდება (იშთარის ტაძარი, იაზილიქაიას კლდეზე ნაკვეთი ღვთაებები, ბაბილონი და სხვ.).

აქვე შემდეგსაც დავძენთ: მართალია, წინააზიურ ღვთაებათა, მეფეთა და მეომართა გამოსახულებებისათვის ხშალი, როგორც ძალაუფლების სიმბოლო უცხო არ არის, ჩვენთვის საინტერესო შემთხვევაში საქმე სხვა ვითარებასთან უნდა გვქონდეს. კერძოდ, გასათვალისწინებელია, რომ ხმლის ვადასთან იდენტიფიცირებული ჩიტის ნისკარტის ფორმის დეტალი მჭრელი მხარითაა ამოტრიალებული, რაც საესებით გამორიცხავს ხმლის სახით მის პრაქტიკულ გამოყენებას[8].

იმაზე, რომ ნაყოფიერების ღვთაება თარხუნთის ერთ-ერთი ატრიბუტი სწორედ ნამგალი უნდა ყოფილიყო და არა ხმალი, ჩვენი აზრით, ამინდის ღვთაებისადმი მიძღვნილი ნამგლის დღესასწაულის ამსახველი ხეთური ლურსმული ტექსტებიც უნდა მიუთითებდეს[9]. საყურადღებო ისიცაა, რომ ეგვიპტის აკლდამებში მოსავლის აღებისა და მკის ამსახველ რიტუალურ სცენებზე სხვადასხვა ფორმის ნამგლის გამოსახულებას არაერთგზის ვხვდებით[10].

ნაყოფიერებისა და უხვმოსავლიანობის მომტანი სამი-

წათმოქმედო იარაღი – ნამგალი საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეშიც დასტურდება. ახალი წლისა და ხალხური კალენდრის წლიური ციკლის მიხედვით სამიწათმოქმედო სამუშაოები რელიგიური რიტუალების თანხლებით სრულდებოდა. მაგალითად, დასავლეთ საქართველოში (ლეჩხუმი, ზემო რაჭა, გურია) ახალი წლისათვის სარიტუალო კვერებსა და პურს, ე. წ. ბედისკვერებს აცხობდნენ. მათ სხვადასხვა, მათ შორის ნამგლის ფორმას აძლევდნენ, ან ხედვე გამოსახავდნენ მას და შემდეგ, ამ კვერებით მომავალ მოსავალზე მკითხაობდნენ. მოსავლის აღების შემდეგ მიწათმოქმედნი დღესასწაულებს მართავდნენ. ერთ-ერთი ასეთი დღესასწაული ნამგალდრეკა იყო[11].

ჩვენთვის საინტერესო სამიწათმოქმედო იარაღი ნამგალი პ. უმიკაშვილის მიერ შეგროვებულ ქართული ხალხური სიტყვიერების ნიმუშებს შორის არაერთგზის დასტურდება. მაგალითად: „გლესავ და გლესავ, ნამგალო, ნამგალო ჩემო რკინაო, გასჭერ, გამიძეხ წინაო"[12].

ზემოაღნიშნულ ხალხურ სიტყვიერებაში ნამგლის სხვადასხვა ფორმების შესახებ საინტერესო მითითებას ვპოულობთ: „ნამგალას ბიბინაურსა პირი მიუგავს ღულასა"[13]. ამ თვალსაზრისით შემდეგია გასათვალისწინებელი: ცნობილია, რომ სამეურნეო იარაღი ნამგალი მიწათმოქმედებასა და კერძოდ, მარცვლეულ კულტურებს უკავშირდება. ძვ. წ. II და I ათასწლეულებით დათარიღებულ მატერიალური კულტურის ძეგლებში მკვლევრები (ბ. კუფტინი, ა. აფაქიძე, ა. ბოხოჩაძე) განასხვავებენ ბრინჯაოს ნამგლების თავისებურ ჯგუფს, ე. წ. ვენახის „სასხლავ ნამგლებს", რომლებიც იმავე ხანის ნამგლებისაგან ფორმით, ზომითა და სამუშაო ფუნქციით განსხვავებულია[14].

ივრიზის ანალოგიური გამოსახულებები ერეღლისა და ქეჩლიქის სტელებზეც დასტურდება[15].

ღვთაება თარხუნთის ერთ-ერთი გამოსახულება სტელაზე ნიღდეს მუზეუმშია დაცული. აქ ღვთაებას მარცხენა ხელში უცნობი სიმბოლო უკავია, მარჯვენა ხელი, სამწუხაროდ, დაზიანებულია. სხვა მხრივ, ფიგურა ივრიზის, ერეღლისა და ქეზლიქის სტელებზე გამოსახული ღვთაების მსგავსია. აქაც, მარცხენა მხარეს, ცოტა დაშორებით, თავთავების შეკრული ძნა, ხოლო მარჯვნივ ყურძნის მტევნები ფოთლებიოურთ მოჩანს. ფიგურა მარცხნისკენ არის მიმართული[16].

მკვლევართა (მ. ჩაჰინი, ვ. ბისინგი) ვარაუდით, მალატიის რელიეფზე გამოსახული ამინდის ღვთაება თარხუნთის მსგავსია. ეს რელიეფური ნიმუში ამინდის ღვთაების წინაშე მეფის ლიბაციას (ღვთაებისადმი ღვინის ძღვნად მირთმევა) წარმოადგენს[17]. ღვთაებას თავზე რქიანი ფორმის გვირგვინი აქვს დადგმული, კაბა მუხლამდე წვდება და წელზე სარტყელი აქვს შემოჭერილი, ფეხზე კი ჭვინტიანი ფეხსაცმელი აცვია. აღნიშნულ რელიეფზე ღვთაებას სარტყელში ხმალი უკეთია, მარცხენა ხელით ელვის კონა უჭირავს, ხოლო მარჯვენა ხელი მაღლა აქვს აღმართული და Г ფორმის საგანი უკავია. ზოგი მკვლევრის (ბ. ორტმანი, ი. აკურგალი, მ. კრემერი) ვარაუდით, იგი ბუმერანგი ან მოღუნული ტოტი უნდა ყოფილიყო[18].

ფლინდერს პეტრის თვალსაზრისით, ეს პრიმიტიული სატყორცნი ჯოხია, რომელიც ეგვიპტეში ჯერ კიდევ I დინასტიის პერიოდის დათარიღებულ იეროგლიფებს შორის დასტურდება, უფრო მეტიც, ეს გამოსახულება XII დინასტიამდე განაგრძობს არსებობას. სირიული ნიმუშები ეგვიპტურისაგან ოდნავ განსხვავდება. მას რიტუალური დანიშნულება უნდა ჰქონოდა და როგორც ჩანს, სირიაში ეგვიპტიდან შეაღწია[19].

თარხუნთის სკულპტურული გამოსახულება კილიკი-

ის ტავროსიდან ასე წარმოდგება: ღვთაებას მარჯვენა ხელი გულზე აქვს მიდებული. როგორც ჩანს, მას თავზე ქუდი ეხურა. მარცხენა ხელ'ში შეკრული თავთავების ძნა უჭირავს, რომლის ქვე'მ სამსხვერპლო ტაბლა დგას[20]. ტაბლა'ზე შესაწირი 2 თხელი პური და ზემოდან მასზე პატარა ზომის 2 მრგვალი პური დევს.

ანალოგიური მონაცემები ხეთურ ტექსტებშიც დასტურდება. ირკვევა, რომ სამსხვერპლო მაგიდაზე, რომელიც ღვთაება ეას ეძღვნებოდა, რიტუალურ საკვებთან და დიდ პურებთან ერთად, რამდენიმე მცირე ზომის ე. წ. tappinu–პურებიც ელაგა[21].

ნ. ხაზარაძის მართებული დაკვირვებით, მსგავსი პარალელები შესაწირ პურებთან დაკავშირებით, ქართულ ეთნოგრაფიულ სამეცნიერო ლიტერატურაში მოგვეპოვება. რიტუალურ პურებს, ე. წ. ლემზირებს სვანეთში ქალები ფუძის ანგელოზს სწირავდნენ. შესაწირ ლემ'ზირებს შორის დიდი „ფუსნე მეღე" დასტურდება, რომელ'ზედაც (ხეთების მსგავსად), პატარა ლემ'ზირებს (tappinu–პურები?) აწყობდნენ[22].

მალატია X-ის, ადიამან I-ისა და ადიამან II-ის თეთრ კირქვიან სტელებზე ღვთაება თარხუნთი ხარზე შემდგარია გამოსახული. წარწერებ'ში იგი ჭექა-ქუხილის ღვთაებას განასახიერებს. მალატია X მსხვერპლშეწირვის სცენას გამოხატავს. აქ ღვთაება მარცხნივ დგას, მის უკან ხარია, ხოლო წინ – მეფე სულუმალია ხელში ტიარით წარმოდგენილი[23].

სავარაუდოა, რომ ღვთაება მონაწილეობს პირველი მოსავლის აღებაში. სიმბოლურად ჭრის თავთავიან ძნას, ან შესაძლოა, ამ დავალებას მეფეს გადასცემს. აქედან გამომდინარე, მალატიის რელიეფებზე ღვთაება თარხუნთი ჭექა-ქუხილის, მიწათმოქმედებისა და ნაყოფიერების ფუნქციების მატარებლად იწოდება.

იეროგლიფურ-ლუვიური წარწერების მონაცემები გვიჩვენებს, რომ გვიანხეთური ხანის კაპადოკიის რელიგიურ სისტემაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ლუვიურ ღვთაება რუვას ეკავა. მის მოხსენიებას ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის წერილობით ძეგლებში (ბულღარმადენი, ბოღჩა, მარაშ I, გურუნი, პალანგა, ქოთუკალე, მალატია V, მალატია VIII, მალატია XIII, სირსი, ანქოზ I) ვხვდებით[24].

ზემოხსენებულ ეპიგრაფიკულ ძეგლებში ღვთაება თარხუნთთან ერთად სხვა ღვთაებებიცაა მოხსენიებული: ღვთაება თარხუნოი, ქალღმერთი ქუბაბა, ხარანის მთვარის ღვთაება, ქალღმეროი ხეფათი, შარუმა და მ'ხის ღვთაება.

იეროგლიფურ-ლუვიურ წარწერებში ღვთაება რუვას სახელწოდება, ისევე როგორც ღვთაება თარხუნთის სახელი, ფონეტიკური დამატებებითაა გადმოცემული: ^{D}RUWA-ti-a-s, ^{D}RUWA-i-s, ^{D}RUWA-a-s, ^{D}RUWA-ti, ^{D}RUWA-a-n, რაც ღვთაების სახელის ფუძის ბგერით შემადგენლობაზე მიუთითებს[25].

თაბალის ტერიტორიაზე აღმოჩენილ იეროგლიფურ-ლუვიურ წარწერებში ღვთაება რუვა (RUWANTI) თარხუნთისა და ქალღმერთ ქუბაბასთან ერთად ფიგურირებს. იგი (რუვა) თარხუნაზის (სარგონ II-ის დროს მალატიის მეფისა და ასურეთის ვასალის) მფარველად ჩანს. ბოღჩას ქვის პრიზმაზე შესრულებულ წარწერაში, რომელიც ახლა კაისერის მუზეუმში ინახება, Kurtjia (რომელიც „დასავლეთსა და აღმოსავლეთში პატივცემული იყო") შესაწირს ჯერ ღვთაება თარხუნთს, შემდეგ კი ღვთაება რუვას მიართმევდა. როგორც წარწერიდან ჩანს, მმართველთა ხანგრძლივ ხელისუფლებას ქვეყანაში სწორედ ეს ღვთაებები უზრუნველყოფდნენ[26].

ლომის ფიგურის ერთ მხარეს შესრულებული წარწერა გურგუმის მეფის გენეალოგიასთან ერთად გვამცნობს, რომ ხალფარუნცია (Halfaruntija) ქეეყნის მსაჯულად ღვთაება რუვას „დაუდგენია" და „მემკვიდრეობით ხელისუფლება ამავე ღვთაებისგან მიულია"[27].

მალატიის წარწერებში ღვთაება რუვა წამყვანი ღვთაებების გვერდით არაერთგზის მოიხსენიება. ირკვევა, რომ მათ (თარხუნთი, ხეფათი, შარუმა, რუვა, და მზის ღვთაება) მალატიის მეფე სულუმალი განსაკუთრებით განადიდებდა და თაყვანსცემდა.

დაახლოებით იგივეს იმეორებს სირზის წარწერის ავტორი, მალატიის მეფე Sutiruwa(nta). წარწერაში ნათქვამია, რომ რუვა ღვთაების საყვარელი მსახურია და ძალაუფლება მას ღვთაება რუვამ გადასცა[28].

ღვთაება რუვას ფუნქციებზე კვლავ გვიანხეთური ხანის ეპიგრაფიკული ძეგლების მონაცემებით შეგვიძლია ვიმსჯელოთ. მალატიაში აღმოჩენილი ირემსა და ლომზე ნადირობის, მსხვერპლშეწირვის სცენების რელიეფურ გამოსახულებებს, იეროგლიფურ-ლუვიური წარწერები ახლავს. წარწერაში მალატიის მეფე Halpa-X-ის, Mar-X-ის, სულუმალისა და მისი ვაჟის - Šuwarmi-ის ძლევამოსილი ნადირობის შესახებაა მოთხრობილი. წარწერის ნაწილი დაზიანებულია, ამდენად, შეიძლება ვივარაუდოთ ღვთაება რუვას მოხსენიება[29]. საფიქრებელია, რომ ირემი და ლომი ამ შემთხვევაში რუვას აღნიშნავენ.

სამეცნიერო ლიტერატურაში გაზიარებულია გიუტერბოკის მოსაზრება, რომ რუვას ლურსმულ დამწერლობაში იდეოგრამა DLAMA შეესატყვისება[30], რაც ირმის ღვთაებას აღნიშნავს.

ღვთაების გამოსახულება პანთეონის წამყვან ღვთაებებთან ერთად მალატიაში აღმოჩენილ ქვის სტელაზეა შემორჩენილი: მაგალითად, მარცხნივ ამინდის ღვთაება ლომზე დგას, იქვეა მაღალსურგიან სკამზე მჯდარი ქალღმერთი, მას ფეხები ტაბურეტზე აქვს შედგმული, ტაბურეტი კი ხარზე დგას. ქალღმერთს მარჯვენა ხელში სარკე უჭირავს, მარცხენა კი მკერდთან ახლოს აქვს მიდებული. მისი სამოსი მსგავსებას იაზილიქაიას ქალღმერთთან და ქარხემიშის ქუბაბასთან ამჟღავნებს. ამინდის ღვთაებასთან ჭექა-ქუხილის ნიშანია გამოსახული. ფიგურათა ზემოთ ფრთიანი მზის დისკო ჩანს. სტელის ორივე მხარეს შემორჩენილია წარწერის კვალი: ქალღმერთის მხარეს KUBABA იკითხება, მკვლევარმა მ. ვიეირმა ღვთაების მეორე მხარეს სახელი RUTA ამოიკითხა[31].

ღვთაება რუვა მალატიაში აღმოჩენილ ქვის სტელაზე ორ ირემთან ერთადაა გამოსახული. აქ, მას გრძელ კაბაში გამოწყობილი მეფე ზედაშეს წირავს.

იეროგლიფურ-ლუვიურ წარწერებში ღვთაება რუვა სხვადასხვა ეპითეტით მოიხსენიება. სირზის წარწერაში მეფე Sutiruwa(nta) მას „მთის ღვთაება რუვას" უწოდებს. გეკეს წარწერაში კი, რუვას მზის აღმნიშვნელი იდეოგრამა UTU ახლავს[32], რაც „მზის ღვთაება რუვას ნიშნავს".

ამ მხრივ, საინტერესოა მდ. ყარასუსთან (ზემო ევფრატი) კლდის რელიეფზე აღმოჩენილი მონუმენტური გამოსახულება, სადაც ნათლად ჩანს ირმის, ხელაღმართული მამაკაცის და ზემოთ, თავზე ფრთოსანი მზის დისკოს ფიგურები. იეროგლიფები არ აღმოჩნდა. მამაკაცის ფიგურა ირემზე დგას, ისინი მარცხნივ არიან ორიენტირებული. მას ერთ ხელში ხმალი და მშვილდი უჭირავს, მეორეში კი (მარჯვენა ხელში) – შუბი.

ეს ფიგურა გაიგივებულია ირმის ღვთაება რუნთასთან, რომელიც ნადირობისა და ცხოველთა დამცველ ღვთაებად წარმოდგება. იგი გვიანხეთური ხანის მონუმენტებზე არაერთგზის დასტურდება (Haci Bebekli კუმუხი, Sakçagozu მარაშის ვილაიეთი). ბაზალტის ეს ორთოსტატები თითქმის ერთმანეთის იდენტურია: ღვთაება, ფრთოსანი მ'აის დისკო, ირემი. ორივე რელიეფზე ღვთაებას ხმალი ქარქაშში აქვს ჩასმული, მარჯვენა მკლავზე მშვილდია ჩამოკიდებული, მარცხენაში კი, მკვდარი ცხოველი უჭირავს, რომელიც მკვლევარმა ჯ. გარსტანგმა კურდღელს მიამსგავსა[33].

ასე რომ, DLAMA გვიანხეთური ხანის სამთავროებისკუმუხის, გურგუმის, მალატიის ერთ-ერთი წამყვანი ღვთაებაა, რადგან იეროგლიფურ-ლუვიური წარწერების მონაცემებით იგი ყოველთვის წამყვან ღვთაებებთან ერთად მოიხსენიება როგორც დამცველი, მხსნელი. სირზის წარწერაში ღვთაება რუვა თავის სიძლიერით ქალღმერთ ქუბაბას უთანაბრდება.

ღვთაების ანალოგიური ატრიბუტები ხეთურ კერპთა აღწერილობაში მოგვეპოვება. ესაა დასახლება ვიანაუვანთას ველ-მინდვრის მფარველი ღვთაება ირემზე მდგარი მამაკაცის ოქროს ქანდაკება, მარჯვენა ხელში მას ოქროს მშვილდი უჭირავს, მარცხენაში ოქროს არწივი და კურდღელი, აქვს ოქროს ხმალი[34]. ძნელი წარმოსადგენია, არის თუ არა იგი ღვთაება რუვა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ კუმუხის პანთეონი ღვთაებათა სიმრავლით გამოირჩეოდა: აქ, ქვეყნების, ქალაქების, მინდვრების მრავალრიცხოვანი დამცველი ღვთაებები არსებობდა.

მდინარე ყარასუსთან, კლდის რელიეფზე, მახლობლად მრავალრიცხოვანი ღრმულები აღმოჩნდა. მათ სარიტუალო ფუნქციები ჰქონდათ. საკარაუდოდ, მათ ამავე მო-

ნუმენტზე გამოსახული ირმის ღვთაებისადმი ლიბაციის შესასრულებლად იყენებდნენ როგორც სათავსო ჭურჭელს (რეზერვუარს) სითხისათვის.

აღსანიშნავია, რომ მსგავსი ღრმულები დ. უსიშკინმა ფირაქტინსა და სირკელშიც დაადასტურა[35].

ზემოაღნიშნული მატერიალური ძეგლის ნაშთი, ვფიქრობ, ღვთაებისადმი ზედაშეს შეწირვის ნათელი მოწმობაა, რის შესახებაც მალატიის ეპიგრაფიკულ ძეგლზე შესრულებული იეროგლიფურ-ლუვიური წარწერა გვამცნობს.

ღვთაება რუვას პოპულარობაზე იეროგლიფურ-ლუვიურ წარწერებში მოხსენიებული რუვა კომპონენტიანი თეოფორული სახელები უნდა მიუთითებდეს, რომლებიც საზოგადოების მაღალი ფენის წარმომადგენელთა (ძირითადად მამაკაცების) საკუთარი სახელების სახითაა ჩვენამდე მოღწეული: Halparuntija, Halparuwatija, Halpa-pa-RUWA-ti-a-s, Hila-RUWA-(nta), Wala-ruwa(nta) , Sutiruwa(nta)[36].

ნადირობისა და ცხოველთა მფარველი ლუვიურ ღვთაება რუვას ზოგად მსგავსებას კავკასიელთა რწმენა-წარმოდგენებშიც ვხვდებით. აქაც ნადირთ ღვთაება თავისი ბუნებით ზოომორფულია. იგი ირემი, ჯიხვი ან ნიამორია. ქართულ ფოლკლორში ჩვენთვის საინტერესო ირემი ზებუნებრივი ნიჭის მატარებელი და ღვთაების სამყაროსთან დაკავშირებული არსებაა. მას დანარჩენი ნადირისაგან რაიმე ნიშანი განასხვავებს (ნიშანი შუბლზე, ოქროს რქები, ამობრუნებული რქა)[37]. ანუ ამ ცხოველის განსაკუთრებულ, ზებუნებრივ თვისებებზე მიუთითებს. ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალა გვიჩვენებს, რომ ირემი აღორძინების ძალების განმასახიერებელი ღვთაების მხლებელი ცხოველი და მისი პროტოტიპია. მისი სადგომი მაღალი მთაა. სვანეთსა და რაჭაში ნადირთ ღვთაების სადგომიც კლდეს უკავშირდება[38]. ამდენად, შემთხვევითი არ უნდა იყ-

ოს ერთ-ერთ იეროგლიფურ-ლუვიურ წარწერაში რუვას მთის ღვთაებად მოხსენიება.

ქართულ ფოლკლორში (ხევსურეთი) ნადირობისა და ცხოველთა მფარველი მამაკაცი – ანატორი დასტურდება, ასევე, ნადირთა მფარველად ქალღმერთი დალი ფიგურირებს, რომელიც დასავლეთ საქართველოს მთასთან არის დაკავშირებული.[39]

უ'ხენაეს ღვთაება თარხუნთთან ერთად იეროგლიფურ-ლუვიურ წარწერებში არაერთგ'ხის ღვთაება ქუბაბაც იხსენიება, რომელსაც ხშირად ანტიკურ სამყაროში კარგად ცნობილ კიბელე-კიბელას წინამორბედ ძველაღმოსავლურ ქალღვთაებად მიიჩნევენ.[40]

1981 წელს ჯ. ჰოეკინსმა სპეციალური სტატია მიუძღვნა ამ ღვთაებას, თავი მოუყარა რა თითქმის ყველა იეროგლიფურ-ლუვიურ ტექსტს, სადაც იგი იხსენიება. ირკვევა, რომ ქუბაბას სახელწოდება ყველაზე ხშირად გვიანხეთური ხანის ქარხემიშის (ჩრდილოეთ სირია) მეფეთა წარწერებში მოწმდება, თუმცა მას სხვა გვიანხეთური სამეფოსამთავროებიც იცნობენ (ალეპოს, კაისერის, ანქოზის, ბაბილონის, ბოიბეიპინარის, ბულღარ-მადენის, ჩიფლიქის, ყარაბურუნის, კულულუს, მალატიის, სულთანხანის, თელ-ახმარის იეროგლიფურ-ლუვიური წარწერები).[41]

ქალღვთაება ქუბაბას, ისევე როგორც თარხუნთს, იეროგლიფურ-ლუვიური წარწერების ავტორები (მეფეები, მათი ქვეშევრდომები) ორ სხვადასხვა კონტექსტში მოიხსენიებენ: წარწერების შესავალ ნაწილში, ტიტულატურა-გენეალოგიასთან მჭიდრო კავშირში და დასკვნით ნაწილში, ე. წ. კრულვის ფორმულის წარმოთქმისას. ამჯერად ყურადღებას იმ ტექსტებზე გავამახვილებთ, სადაც ქუბაბას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ამ თვალსაზრისით, ქარხემიშის მეფეთა, მმართველთა და მათ ქვე-

შევრდომთა წარწერები განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს.

ქუბაბა, ისევე როგორც თარხუნთი, გავრცელებული რწმენა-წარმოდგენების თანახმად, ყოველმხრივ იცავდა გაბატონებული წრის, წარწერების ავტორების ნამოღვაწარსა და მათ უფლებებს (Karkamiš 31/32, 11a, 2-3, 6; 14в, 4-5; 40-12 3; 25-в2, 1-2 და სხვა).

ქალღმერთ ქუბაბას თაყვანისცემის გავრცელების არეალს თაბალიც წარმოადგენდა. ბულღარ-მადენის ერთ-ერთ წარწერაში თუვანას მეფე ვარპალავას ვასალი თარხუნაზი წარწერის პოტენციური დამზიანებლის დასასჯელად, სხვა ღვთაებებთან ერთად, ქალღმერთ ქუბაბასაც მოუხმობს. სულთანხანის წარწერა გვამცნობს, რომ ქალღმერთი ქუბაბა ბოროტმოქმედებს ხარანის მთვარის ღვთაებისა და ღვთაება Ataha-ს მსგავსად „წყევლის და სჯის". კაისერის წარწერაში კი ნათქვამია, რომ თაბალის მეფე ვასურმეს ჩვენთვის უცნობ ვასალს, რომელიღაც ღვთაებისათვის „tatala აუმაღლებია", მაგრამ, ამავე დროს, ღვთაება თარხუნთის ქანდაკება მნიშვნელოვნად დაუზიანებია (წარწერის მოწმობით, მას ღვთაების თავი კისერთან ნაჯახით დაუმსხვრევია). ამგვარი მოქმედებისათვის ღვთაება Maruwa-ს და ქალღმერთ ქუბაბას ბოროტმოქმედი „ძირს დაუნარცხებიათ".

ჩვენთვის საინტერესო ქალღმეროის ძლიერებაზე ანქოზში აღმოჩენილი იეროგლიფურ-ლუვიური წარწერაც მიუთითებს. ტექსტის მოწმობით, ღვთაება რუვა, როგორც მხსნელი, ქუბაბას მსგავსი ყოფილა. ბოიბეიპინარში ქვის ლოდზე შემორჩენილ იეროგლიფურ-ლუვიურ წარწერაში კატეგორიულადაა აღნიშნული: „თუ ვინმე პანამუვაოის სა-

ხელს გადაშლის, ეშინოდეს, რადგან..., დედოფალს ქუბაბა-საკით ძლიერი განრისხება შეუძლია".

ყარაბურნას კლდეზე შესრულებულ წარწერაში ქალ-ღმერთი ქუბაბა ხარანის მთვარის ღვთაებასთან ერთად, მეფე Sipis-სსა და Sipis Nis ვაჟს შორის დადებული ხელშეკ-რულების გარანტად წარმოგვიდგება. წარწერის დასკვნით ნაწილში იგივე ღვთაებები ამ ხელშეკრულების ამსახველი ეპიგრაფიკული ძეგლის შეურაცხმყოფელის დამსჯელებად გვეელინებიან.

ქალღმერთი ქუბაბა არა მხოლოდ ხელშეკრულების დაცვის გარანტი, მხსნელი და დამცველია, არამედ გეკეს წარწერის მიხედვით, ის ნაყოფიერების მომტანიცაა.

ქუბაბა ქარხემიშისა და აღმოსავლეთ ანატოლიის სხვა მეფე-მთავართა წარწერებში ხშირად თარხუნთთან, ქარხუხასთან, სანთასთან, ეასთან და რუნთასთან ერთად მოიხსენიება. ქათუვასი, ქარხემიშის მბრძანებელი, კარის საკეტის (?) ერთ-ერთ წარწერაში გვამცნობს, რომ იგი „ქარხუხას და ქუბაბას პროცესიის თვითმხილველი გამ-ხდარა*.

საინტერესოა ჩიფლიქისა და კულულუს წარწერები, სადაც ღვთაებები მეუღლეებითურთ არიან წარმოდგენილი. ჩვენთვის საინტერესო ქალღმერთი ეასთანაა დაკავშირებუ-ლი, თარხუნაზი-ხეფათთან, ხარანელი მთვარის ღვთაება-მსესთან, ხარანელი შარუმა-ალასუვასთან და ა. შ.

---

* იეროგლიფურ-ლუვიურ ტექსტში მოხსენიებული ორი ღვთაების პრო-ცესიასთან დაკავშირებით მეტად მნიშვნელოვანია ლუკრეციუსის მიერ აღწერილი, რომში გამართული პროცესია, იდის დედას (ანუ კიბელას) რომ ეძღვნებოდა, რომელიც ქალაქების დამცველად და მიწის ნაყოფ-თა მიმცემის ქალღმერთად მოიაზრებოდა (Luc II 600-643).

ყველა უკვე ნახსენები გვიანხეთური ხანის მეფე-მთავარი და მათი ქვეშევრდომი ერთხმად მიუთითებს მათდამი ქუბაბას სიყვარულ'ზე და ამ ქალღვთაებისგან მიღებულ მხარდაჭერა'ზე. ასე, მაგალითად, ქათუვასი არაერთგ'ხის აღნიშნავს, რომ „მის ბატონებს – თარხუნთს, ქარხუხას და ქუბაბას იგი სამართლიანობის გამო უყვართ და მხარს უჭერენ (Karkamiš, A11 в3-c4, შდრ. იქვე, A12, 2). იგივეს აღნიშნავს სოსტურას ვაჟი („მე [ვარ]..., გმირი, ქარხემიშის ქვეყნის მბრძანებელი... იარირისი, მბრძანებელი, უფლისწული, თარხუნთის, ქუბაბას, ქარხუხას და მ'ხის ღვთაებათა მიერ შეყვარებული...“ (Karkamiš A 15вб 1-2).

სამწუხაროდ, არც ქარხემიშსა და არც მის ფარგლებს გარეთ ქალღმერთის სახელ'ზე აგებული ტაძრების ნაშთებმა ჩვენამდე ვერ მოაღწია. მაგრამ იეროგლიფურ-ლუვიური წარწერები არაერთგ'ხის გვამცნობს ქარხემიშში ქუბაბას სახელ'ზე ტაძრების აგების შესახებ. იგივე ქათუვასი აცხადებს, რომ მან ქარხემიშში ქუბაბას სახელი „აღადგინა", ააგო მისი სახელობის ტაძარი და უზრუნველჰყო იგი შესაწირავით. დაახლოებით იგივეა ნათქვამი ქათუვასის სხვა წარწერებში. მეფე აცხადებს: „მე (ვარ) ქათუვასი, ქარხემიშის ქვეყნის მეუფე, ღვთაებათა მიერ შეყვარებული... [მე] ჩემმა ქალბატონმა ქუბაბამ, ქარხემიშის დედოფალმა, ქვეყნის მიერ ამაღლებულმა (?) (განმადიდა). ყოველთვის მეხმარებოდა ხელში ჩამეგდო მტრები, მაგრამ მტრებთან არ გამცემდა. ეს (შენობები) ფუფუნებით (აღვავსე) და მისთვის ავაგე, აღვადგინე ქუბაბა, ქარხემიშის დედოფალი."

ქარხემიშის მეფე იარირისიც ლოცულობს ქუბაბას სახელ'ზე და მას თავის „სიყვარულს უძღვნის". იარირისის ქვეშევრდომს (ვასალს) ქამანას ქუბაბას გამოსახულებითა და მისდამი მიძღვნილი წარწერით დამშვენებული სტელა

აღუმართავს. წარწერაში ნათქვამია: „ქუბაბას ტაძარი ავაგე... ქუბაბასათვის, ქარხემიშის დედოფლისათვის, მე ქამანასმა, მბრძანებელმა, [ტაძართან] მიწის ნაკვეთი გამოვყავი." ისიც ირკვევა, რომ სოსტურას სტელაზე ქუბაბას გამოსახულება გაუკეთებია და ა. შ.

მალატიაში აღმოჩენილი ქვის მცირე ზომის სტელა'ზე ქუბაბას სახელი კვლავ ღვთაება რუნთასთან ერთადაა მოხსენიებული, რაც აღნიშნულ ტერიტორია'ზე ქალღმერთ ქუბაბას პოპულარობაზე უნდა მიუთითებდეს. ჩვენამდე მოღწეული ქალღმერთ ქუბაბას გამოსახულება გვიანხეთური ხანის პანთეონის წამყვან ღვთაებებთან ერთად სწორედ მალატიაშია ნაპოვნი. სტელაზე, მარცხენა მხარეს, ამინდის ღვთაება ლომზე დგას, იქვეა მაღალზურგიან სკამზე მჯდარი ქალღმერთის გამოსახულება. მას ფეხები ტაბურეტ'ზე აქვს შედგმული, ტაბურეტი ხარზე დგას. ქალღმერთს მარჯვენა ხელში სარკე უჭირავს, მარცხენა მკერდთან ახლოს აქვს მიდებული. მისი სამოსი მსგავსებას ია'ხილიქაიას ქალღმერთთან და ქარხემიშის ქუბაბასთან ამჟღავნებს. ამინდის ღვთაებასთან ჭექა-ქუხილის ნიშანია გამოსახული. ფიგურათა ზემოთ ფრთიანი მ'ხის დისკო მოჩანს. სტელის ორივე მხარეს წარწერის კვალია შემორჩენილი: ქალღმერთის მხარეს KUBABA იკითხება. მ. ვიეირმა ღვთაების მეორე მხარეს სახელი RUTA ამოიკითხა.

ჩვენამდე ბაზალტის ერთმა სტელამაც მოაღწია. იგი ნიღდეს მუზეუმში ინახება. სტელაზე ტახტზე მჯდომი ქუბაბას და მის გვერდით ქალღმერთის წმინდა ცხოველის – წამოწოლილი ლომის გამოსახულებებია აღბეჭდილი. სტელა ძვ. წ. VIII საუკუნით თარიღდება. ირკვევა, რომ ქალღმერთის ატრიბუტად ძაღლსაც მიიჩნევდნენ. კულულუს წარწერაში აღნიშნულია: „ქუბაბას ძაღლი HASAMI, თუვათის AMURA-ს გამოეკიდოს და შეჭამოს კიდეც".

ქალღმერთი ქუბაბა ანქოსში აღმოჩენილ რელიეფზეცაა გამოსახული. ის ტახტზე ზის და პროფილშია წარმოდგენილი. წელზე ექვსი ფოჩით დამშვენებული ქამარი უკეთია. სამაჯურზე მედალიონი მოჩანს. მარცხენა ხელში თითისტარი უჭირავს. ფიგურა მსგავსებას ქარხემიშისა და მალატიის რელიეფებთან ამჟღავნებს. შესაძლოა, აღნიშნული თითისტარი როგორც ქალღვთაების ატრიბუტი, საკრალური მნიშვნელობის იყოს, ან ქალღვთაების საოჯახო საქმიანობის – რთვისა და ქსოვის მფარველობის ფუნქციაზე მიგვანიშნებდეს.

ქარხემიშის იეროგლიფურ-ლუვიური წარწერების ავტორები ქუბაბას „ქალბატონს" და „ქარხემიშის დედოფალს" უწოდებენ. ე. პორადას მიერ ძვ.წ. VIII ს-ით დათარიღებულ ერთ-ერთ საბეჭდავზე ქუბაბა nawaralis-ის ეპითეტით მოიხსენიება*. ჯ. ჰოვკინსის ვარაუდით, ქუბაბა ქარხემიშის გარეთ, ხეთური სამყაროს მიერ უცხო ღვთაების სახით იყო შეთვისებული.

როგორც იეროგლიფურ-ლუვიური წარწერებიდან და მონუმენტურ ქანდაკებებზე დატანილი გამოსახულებებიდან ირკვევა, ქუბაბას ძღვენის სახით „წმინდა საჩუქრებს" მიართმევდნენ, რომელთაც სამსხვერპლო ტაბლაზე ათავსებდნენ. ქუბაბას ყოველწლიურად თითო ხარსა და ცხვარს, მათთან ერთად პურსაც სწირავდნენ. ქარხემიშის მეფე ქათუვასის მოწმობით: „ქარხუხას (სწირავენ) ერთ ხარს და ერთ ცხვარს, ქუბაბას ერთ ხარს და ერთ ცხვარს, Sarkus-ს

---

* იეროგლიფურ-ლუვიურში warali "საკუთარს" ნიშნავს, ხოლო niwarali მისი უარყოფითი ფორმაა და შესაბამისად "არასაკუთარს" აღნიშნავს. nawarali, ამ შემთხვევაში niwarali-ს ფონეტიკური ან ორთოგრაფიული ვარიანტია. ჯ. ჰოვკინსი nawarali-ს თარგმნის – forcign (უცხო, უცხოელი).

ერთ ხარს და KUTUPI-ის, მამაკაც ღვთაებებს ერთ ცხვარს და ქალღვთაებებს [ერთ ცხვარს]".

ქუბაბასათვის შესაწირავზე ქუმუხის ერთ-ერთი დედოფლის იეროგლიფურ-ლუვიური წარწერებიც მოგვითხრობს, სადაც აღნიშნულია პანამუვათისის, მეფე სუფილულიუმას (ძვ.წ. 803-773 წწ.) მეუღლის მიერ ქუბაბასათვის ტახტრევანისა და შეწირულებისათვის განკუთვნილი მაგიდის მიძღვნის შესახებ.

ქუბაბას და კიბელას გამოსახულებები დიდ ურთიერთმსგავსებას აელენს: ორივე ეს ღვთაება ტახტრევანზე ზის ორ ლომს შორის. ვ. ივანოვის თვალსაზრისის თანახმად, ქუბაბა (და მოგვიანებით – კიბელა) ნაყოფიერების კულტის ძველ მცირეაზიურ იმ ტრადიციებს აგრძელებენ, რომლებიც სათავეს ჩათალ-ჰუიუქის (ძვ. წ. VI ათაწლეული) კულტურაში იღებენ[42].

იეროგლიფურ-ლუვიურ ღვთაებათა წარმომადგენელია Santa „მეფე". იგი ძვ. წ. II-I ათასწლეულების ფირფიტებსა და საბეჭდავებზე არაერთგზისაა დამოწმებული. სანტას უძველესი მოხსენიება ძველასურულ სავაჭრო კოლონიების დროინდელ ფირფიტაზე დასტურდება. ხეთების დროს, მას თაყვანს ქიცუვათნას ქალაქებში (კილიკია და კომაგენე) სცემდნენ, რასაც Zarpiya-ს (ქიცუვათნას მკურნალი) რიტუალის ჩანაწერიდან ვიგებთ[43].

ლუვიურ ქიცუვათნასთან (კილიკია) ახლო გეოგრაფიული მდებარეობის გამო აღმოსავლეთი კაპადოკია წარმოადგენდა იმ რეგიონს, რომელშიც საუკუნეთა მანძილზე ინტენსიურად უნდა განხორციელებულიყო ხეთურ-ლუვიური ეთნო-კულტურული კონტაქტები. მრავალწლიანი კვლევა-ძიების შედეგად ცნობილი გახდა, რომ ხეთურ სამყაროში ლუვიურის ერთ-ერთი ძლიერი ნაკადი სწორედ ქიცუვათნა-კილიკიიდან მოდიოდა. ამის საუკეთესო მოწმობაა

მდ. ჰალისის (დღევ. ყიზილ-ირმაკი) აუსში იეროგლიფურ-ლუვიური დამწერლობისა და ეპიგრაფიკული ძეგლების ადრეულ ხანაშივე გამოჩენა, ღვთაებათა პანთეონის გაბატონებული მდგომარეობა და ასახვა[44].

ხეთური ტექსტების თანახმად, სანტა დამცველი ღვთაებაა, გაიგივებულია მარდუქთან და იმავე ტექსტებში სახელი სანტა მარდუქის ლოგოგრამით იწერებოდა. კულულუს წარწერებში ის მიწისქვეშა სამყაროს ღვთაებაა, ზარპუას რიტუალში იგი სასიკვდილო ავადმყოფობების ღვთაებად ჩანს. სანტა, ამ მხრივ, ძველშუამდინარულ მიწისქვეშა ღვთაება ირასთან სიახლოვეს ამჟღავნებს. ამ შემთხვევაში ორივე ღვთაება ომისა და ჟამიანობის ფუნქციების მატარებლად წარმოდგება.

სანტას გამოსახულება ასურულ ცილინდრულ საბეჭდავზე და სინაქერიბის მეფობის დროინდელ მალტის კლდის რელიეფზეა აღბეჭდილი. ცილინდრული საბეჭდავი ძვ. წ. 709წ. თარიღდება. ორივე ნიმუშზე ღვთაება ვერძზე (რქიანი ცხოველი მოკლე ფეხებითა და გრძელი ტანით) დგას. სანტას გრძელი კაბა აცვია, თავზე დისკო მოჩანს. მის ატრიბუტს მშვილდ-ისარი წარმოადგენს.

სანტას კულტმა (ასურულად სანდა) ძველი საბერძნეთის პერიოდამდე იარსება და შემდეგ ტარსუსში გადაინაცვლა[45].

იეროგლიფურ-ლუვიურ წარწერებში ხურიტული ღვთაებები შარუმა, ქალღვთაება ხეფათი და იშთარი არაერთგზის მოიხსენიება.

ტოპადას წარწერის ავტორი თაბალის მეფე ვასურმე გვამცნობს: „ჩემი უფალი თარხუნთი, აგრეთვე შარუმა, X და V... წინ მიმიძღვიან". აქვე ისიცაა ნათქვამი, რომ მათ ხელისუფლება უწყალობეს[46]. მალატიის მმართველი სულუმალი "დიდ ღვთაებებს" მიმართავს, მათ შორის კი,

ქალღვთაება ხეფათსა და ღვთაება შარუმას. ტექსტის თანახმად, მეფე სწორედ მათ განადიდებს.

სამწუხაროდ, ჯერჯერობით, მათი გამოსახულებები არ მოგვეპოვება. არც მათი ტაძრების ნაშთებმა მოაღწიეს ჩვენამდე და არც მათთვის შესაწირავის შესახებ ვიცით რამე.

როგორც ცნობილია, ხეთური პანთეონი ხურიტიზებული იყო. ამინდის ღვთაება თეშუბია, ხოლო მის მეუღლესთან, არინას მზის ქალღმერთთან თეშუბის ცოლი ხეფათი გაიგივდა. მათი შვილი შარუმა კი, ნერიქისა და ციფალანდას ჭექა-ქუხილის ღვთაებებთან (ტაროსისა და არინას მზის ქალღმერთის შვილებთან) ასოცირდება[47]. მალატია VII-ის სტელაზე შარუმა „მთის მეფის" ეპითეტით მოიხსენიება.

გვიანხეთური ხანის თაბალის ტერიტორიაზე (ჩიფლიქსა და კულულუში) აღმოჩენილ წარწერებში ქალღმერთ ხეფათის მეუღლედ უზენაესი ღვთაება თარხუნთია წარმოდგენილი[48]. ვფიქრობ, ეს წარწერა ხეთური პანთეონის გამოძახილია.

გვიანხეთური ხანის პანთეონში ხარანის მთვარის ღვთაებაც ფიგურირებს. ხარანის მთვარის ღვთაება ბულღარ-მადენის, ყარაბურნას, სულთანხანის, კულულუს წარწერებში[49] წამყვან ღვთაებებთან მოიხსენიება, რაც ჩრდილოსირიულ პანთეონთან თაბალურის სიახლოვეზე უნდა მიუთითებდეს.

გვიანხეთურ ხანაში, კუმუხში მთვარის ადგილობრივი ღვთაება Sin იყო. მართალია, ამ ადგილობრივი ღვთაების შესახებ იეროგლიფურ-ლუვიური წარწერებში მითითებები არ მოგვეპოვება, მაგრამ ჩვენს ხელთაა ცილინდრული საბეჭდავი, რომელიც სამსათში აღმოჩნდა. მასზე გამოსახუ-

ლი ღვთაება ნავზე დგას. მას ხელში მთვარე, ომეგას სიმბოლო? უჭირავს და მეფე თაყვანსცემს[50].

იეროგლიფურ-ლუვიურ წარწერებში ერთხელაა მოხსენიებული ბაბილონური ღვთაება Nakaruha, რომელსაც მცველებად ძაღლები ჰყავს. ძაღლები ბოროტმოქმედი ადამიანის თავს ჭამენ.

წერილობით ძეგლებში ასევე ცისა და მიწის მდედრობითი და მამრობითი ღვთაებები, მზის უმაღლესი ღვთაება და მზის ღვთაება მოიხსენიება. მათი ატრიბუტიკისა და კონკრეტული ფუნქციების შესახებ არაფერი ვიცით, ცნობილია, რომ ზემოხსენებული ღვთაებები მეფე-მთავრებისადმი მფარველობასა და კურთხევას არ იშურებდნენ.

როგორც ვხედავთ, ზემომოყვანილი ცნობები მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდიან გვიანხეთური სამყაროს (ძვ. წ. IX-VIIIსს.) პანთეონის შესახებ.

---

1. ხაზარაძე ნ., საქართველოს ძველი ისტორიის ეთნო-პოლიტიკური პრობლემები, თბილისი, 1984, გვ. 113-114; Macqueen J. D. Hattian mythology and Hittite monarchy AnSt, vol IX, 1959, p. 178.
2. Meriggi P. Manuale Di Eteo Geroglifico, Parte II: Testi 1a Serie, Roma, 1967, №30; Testi-2a E 3a Serie, Roma, 1975, №122; III Serie Testi antichi, № 12.
3. Meriggi P. დასახ. ნაშრ., Tersti -1a Serie, P.15, 58.
4. Şahin M., Neue Beobachtungen zum Felsrelief von Ivriz/Konya, AnSt, vol 49, 1999, p. 176.

5. ხახარაძე ნ. TRH-(თარხუნთი)-გეიანხეთური პანთეონის უსაჯ-ნაესი ღვთაება, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XXIV, თბილისი, 2001, გვ. 60; Meriggi P., დასახ. ნაშრ., №30.
6. AnSt, vol 49, p. 166.
7. Barnett R. D., Beiträge zur Atertumstunde Dionysos, Isr Mitt 38, 1988, p. 179-187; იხ. AnSt, vol 49, p. 165-170.
8. Şahin M. , დასახ. ნაშრ., გვ. 168.
9. Gurney O. R., Some Aspects of Hittite Religion, Oxford, 1977, p. 31
10. Petrie W. M. F. , Tools and Weapons, London, 1917, p. 46.
11. რუხაძე ჯ., ხალხური აგრიკულტურა დასავლეთ საქართველოში, თბილისი, 1976, გვ. 143, 160, 164; Брегадзе Н., Очерки по агроэтнографии Грузии, Тбилиси, 1982, с. 153, 161.
12. უმიკაშვილი პ., ხალხური სიტყვიერება, ნაწილი პირველი, ტფილისი, 1937, გვ. 332.
13. იქვე, გვ. 333.
14. აფაქიძე ა., ბაკურციხის არქეოლოგიური ძეგლები, საკან-დიდატო დისერტაცია, თბილისი, 1940, გვ. 63-69; Куфтин Б. А., К вопросу о древнейших корнях Грузинской культуры на Кавказе по данным археологии, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. XIV-B. თბილისი, 1944; ბოხოჩაძე ა., მევენახეობა-მეღვი-ნეობა ძველ საქართველოში არქეოლოგიური მასალების მიხედვით, თბილისი, 1963, გვ. 51.
15. Şahin M. , დასახ. ნაშრ., გვ. 176.
16. იქვე, გვ. 174.
17. Hawkins J. D., Kuzi-Tešub and the "Great Kings" of Karkamiš, AnSt, vol 38, 1988, p. 109.
18. Şahin M., დასახ. ნაშრ., გვ. 172.
19. Petrie W. M. F. დასახ. ნაშრ., გვ. 36.
20. გიორგაძე გ., ათასი ღვთაების ქვეყანა, თბილისი, 1988, იხ. სურათი XXIV.
21. ხახარაძე ნ., ძველანატოლიურ სამყაროსთან ქართველთა ეთნოკულტურული ურთიერთობის ისტორიიდან, ქართველური მემკვიდრეობა, ქუთაისი, 2002, გვ. 251.

22. ხაზარაძე ნ., დასახ. ნაშრ., გვ. 258.
23. Meriggi P., Manuale Di Eteo Geroglifico, Parte II: Testi 2a E3a Serie, 114, 122, 123.
24. Meriggi P., დასახ. ნაშრ., PartеII: Testi 1a Serie, p. 102, 107, 131; Testi-2a E 3a Serie, p. 32, 37, 46, 50, 54, 55, 58, 59, 68.
25. Meriggi P., Hieroglyphisch-Hethitisches Glossar, Wiesbaden, 1962, p. 102; ხაზარაძე ნ., TRH (თარხუნთი)-გვიანხეთური პანთეონის უზენაესი ღვთაება, მასალები..., გვ. 56.
26. Meriggi p., Manuale..., Testi 1a Serie, p. 107.
27. იქვე, გვ. 131.
28. Meriggi P., Testi 2a E 3a Serie, p. 32, 37, 59.
29. Meriggi P., Testi 2a E 3aSerie, p. 51, 53, 54.
30. ხაზარაძე ნ., გვიანხეთური ხანის აღმოსავლეთ კაპადოკიის ანთროპონიმიკისათვის, ონომასტიკა, I, თბილისი, 1987, გვ. 366; Meriggi P., Hieroglyphisch-Hethitisches Glossar, p. 102, 103, 175.
31. Vieyra M. Hittite Art, London, 1955, p. 65.
32. Meriggi P., Hieroglyphisch-Hethitisches Glossar, p. 179.
33. Wagner J. Hellenkemper H., A late Hittite rock-relief on the river Karasu, AnSt, vol XXVII, 1977, p. 169, 170, 172.
34. გიორგაძე გ., დასახ. ნაშრ., გვ. 141.
35. Wagner J. Hellenkemper H., A late Hittite rock-relief on the river Karasu, AnSt, vol XXVII, p. 173.
36. Meriggi P., Hieroglyphisch-Hethitisches Glossar, p. 49.
37. ვირსალაძე ე., ქართული სამონადირო ეპოსი, თბილისი, 1964, გვ. 29; სურგულაძე ი., მითოსი, კულტი, რიტუალი საქართველოში, თბილისი, 2003, გვ. 22.
38. იქვე, გვ. 29.
39. იქვე, გვ. 32.
40. Meriggi P., Hieroglyphisch-Hethitisches Glossar, p. 122; Houwink Ten Cate, The Luwian Population Groups of Licia and Cilicia Aspera during the Hellenistic Period, 1963, p. 125, 127, 136; ხაზარაძე ნ., აღმოსავლეთ მცირე აზიის ეთნიკური და პოლიტიკური გა-

ერთიანებები ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში, თბილისი, 1978, გვ. 23.
41. Meriggi P., Manuale Di Eteo Geroglifico, Partell: Testi 1a Serie, p. 48, 53, 55, 100, 115 და სხვა.
42. Иванов В. В. , Кубаба, Мифологический словарь, Москва, 1990, с. 295; იხ. დაწვრილებით, ხაზარაძე ნ., ბახსოლიანი ნ., ქუბაბა (DKubaba) გვიანხეთური ხანის აღმოსავლეთ მცირე აზიის ქალღმერთი, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XV, თბილისი, 2005, გვ. 312-317.
43. Dalley S., Senacherib and Tarsus, AnSt, vol 49, p. 75.
44. ხაზარაძე ნ., გვიანხეთური ხანის აღმოსავლეთ კაპადოკიის ანთროპონიმიკისათვის, ონომასტიკა I, გვ. 369.
45. Герни О. Р., Хетты, Москва, 1987, с. 130.
46. Hawkins J. D., Kubaba at Karkamiš and elsewhere, AnSt, vol XXXI, 1981, p. 169, 172.
47. Dalley S., დასახ. ნაშრ., გვ. 74.
48. ხაზარაძე ნ. TRH (თარხუნთი)-გვიანხეთური პანთეონის უზენაესი ღვთაება, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XXIV, გვ. 58.
49. Meriggi P. დასახ. ნაშრ., Parte II: Testi 1a Serie, №25, 26, 30.
50. Mellink M. J. Archaeology in Anatolia, AJA, vol 89, №4 1985, p. 554.

НАНА БАХСОЛИАНИ

ВЕЛИКАЯ КАППАДОКИЯ В ПЕРВОЙ ПОЛОВИНЕ I ТЫСЯЧЕЛЕТИЯ ДО Н.Э.

Проводимые нами изыскания приводят к следующему заключению:

Сопоставление первоисточников, эламского и аккадского вариантов древнеперсидских текстов, комплексное изучение письменных источников античной эпохи показали, что соседями Великой Каппадокии являлись страны: Армения (Урарту), Киликия, Лидия, Фригия и Пафлагония. Для установления исторических границ Великой Каппадокии имеет значение и то, что часто в письменных источниках античной эпохи наряду с Каппадокией часто фигурируют Тавр, Понтийские горы и река Галис (нынешн. Кызыл-Ирмак). Кроме историко-географических сведений, источники древневосточной и античной эпохи содержат ценные указания по политической истории позднехеттских государств Великой Каппадокии.

Нами разделено соображение учёных о том, что ареалом расселения отдельных картвельских племён (мосхи, месхи) являлась Великая Каппадокия. Как выясняется, с точки зрения изучения древнейшей истории месхов Библия является весьма важным источником. Она содержит прямые указания на происхождение, локализацию и этно-политическое окружение мешех-мосох-а. Комплексное изучение Библии и трудов позднейших комментаторов Библии и их сравнительный анализ позволили нам убедиться в том, что территорией расселения мушк-мешех-мосох-а, наряду с различными этническими единицами, на протяжении I тыс. до н.э. являлась именно Великая Каппадокия.

На основе изученных нами ассирийских клинописных надписей освещены некоторые аспекты истории царств и политических объединений позднехеттской эпохи, располагавшихся на территории Великой Каппадокии. Большинство ассирийских клинописных надписей помогают нам в историко-географическом исследовании царств и малых государств позднехеттской эпохи (Страна мушков, Мелиду, Табал, Хилакку, Тухан, Туна, Шинухту, Гургум, Куммух). В текстах обнаруживаются сведения о локализации и границах интересующих нас «стран» и «поселений», об их окружении (близлежащих странах). «Анналы» ассирийских царей содержат богатую информацию о внутренней и внешней политической истории этно-политических объединений позднехеттской эпохи, о взаимоотношениях Ассирии и её провинций, о её экономическом развитии (согласно спискам добычи и дани, представленным в разных надписях). Заслуживает внимания и зафиксированный в ассирийских памятниках ономастический материал.

Изучение урартских клинописных надписей позволило нам сделать следующее заключение: царства позднехеттской эпохи Мелитеа и Куммух, территориально близлежащие к Урарту, часто становились объектами нашествий урартских царей. Урартские клинописные надписи содержат интересные сведения об отношениях Урарту и Ассирии, данные о политической и историко-географической характеристике этих царств.

Наряду с ассирийскими клинописными надписями, иероглифическо-лувийские надписи также восполняют наши знания в деле изучения политической и социально-экономической истории царств и малых государств позднехеттской эпохи, вопросов их локализации. Иероглифическо-лувийские надписи представляют собой неоценимый источник для установления хронологии и ономастики упоминаемых в них царей.

Таким образом, на основе добытых в результате археологических раскопок материалов мы можем судить о градостроительстве, ремесленничестве (гончарное дело), монументальном зодчестве, природных месторождениях, дорогах, административном правлении (имеются в виду печатки), хозяйственной деятельности (согласно зоо- и ботаническим материалам) Великой Каппадокии 1-й половины I тыс. до н.э.

Комплексное изучение ассирийских и урартских клинописных надписей показало нам, что царства и малые государства позднехеттской эпохи 1-й половины I тыс. до н.э. оказались вовлечёнными в борьбу двух империй того времени – Ассирии и Урарту, которая была обусловлена желанием завладеть стратегическими торговыми и военными путями, проходившими на территории Великой Каппадокии. Из вышеупомянутых письменных источников явствует, что сначала Ассирия, а позже Урарту и киммерийцы совершали набеги на царства и политические объединения позднехеттской эпохи и покоряли их. Хотя, указанные действия носили эпизодический характер.

Иероглифическо-лувийские надписи на сегодняшний день являются единственным источником для изучения позднехеттского пантеона. В текстах преимущественно встречаются имена лувийских божеств – Тархунт, Рува, Кубаба, Шарума, Санта. Выясняется, что Тархунт, приносящий плодородие и вызывающий гром и молнию, – верховное божество, Рува – божество-покровитель зверей и охоты, богиня Кубаба также олицетворяет плодородие и выполняет спасительную функцию. В иероглифическо-лувийских надписях содержатся сведения о жертвоприношении божеству, поклонении ему, выполнении в его честь ритуалов, строительстве храмов и т.д., что позволяет нам судить о позднехеттском пантеоне.

NANA BAKHSOLIANI

GREAT CAPPADOCIA IN THE FIRST HALF OF THE 1ST MILLENNIUM BC

On the basis of the carried out research the following conclusions have been drawn:

The term *Cappadocia* is recorded for the first time in the Elamite and Akkadian variants of Old Persian cuneiform texts. As a result of the study of the Old Persian and Classical period written sources, it has been established that the neighbouring countries of Great Cappadocia were Armenia (Urartu), Cilicia, Lydia, Phrygia and Paphlagonia. For ascertaining the historical boundaries of Great Cappadocia it is also significant that *Tauros, the Pontus Mountains* and *the Halys River* (the present Kizil-Irmak) are often found together with it in written sources of the Classical period.

It also becomes clear from the conducted research that along with historical-geographical evidence, Old Oriental and Classical period sources contain noteworthy information for the political history of the Late Hittite kingdoms and principalities of Great Cappadocia.

The present author shares the supposition of scholars that Great Cappadocia was the area of settlement of separate Kartvelian tribes (the Meskhs). It turns out that the Bible contains direct evidence concerning the origin, localization and ethno-political environment of the Meskhs (Muški-Meshekh-Mosokh). The study and comparison of the Mtskheta manuscript of the Bible and works of later commentators of the Bible have demonstrated that during the 1st millennium BC the area of settlement of the Meskhs (Muški-Meshekh-Mosokh), together with different ethnic entities, was exactly Great Cappadocia.

On the basis of the studied Assyrian cuneiform inscriptions, several noteworthy aspects of the history of the kingdoms and

principalities of the Late Hittite period located on the territory of Great Cappadocia are identifiable. The majority of Assyrian cuneiform inscriptions assist in the study of the historical-geographical character of the Late Hittite kingdoms and principalities (Melidu, Kammanu, Tabal, Ḫilaku, Tuḫana, Tuna, Šinuḫtu, Muški, Gurgum, Kumukh). Interesting evidence in the texts provides significant information concerning the localization of particular "countries" and "settlements", their border line and nearby "countries". The *annals* of Assyrian kings contain noteworthy factual material on the internal and foreign political history of Late Hittite kingdoms and principalities, the relationship between Assyria and its provinces. In the context of the evidence of the trophy and tribute recorded in the same inscriptions it becomes possible to offer a more or less full picture of the kingdoms and principalities and to reconstruct the onomastics of Cappadocia of the Late Hittite period.

Urartian cuneiform inscriptions complement to a considerable degree the data of the Assyrian texts on Great Cappadocia of the Late Hittite period. The evidence which render assistance in the reconstruction of the history of the countries of the Euphrates area (Melitea, Kumaḫa, Ḫate-Ḫatinili) is especially noteworthy.

Hieroglyphic Luwian inscriptions, the majority of which have been discovered on the territory of Great Cappadocia, along with Assyrian cuneiform inscriptions, represent a significant written historical source for the study of the localization of the Late Hittite kingdoms and principalities, the political, social-economic and religious history. At the same time, these written monuments provide invaluable information for the reconstruction of the chronology of the kings of separate political entities and demonstration of the full picture of the onomasticon of the Late Hittite period.

Precisely on the basis of the materials obtained as a result of archaeological excavations it is possible to discuss at present town-

planning, artisanship (pottery), monumental sculptures, roads, natural deposits and furnaces, administrative government (stamps), household activities (zoo and botanical materials) of Great Cappadocia of the first half of the 1st millennium BC.

The study of Assyrian and Urartian inscriptions has shown that the Late Hittite kingdoms and principalities of the first half of the 1st millennium BC were involved in the battles waged by two empires (Assyria and Urartu), which was due to the desire to take control of the trade and military routes of strategic importance passing through Great Cappadocia. It becomes clear from written sources that Assyria, on the one hand, and Urartu, on the other one, already together with the Cimmerians temporarily managed to capture the Late Hittite kingdoms and principalities.

Hieroglyphic Luwian inscriptions so far are the only source for the demonstration of the pantheon of the Late Hittite period. Mostly the names of Luwian deities – Tarḫunt, Ruwa, Kubaba, Šaruma, Santa – occur in texts. It turns out that Tarḫunt, the god of thunder and fertility, mentioned in the inscriptions, is the supreme deity, Ruwa – the deity of hunting and protector of animals, goddess Kubaba – rescuer and also the embodiment of fertility. Hurrian deity Šaruma, female deity Hefat and deity Ištar are repeatedly mentioned in hieroglyphic Luwian inscriptions.

შემოკლებათა სია

АВИИУ – Ассиро-вавилонские источники по истории Урарту.

ВДИ – Вестник Древней истории, Москва.

AJA – American Journal of Archaeology, Baltimore.

AnSt – Anatolian Studies, London, Ankara.

ARAB – D. Luckenbill, Ancient Records of Assyria and Babylonia, 1-11, Chicago, 1926-1927.

გამოყენებული პირველწყაროები
და ლიტერატურა

1. აფაქიძე ა., ბაკურციხის არქეოლოგიური ძეგლები, საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი, 1940.
2. ბოხოჩაძე ა., მეექვნახეობა-მეღვინეობა ძველ საქართველოში არქეოლოგიური მასალების მიხედვით, თბილისი, 1963.
3. "გეორგიკა", I, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, თბილისი, 1961.
4. "გეორგიკა", V, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, თბილისი, 1963.
5. "გეორგიკა" VI, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, თბილისი, 1966.
6. გიორგაძე გ., ათასი ღვთაების ქვეყანა, თბილისი, 1988.
7. გიორგაძე გ., ხეთური და ასურული ლურსმული ტექსტების ქასქების (ქაშქების) და აბეშლაელების ეთნიკური წარმომავლობისათვის, ახალციხე, 2000.
8. ვირსალაძე ე., ქართული სამონადირო ეპოსი, თბილისი, 1964.
9. მცხეთური ხელნაწერი (მოსეს ხუთწიგნეული, ისო ნავე, მსაჯულთა, რუთი), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ელ. დოჩანაშვილმა, თბილისი, 1981.
10. მცხეთური ხელნაწერი (მეფეთა I, II, III, IV; ნეშტთა I, II; ეზრას I, II, III წიგნები), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ელ. დოჩანაშვილმა, თბილისი, 1982.

11. მცხეთური ხელნაწერი (ეკლესიასტე, სიბრძნე სოლომონისა, ქება ქებათა სოლომონისა, წინასწარმეტყველთა წიგნები – ესაია, იერემია, ბაქური, ეზეკიელი), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ელ. დოჩანაშვილმა, თბილისი, 1985.
12. რამიშვილი პ., ძველასურელ ვაჭართა საქმიანობის ამსახველი "კაპადოკიური" ფირფიტები ქიულთეფე/ქანესიდან, კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული, X, თბილისი, 2001.
13. რუხაძე ჯ., ხალხური აგრიკულტურა დასავლეთ საქართველოში, თბილისი, 1976.
14. სურგულაძე ი., მითოსი, კულტი, რიტუალი საქართველოში, თბილისი, 2003.
15. უმიკაშვილი პ., ხალხური სიტყვიერება, ნაწილი პირველი, ტფილისი, 1937.
16. ყაუხჩიშვილი თ., ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, V, თბილისი, 1963.
17. ყაუხჩიშვილი თ., ჰეროდოტეს ცნობები საქართველოს შესახებ, თბილისი, 1960.
18. ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია, თბილისი, 1988.
19. ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ქრესტომათია, თბილისი, 1990.
20. ხაზარაძე ნ., აღმოსავლეთ მცირე აზიის ეთნიკური და პოლიტიკური გაერთიანებები ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში, თბილისი, 1978.
21. ხაზარაძე ნ., ბიბლია და მესხების უძველესი ისტორია, მესხეთი, ისტორია და თანამედროვეობა, ახალციხე, 2000.

22. ხაზარაძე ნ., გვიანხეთური ხანის აღმოსავლეთ კაპადოკიის ანთროპონიმიკისათვის, ონომასტიკა, I, თბილისი, 1987.
23. ხაზარაძე ნ., თაბალის ქვეყნის ადგილმდებარეობისათვის, "ძველი ისტორიის საკითხები", III, თბილისი, 1970.
24. ხაზარაძე ნ., DTRH (თარხუნთი) – გვიანხეთური პანთეონის უზენაესი ღვთაება, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XXIV, თბილისი, 2001.
25. ხაზარაძე ნ., ნაგებობების აღმნიშვნელი ლუვიური იეროგლიფები, "ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში", თბილისი-ბათუმი, 2000.
26. ხაზარაძე ნ., სამხრეთ-აღმოსავლეთ მცირე აზიის ისტორიული გეოგრაფიიდან, "კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები", თბილისი, 1966.
27. ხაზარაძე ნ., საქართველოს ძველი ისტორიის ეთნოპოლიტიკური პრობლემები, თბილისი, 1984.
28. ხაზარაძე ნ., ძველანატოლიურ სამყაროსთან ქართველთა ეთნოკულტურული ურთიერთობის ისტორიიდან, ქართველური მემკვიდრეობა, ქუთაისი, 2002.
29. ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, I, თბილისი, 1951.
30. Арутюнян Н. В. Корпус Урартских клинообразных надписей, Ереван, 2001.
31. Арутюнян Н. В. Биайнили (Урарту), Ереван, 1970.
32. Арутюнян Н. В. Топонимика Урарту, Ереван, 1985.
33. Брегадзе Н., Очерки по агроэтнографии Грузии, Тбилиси, 1982.
34. Герни О. Р., Хетты, Москва, 1987.
35. Дъяконов И. М., Ассиро-вавилонские источники по истории Урарту (Далее АВИИУ), ВДИ, Москва, 2(36), 1951.

36. Дъяконов И. М., АВИИУ, ВДИ, 3(37), Москва, 1951.
37. Дъяконов И. М., Эпиграфика Востока, Москва, Ленинград, VI, 1952.
38. Иванов В. В., Кубаба, Мифологический словаръ, Москва, 1990.
39. Иванчик А. И. К вопросу об этнической принадлежности и археологической културе киммерийцев, ВДИ, 3(210), Москва, 1994.
40. Иванчик А. И., Киммерийцы, Москва, 1996.
41. Капанцян Г. А., Хайаса-колыбелъ армян, Ереван, 1948.
42. Куфтин Б. А., К вопросу о древнейших корнях грузинской културы на Кавквзе по данным археолгии, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, XIV-B. თბილისი, 1944.
43. Латышев В. В., Известия Древних Писателей о Скифии и Кавквзе, ВДИ, 1 (XIX), 1947.
44. Латышев В. В. указ. соч., ВДИ, 2(XX) , 1947.
45. Латышев В. В., указ. соч., ВДИ, 3(XXI), 1947.
46. Латышев В. В. , указ. соч., ВДИ, 4(XXII), 1947.
47. Латышев В. В., указ. соч., ВДИ, 1(XXIII), 1948.
48. Латышев В. В., указ. соч., ВДИ,2(XXIV), 1948.
49. Латышев В. В., указ. соч., ВДИ, 3(XXV), 1948.
50. Латышев В. В., указ. соч., ВДИ, 4(XXVI), 1948.
51. Латышев В. В., указ. соч., ВДИ, 1(XXVII), 1949.
52. Латышев В. В., указ.соч., ВДИ, 2(XXVIII), 1949.
53. Латышев В. В., указ. соч., ВДИ, 3(XXIX), 1949.
54. Латышев В. В., указ. соч., ВДИ, 4(XXX), 1949.
55. Манандян Я. А., О некоторых спорных проблемах истории и географии древней Армении, Ереван, 1956.
56. Меликишвили Г. А., К истории древней Грузии, Тбилиси, 1959.
57. Меликишвили Г. А., Наири-Урарту, I, Тбилиси, 1954.

58. Меликишвили Г. А., Урартские клинообразные надписи, Москва, 1960.
59. Пиотровский Б. Б., Ванское Царство (Урарту), Москва, 1959.
60. Советская историческая энциклопедия, 6, Москва, 1965.
61. Энциклопедический словарь, XIV, С-Петербург, 1895.
62. Alp S. Eine Sphinxvase aus Karahöyuk Bei Konya, Anadolu, XXI, Ankara, 1987.
63. Arabie Bible, Beirut, 1966/77.
64. Astour M., "Assur", 2/3, London, 1979.
65. Bahar H., The Konya region in the Iron Age and its relation with Cilicia, AnSt, vol 49, 1999.
66. Blaylock S. R., French D. H., Summers G. D., The Adiyaman Survey: an interim report, AnSt, vol XV, 1965.
67. Brockhaus Enzyklopadie, Wiesbaden, 9, 1970.
68. Crespin A. S., Between Phrygia and Cilicia: The Porsuk area at the beginning of the iron age, AnSt, vol 49, 1999.
69. Dalley S., Sennacherib and Tarsus, AnSt, vol 49, 1999.
70. Delaporte J., Malatya, Paris, 1940.
71. Del Monte G. F., Tischler J., Die Orst-und Gewässernamen der hethitischen Texte, Bund 6, Wiesbaden, 1978.
72. Diakonoff I. M., S. M. Kashkai, Geographical Names According to Urartian Texts, Wiesbaden, 1981.
73. Enciclopedia Italiana, VII, Roma, 1949.
74. French D. H., Excavations at Can Hasan, AnSt, vol XV, 1965.
75. Garstang J., Gurney O. R., The Geography of the Hittite Empire, London, 1959.
76. Grand Larousse encyclopedique, 2, 1960.
77. Gurney O. R., Some Aspects of Hittite Religion, Oxford, 1977.
78. Çilingiroğlu A., French D. H., Roller L. E., Anatolian Iron Ages, AJA, vol 98, №4, 1994.

79. Hansen C. K., Postgate J. N., The bronze to iron age transition at Kilise Tepe, AnSt, vol 49, 1999.
80. Hawkins J. D., Kubaba at Karkamiš and elsewhere, AnSt, volXXXI, 1981.
81. Hawkins J. D., Kuzi-Tešub and the "Great Kings" of Karkamiš, AnSt, vol XXXVIII, 1988.
82. Hawkins J. D., The lower part of the Meharde stele, AnSt, vol XXXVIII, 1988.
83. Hawkins J. D., The Kululu lead strips economic documents in hieroglyphic luwian, AnSt, vol XXXVII, 1987.
84. Hawkins J. D., Some Historical Problems of the Hieroglyphic luwian Inscriptions, AnSt, vol XXIX, 1979.
85. Hellenkemper H., Wagner J. D, A late Hittite rock-relief on the river Karasu, AnSt, vol XXVII, 1977.
86. Kalaç M., Hawkins J. D., The hieroglyphic luwian rock-inscription of Malpinar, AnSt, vol XXXIX, 1989.
87. Kent R. G., Old Persian, New Haven, 1953.
88. Kiepert H., Lenrbuch der Alten Geographie: Klein Asien. Cramer description of Asia Minor, vol 2, Oxford, 1832.
89. La Grande Encyclopedie, Larousse, vol 4, 1972.
90. Macqueen D., Hattian mythology and Hittite monarchy, AnSt, vol IX, 1959.
91. Mcgovern P. E., Science in Archaeology: A Review Hongo H., Meadow R. H., faunal Analysis with a Focus on Anatolia, AJA, vol 99, №1, 1995.
92. Mellink M. J., Archaeology in Asia Minor, AJA, vol 59, №3, 1955.
93. Mellink M. J., Archaeology in Asia Minor, AJA, vol 72, №2, 1968.
94. Mellink M. J., Archaeology in Asia Minor, AJA, vol 73, №2, 1969.
95. Mellink M. J., Archaeology in Asia Minor, AJA, vol 62, №1, 1958.
96. Mellink M. J., Archaeology in Asia Minor, AJA, vol 64, №1, 1960.

97. Mellink M. J., Archaeology in Asia Minor, AJA, vol 74, №2, 1970.
98. Mellink M. J., Archaeology in Asia Minor, AJA, vol 78, №2, 1974.
99. Mellink M. J., Archaeology in Asia Minor, AJA, vol 81, №3, 1977.
100. Mellink M. J., Archaeology in Asia Minor, AJA, vol 83, №3, 1979.
101. Mellink M. J., Archaeology in Asia Minor, AJA, vol 85, №4, 1981.
102. Mellink M. J., Archaeology in Asia Minor, AJA, vol86, №4, 1982.
103. Mellink M. J., Archaeology in Asia Minor, AJA, vol 87, №4, 1983.
104. Mellink M. J., Archaeology in Asia Minor, AJA, vol 88, №4, 1984.
105. Mellink M. J., Archaeology in Asia Minor, AJA, vol 89, №4, 1985.
106. Mellink M. J., Archaeology in Asia Minor, AJA, vol 92, №1, 1988.
107. Mellink M. J., Archaeology in Asia Minor, AJA, vol 93, №1, 1989.
108. Mellink, M. J., Archaeology in Asia Minor, AJA, vol 94, №1, 1990.
109. Mellink M. J., Archaeology in Asia Minor, AJA, vol 95, №1, 1999.
110. Meriggi P., Hierolgyphisch-Hethitisches Glossar, Wiesbaden, 1962.
111. Meriggi P. Manuale Di Eteo Geroglifico, Parte II: Testi-1a Serie, Roma, 1967.
112. Meriggi P., Manuale Di Eteo Geroglifico, Parte II: Testi 2a E3a Serie, Roma, 1975.
113. Petrie F. W. M., Tools and Weapons, London, 1917.
114. Resent Archaeological Research in Turkey, AnSt, vol XVI, 1966.
115. Recent Archaelogical Research in Turkey, AnSt, vol XIX, 1969.
116. Recent Archaeological Research in Turkey, AnSt, vol XX, 1970.
117. Resent Archaeological Research in Turkey, AnSt, vol XXI, 1971.

118. Resent Archaeological Research in Turkey, AnSt, vol XXII, 1972.
119. Resent Archaeological Research in Turkey, AnSt, vol XXIII, 1973.
120. Resent Archaeological Research in Turkey, AnSt, vol XXIV, 1974.
121. Resent Archaeological Research in Turkey, AnSt, vol XXV, 1975.
122. Resent Archaeological Research in Turkey, AnSt, vol XXXII, 1982.
123. Resent Archaeological Research in Turkey, AnSt, vol XXXIII, 1983.
124. Resent Archaerological Research in Turkey, AnSt, vol XXXV, 1985.
125. Resent Archaeological Research in Turkey, AnSt, vol XXXVII, 1987.
126. Sams G. K., Phrygian painted animals: Anatolian Orientalizing Art, AnSt, vol XXIV, 1974.
127. Şahin M., Neue Beobachtungen zum Felsrelief von Ivriz/Konya, AnSt, vol 49, 1999.
128. Summary of Archaeological work in Turkey, AnSt, vol IV, 1954.
129. Summary of Archaeological work in Turkey, AnSt, vol VIII, 1958.
130. Summary of Archaeological work in Turkey, AnSt, vol XI, 1961.
131. Syrian Patriarchate, Damascus, 1979.
132. The New Encyclopædia Britanica (in 30 volumes), MicropÆdia, vol II, 1979.
133. Vieyra M., Hittite Art, London, 1955.
134. Watkins T., Excavations at Pinarbaşi, Anatolian Archaeology, Ankara, vol I, 1995.

რ ე ც ე ნ ზ ი ე ბ ი

ნანა ბახსოლიანის მონოგრაფიაზე: „დიდი კაპადოკია ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში", თბილისი, 2008

გვიანხეთური ხანის მცირე აზიის ისტორიის შესწავლას ქართულ ისტორიოგრაფიაში ამჟამად საკმაოდ მკვიდრი საფუძველი აქვს შექმნილი პროფესორ ნანა ხაზარაძის უმნიშვნელოვანესი გამოკვლევების წყალობით. ჩვენი ისტორიის ადრეული პერიოდისადმი, კერძოდ, ძველი ქართველი ტომების განსახლების ტერიტორიისადმი მიძღვნილ ნაშრომებს ნანა ბახსოლიანის სარეცენზიო ნაშრომის სახით კიდევ ერთი სერიოზული მონოგრაფიული გამოკვლევა შეემატა.

როგორც მონოგრაფიის დასახელებიდან ჩანს, იგი ძვ. წ. VI საუკუნიდან „კაპადოკიად" წოდებული მცირე აზიის ცენტრალური და აღმოსავლეთის ნაწილის ეთნო-ისტორიული საკითხების შესწავლას ეძღვნება. ეს რეგიონი ოდითგანვე ხალხთა მოძრაობის არეალს წარმოადგენდა. რა ეთნიკური მოდგმისა და ენობრივი კუთვნილების ტომებს არ გაუვლიათ, უცხოვრიათ ან უბრძოლიათ ამ მხარეში. ყველას თავისი სამახსოვრო კვალი დაუტოვებია აქ ტოპონიმებისა თუ წერილობით წყაროებში დაფიქსირებული თავიანთი ნამოქმედარის აღწერილობათა სახით. ავტორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მისთვის საინტერესო საკითხების შესწავლის პროცესში მას მოუძებნია, გაუანალიზებია და საინტერესო დასკვნების გამოტანის სამსახურში ჩაუყენებია ათეულობით უძველესი წერილობითი წყაროს – ასურული და ურარტული ლურსმულის, იეროგლიფურ-ლუვიურის, ძველებრაულის, ძველსპარსული ლურსმულის,

ძველბერძნულისა და ლათინურის მონაცემები. ყურადღების მიღმა არ დარჩენია მას ენობრივი მონაცემებიც – ტოპონიმები, ჰიდრონიმები და ორონიმები. სათანადო სისრულითაა მიმოხილული კაპადოკიის ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალაც. თემატურად ეს მრავალფეროვანი, ხოლო შინაარსობრივად ერთობ საინტერპრეტაციო მასალა მოხმობილია მეცნიერული კეთილსინდისიერებისა და სამაგალითო სიღრმისეული ანალიზის დონეზე. ამიტომაც მიგვაჩნია, რომ წყაროების მიმოხილვისადმი მიძღვნილი პირველი თავი მთელი გამოკვლევის ერთ-ეროი საუკეთესო ნაწილია.

ცნობილია, რომ ხეთების სამეფოს დაცემის შემდეგ (ძვ. წ. 1200 წლის ახლო ხანები) ძველი კაპადოკიის ტერიტორიაზე არაერთი წერილი პოლიტიკური ერთეული აღმოცენდა, რომელთა არსებობა სხვადასხვა მნიშვნელობისა და ხანგრძლივობისა იყო. სწორედ ამ სამეფო-სამთავროების პოლიტიკური, ეკონომიკური და რელიგიური ცხოვრების შესწავლა დაუსახავს მიზნად ახალგაზრდა ავტორს, რაც საკმაოდ კარგად შეუსრულებია კიდეც.

წერილობითი წყაროების მონაცემთა სისრულის კვალობაზე ავტორის მიერ საკმაო სიზუსტითაა აღდგენილი გვიანხეთურ ხანაში (ძვ. წ. IX-VIII სს.) კაპადოკიის ტერიტორიაზე არსებული სამეფო-სამთავროების როგორც ისტორიული საზღვრები, ასევე პოლიტიკური ცხოვრების სურათიც. ამ სამეფო-სამთავროთაგან აღსანიშნავია მელიდუსა და გურგუმის სამეფოები, ანდა კამანუს, ხილაქუს, თუნას, თუხანის, შინუხთუსა და კუმუხის სამთავროები. მათ შორის, გასაგები მიზეზების გამო, ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მუშქებისა და თაბალების მეთაურობით ჩამოყალიბებული სამეფოები, რომელთა პოლიტიკური

სახე საკმაო სტაბილურობით გამოიკვეთებოდა კაპადოკიის მთელს გარემოში ძვ. წ. IX-VII საუკუნეების მანძილზე.

ნანა ბახსოლიანი კიდევ ერთხელ საგანგებოდ გახაზავს ჯერ კიდევ ძვ. წ. XII საუკუნის ასურეთის მეფის – თიგლათფილესერ I-ის წარწერებში მხნე, მეომარ ტომად მოხსენიებული მუშქების სახელის იდენტურობას ძველებრაული და ძველბერძნული წყაროების მეშეხ-მოსოხ-მესხთან. იმ გარემოებასაც ითვალისწინებს, რომ ძვ. წ. IX საუკუნიდან მუშქები უკვე კაპადოკიაში გვხვდებიან საკმაოდ მტკიცე სახელმწიფოებრივი კონსოლიდაციითა და სამეფო დინასტიის ხანგრძლივი გენეალოგიური უწყვეტობით.

ავტორი ასევე ნათლად წარმოგვიჩენს თაბალის ხანგრძლივი ისტორიის (ძვ. წ. IX-VII სს.) ცალკეულ ეპიზოდებს, განსაკუთრებით კი, თაბალის სამეფო დინასტიის გენეალოგიურ სტრუქტურას, ქვეყნის ადმინისტრაციული მოწყობის წესს, სამხედრო საქმის განვითარების დონეს, ეკონომიკური ცხოვრებისათვის დამახასიათებელ ასპექტებს, საგადასახადო სისტემის არსს, საქალაქო ცხოვრების სურათსა და სხვა. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მკვლევრის მიერ მოხმობილი და გაანალიზებული ის არქეოლოგიური მასალა, რომელიც თურქმა არქეოლოგებმა გამოაელინეს თაბალური ნაქალაქარების შესწავლის დროს. ეს მასალა ავსებს და კიდევ ერთხელ ადასტურებს წერილობითი წყაროების მონაცემებს.

მეორე თავში: „გვიანხეთური ხანის დიდი კაპადოკიის სამეფო-სამთავროთა პოლიტიკური ისტორიიდან", ნანა ბახსოლიანი ნათლად და ამომწურავად წარმოგვიდგენს ძვ. წ. IX-VII საუკუნეების მთელს მანძილზე ძლიერი ასურელი და ურარტელი მეფეების პერმანენტული შემოსევების წინააღმდეგ კაპადოკიური პოლიტიკური გაერთიანებების თავდაცვითი შებრძოლების ცალკეულ ეპიზოდებს. ანტიასუ-

რულ და ანტიურარტულ კოალიციებს სათავეში ხშირად თაბალები და მუშქები ედგნენ. განსაკუთრებით დაიძაბა ეს ბრძოლები სარგონ II ასურელის გააქტიურების შედეგად ძვ. წ. VIII საუკუნის ბოლო მეოთხედში. უეჭველია, რომ ამ ბრძოლებს შეეწირა კიდეც მოუსვენარი ასურელი მბრძანებელი. ადგილობრივი ხალხების წინააღმდეგობის გატეხვა მხოლოდ ძვ. წ. VII საუკუნეში ასურელმა და ურარტელმა მოძალადეებმა შეძლეს და ისიც კიმერიელთა ჯარების დახმარებით.

მესამე თავი ეძღვნება ხეთური რწმენა-წარმოდგენების გვიანდელ ასახვას კაპადოკიის ტერიტორიაზე წარმოქმნილი გვიანხეთური ხანის სამეფო-სამთავროების ცხოვრებაში. ამ საკითხის კვლევის ერთადერთ წყაროდ იგი სამართლიანად მიიჩნევს იეროგლიფურ-ლუვიურ წარწერებს, რომელთა მონაცემების მოშველიებით დაწერილებით ჩერდება აღნიშნული რეგიონის პანთეონის სათავეში მდგარი ღვთაების – თარხუნთის ირგელივ. წერილობითი წყაროების მონაცემების, იკონოგრაფიული ნიშნებისა და მეზობელი რეგიონებიდან მოხმობილი ეთნოკულტურული ხასიათის მასალების ყოველთაშეჯერებით დამაჯერებლადაა ნაჩვენები თარხუნთის კულტის კავშირი ნაყოფიერებასთან. ამომწურავადაა დახასიათებული კაპადოკიური პანთეონის ერთ-ერთი წამყვანი ღვთაებაც – რუვა, რომელიც წყაროებში მთისა და მზის ღვთაებად იხსენიება. არაერთი საინტერესო ცნობაა წარმოჩენილი თაბალის ტერიტორიაზე გავრცელებული თაყვანისცემის ობიექტის, ნაყოფიერების ქალღვთაება ქუბაბას შესახებაც. ნათელი შტრიხებითაა წარმოდგენილი ღვთაება სანტაც, რომელიც სახელის ლოგოგრამული დაწერილობითა და ფუნქციებითაც ბაბილონურ მარდუქთან ავლენს მსგავსებას. აღნიშნული ღვთაებებისადმი მიძღვნილი ავტორისეული დახასიათებები დამოუ-

კიდებელი გამოკვლევების დონეზეა შესრულებული. უყურადღებოდ არაა დატოვებული იეროგლიფურ-ლუვიურ წარწერებში მოხსენიებული სხვა ღვთაებებიც, როგორიცაა ქალღვთაება ხეფათი ან იშთარი, შარუმა და მთვარის ადგილობრივი ღვთაება სინი და ზოგიერთი სხვაც.

სისრულისა და სათანადო წყაროების მონაცემთა სიღრმისეული გაანალიზების თვალსაზრისით, სარეცენზიო მონოგრაფიის ეს ნაწილიც ერთ-ერთ საუკეთესო ნარკვევად გვესახება.

ნანა ბახსოლიანის ნაშრომიდან კიდევ ბევრი რამ კარგის წინა პლანზე წამოწევა შეიძლება, მაგრამ ამაზე ახლა სიტყვას აღარ გავაგრძელებ.

ყოველივე აღნიშნულის კონტექსტში, კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნავ ნანა ბახსოლიანის მიერ გამოსაცემად მომზადებული მონოგრაფიის შესრულების მაღალ დონეს და თვალსაჩინო ღირსებებს. მონოგრაფია „დიდი კაპადოკია ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში", თბილისი, 2008, უდაოდ ქართული ისტორიოგრაფიის ახალი შენაძენია.

ჯემალ შარაშენიძე

რეცენზია

ნანა ბახსოლიანის წიგნზე „დიდი კაპადოკია ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში", თბილისი, 2008

მცირე აზიის რეგიონები, მათ შორის დიდი კაპადოკია უძველესი დროიდან წარმოადგენდა ცივილიზაციათა შესაყარს. აქ ერთმანეთს ხვდებოდნენ სხვადასხვა წარმოშობის ტომები. ეს რეგიონი შედიოდა უძველესი აღმოსავლური სახელმწიფოების შემადგენლობაში. დიდი კაპადოკია თავისებური ჭიშკარი იყო, რომლის გაელითაც ინდოევროპული ტომები მცირე აზიაში იჭრებოდნენ და თავიანთ გაელენას უფრო შორს აღმოსავლეთით ავრცელებდნენ.

დიდი კაპადოკია ჯერ კიდევ ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისში ხეთების ანუ „ათასი ღვთაების" ქვეყნის უმთავრეს რეგიონს წარმოადგენდა. „ზღვის ხალხების" მიერ ხეთების სახელმწიფოს განადგურების შემდეგ აქ, როგორც ირკვევა, კიდევ 6 საუკუნე არსებობას განაგრძობდნენ პატარ-პატარა გვიანხეთური სამეფოები, რომელთაც დიდი წვლილი შეჰქონდათ ძველი აღმოსავლეთის ცივილიზაციის განვითარებაში.

ხეთების დიდი სახელმწიფოს ისტორია საკმაოდ სრულადაა შესწავლილი. ამ მხრივ, შედარებით ნაკლებად გაუმართლათ იმ ხეთურ სახელმწიფოებს, რომლებიც ხეთების დიდი იმპერიის დაცემის შემდეგ განაგრძობდნენ არსებობას. სარეცენზიო ნაშრომი ქართულ ისტორიოგრაფიაში გვიანხეთური სამეფოების ისტორიის მონოგრაფიული შესწავლის ერთ-ერთი პირველი და ჩვენი აზრით, წარმატებული ცდაა.

ჩემთვის ალბათ უხერხული იქნება მონოგრაფიაში განხილული ყველა საკითხის ირგვლივ ვისაუბრო. მაგრამ მაინც ხაზგასმით უნდა ავღნიშნოთ, რომ სარეცენზიო ნაშრომი ამდიდრებს ქართული ძველი აღმოსავლეთმცოდნეობის წყაროთმცოდნეობის ბაზას. მას პირველად შემოაქვს სამეცნიერო მიმოქცევაში ქართული ისტორიოგრაფიისათვის მანამდე უცნობი იეროგლიფურ-ლუვიური წერილობითი ძეგლები. წიგნის მნიშვნელოვანი ნაწილი ძველი აღმოსავლეთის ეპოქაში დიდი კაპადოკიის ისტორიულ გეოგრაფიას შეეხება. ნაშრომიდან ირკვევა, რომ გეოგრაფიული სახელწოდება „კატპატუკას" ფორმით პირველად დარიოს I-ის წარწერებში მოწმდება. ეს ტერმინი ასევე დიდი ბერძენი ისტორიკოსის ჰეროდოტეს თხზულებაში დასტურდება. სასურველი იყო, ავტორი ტერმინის „კაპადოკია" ეტიმოლოგიაზეც შეჩერებულიყო, მით უმეტეს ცნობილია, რომ ზოგი მკვლევარი ამ ტერმინს „ცხენების ქვეყანასთან" აიგივებს.

ელინისტურ ხანაში კაპადოკია ორ ნაწილად – დიდ ანუ ტავროსთან მდებარე კაპადოკიად და პონტოს კაპადოკიად იყოფოდა. ავტორი აღმოსავლეთ მცირე აზიის ისტორიოგრაფიის შესაშურ ცოდნას ამჟღავნებს და კარგად აჩვენებს თუ როგორ იცვლებოდა ტერმინ „კაპადოკიის" შინაარსი ძვ. წ. VI საუკუნიდან ახ. წ. I საუკუნემდე. სავსებით სამართლიანად გვეჩვენება ნანა ბახსოლიანის დასკვნა, რომ კაპადოკია უძველესი დროიდან ტავროსის, პონტოს მთებსა და მდ. ჰალისს შორის მდებარეობდა.

სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე დიდ ინტერესს იწვევს მუშქების ანუ მესხების მოხსენიება ბიბლიაში. ჩვენს ავტორს საგანგებოდ შეუსწავლია ეს საკითხი. გამოუყენებია ბიბლიის ებრაული დედანი და გადაუმოწმებია ბიბლიის სირიული და არაბული თარგმანები. ასე რომ ამ

მონოგრაფიით დღეს, ფაქტობრივად, სრულადაა შესწავლილი მუშქების, იგივე მესხების საკითხი ძველი აღთქმის წიგნებში. ძვ. წ. IX-VII სს-ში აღმოსავლეთ კაპადოკიაში მუშქები იგივე მესხები ცხოვრობდნენ. ნანა ბახსოლიანი თავის ნაშრომის ერთ მონაკვეთში ასურული წყაროების მონაცემთა საფუძველზე აღადგენს მუშქების ისტორიას ამ საუკუნეებში. ნაშრომში ცალკეა შესწავლილი აღმოსავლეთი კაპადოკიის ისტორია ურარტული ლურსმული წარწერების მიხედვით. ესეც ახალი სიტყვაა ქართულ ძველაღმოსავლეთმცოდნეობაში.

მცირე აზიის ხალხთა რელიგიებმა დიდი როლი ითამაშეს წარმართული ხანის ქართულ რწმენა-წარმოდგენებში. ამიტომ, აღმოსავლეთ მცირე აზიაში მოსახლე ხალხების რელიგიური შეხედულებების შესწავლა ძალზე საჭირო საქმეა. ამ მხრივ, ერთი ნაბიჯი ჩვენს ავტორსაც აქვს გადადგმული. მან პირველად ქართულ ისტორიოგრაფიაში საგანგებოდ შეისწავლა გვიანხეთური ხანის დიდ კაპადოკიაში გაბატონებული ლუვიური პანთეონი. იგი ამ პანთეონში, პირველ რიგში, ისეთ ღვთაებებს გამოყოფს, როგორიცაა თარხუნთი – ნაყოფიერების ღვთაება, რუვა – ნადირობის ღვთაება, ქუბაბა – ასევე დამცველი, ბარაქისა და სიუხვის ქალღვთაება. აგრეთვე განხილული აქვს ისეთი ღვთაებების ფუნქციები, როგორიცაა სანტა, მთვარის ადგილობრივი ღვთაება სინი და ა. შ. სიამოვნებით მინდა ავღნიშნო, რომ ნანა ბახსოლიანი თავის მონოგრაფიას აგებს აღმოსავლეთ მცირე აზიის უახლესი არქეოლოგიური გათხრების საფუძველზე. ალბათ არ შევცდები, თუ ვიფიქრებ, რომ მთელი რიგი ამ გამოცემათა მონაცემები პირველად ნანა ბახსოლიანს შეაქვს ქართულ ისტორიოგრაფიაში.

როგორც ვხედავთ, ნანა ბახსოლიანის სარეცენზიო ნაშრომი: „დიდი კაპადოკია ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში" ქართული ისტორიოგრაფიის კარგი შენაძენია. ის მნიშვნელოვნად ამდიდრებს ჩვენს ცოდნას ძველაღმოსავლურ და ანტიკურ ხანაში მცირე აზიის ისტორიის და ისტორიული გეოგრაფიის შესახებ.

თამაზ ბერაძე

შინაარსი

რედაქტორისაგან 3
შესავალი 5

თავი I. დიდი კაპადოკიის ისტორიის შემსწავლელი წყაროები 9

§1. ტერმინი „კაპადოკია" ძველაღმოსავლურ და ანტიკური ხანის წერილობით წყაროებში 9
§2. ბიბლია როგორც მესხების უძველესი ისტორიის წყარო 18
§3. აღმოსავლეთი კაპადოკია ძვ. წ. IX-VII სს-ის ასურული წერილობითი წყაროების მონაცემთა შუქზე 26
§4. აღმოსავლეთი კაპადოკია ძვ. წ. VIII-VII სს. ურარტული ლურსმული წარწერების მიხედვით 44
§5. გეიანხეთური ხანის სამეფო-სამთავროების ისტორია იეროგლიფურ-ლუვიური წარწერების მონაცემთა კონტექსტში 56
§6. გეიანხეთური ხანის სამეფო-სამთავროები არქეოლოგიური გათხრების შუქზე 74

თავი II. გეიანხეთური ხანის დიდი კაპადოკიის სამეფო-სამთავროთა პოლიტიკური ისტორიიდან 89

თავი III. გეიანხეთური ხანის დიდი კაპადოკიის სამეფო-სამთავროთა პანთეონის ისტორიისათვის 99

Великая Каппадокия в первой половине I тысячелетия до н.э. 124

Great Cappadocia in the First Half of the 1st Millennium BC 127

შემოკლებათა სია 130
გამოყენებული პირველწყაროები და ლიტერატურა 131
რეცენზიები 139

დაიბეჭდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და
ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის სტამბაში.
თბილისი, ილ. ჭავჭავაძის 13